საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№21 (492)
12 - 18 ივნისი, 2019
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## «გლობალური დათბობის» გლობალური აფერა 10



# მშობლების ხელით შვილებისთვის ჯოჯოხეთის მოწყობას აპირებენ 2




ჩვენ, მშობლებს, რიგით ადამიანებს, რატომ არ გვეკითხებით, გვინდა თუ არა, ამ პროგრამის მიხედვით აღიზარდონ ჩვენი შვილები?

## მომავალი სასწავლო წლიდან სკოლებში ახალი სახიფათო საგნის სწავლება იწყება 3



ნიკოლოზ მჟავანაძე: გამწარებული ხალხის რისხვას ვერანაირი კანონითა და რეგულაციით ვერ შეაკავებენ

## «ევროპაში კონსერვატიული ძალები რომ ძლიერდებიან, ესეც რუსული პროპაგანდაა?!»



გაჟა ოთარაშვილი: ანტილიბერალური განწყობების შექმნას თვით ლიბერალური იდეოლოგია განაპირობებს 7

## 149 პარლამენტარიდან ერთი მაინც დაგვისახელეთ, რომელმაც დაპირებები შეასრულა 4



## ბოკერიაზე უკეთესი ხელისუფლება და მურუსიძეზე უარესი ოპოზიცია 6



## «საქართველოს არ ჰყავს დამოუკიდებელი ხელისუფლება, რომელიც აზროვნებს და განჭვრეტა შეუძლია» 5



ვალერი კვარაცხელია: საქართველოს იდიოტები მართავდნენ და მართავენ

## ნობელის პრემიის ლაურეატი: დადგა დრო, გამოვაცხადოთ ნეოლიბერალიზმის გარდაცვალების შესახებ 21




## აშშ ადამიანის უფლებების ახალ კონცეფციას ქმნის 24



## გამოცხადებული რევოლუციის ქრონიკა 23-24



SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახელმძღვანელოებში სხეულის ფიზიოლოგიურ ცვლილებასთან ერთად აქტიურად განიხილება, როგორ უნდა იყოს სექსი უსაფრთხო, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასასურველი ქორწინება, როგორ უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა თინეიჯერებს...**

# მშობლების ხელით შვილებისთვის ჯოჯოხეთის მოწყობას აპირებენ

## შარშან 15 ათასამდე მოსწავლეს გაუკეთეს აბორტი

**იმის მიუხედავად, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ე.წ. პრაიდის ორგანიზატორებს უარი უთხრა ლგბტ თემის მხარდამჭერი ღონისძიებების ჩატარებაზე, ისინი მაინც იმუქრებიან და ამბობენ, რომ ქუჩაში აუცილებლად გავლენ. სარეკლამო ვიდეორგოლებს ტელევიზიებიც თამამად ატრიალებენ და სოციალური ქსელიც წალეკილია. ეს მაშინ, როცა იმავე სოციალურ ქსელში ლგბტ თემის საწინააღმდეგო ვიდეოები ელვის უსწრაფესად იბლოკება.**

სურთ თუ არა, უნდა ვთქვათ, რომ მოსახლეობის უმრავლესობას, ლგბტ თემის წინ წამოწევა გარყვნილი ქმედების პროპაგანდად მიაჩნია. ამ ეტაპზე ასე ჩანს — გამორიცხულია, საზოგადოებამ ეს ყველაფერი მიიღოს, თავს მოიხვიოს და აიტანოს. რეალურად, რამდენიმე ათეული ადამიანის გამო ასეთი მასშტაბების მიცემა აქციისთვის, რომელიც ბევრ ქვეყანაში აკრძალულია, მათი დამატებითი რეკლამირება გვგონია...

საზოგადოდ, გარყვნილების თემა ჩვენს ქვეყანაში ისე მძაფრია, რომ შეიძლება ვეღარც ვგრძნობთ და ყოველდღიური ცხოვრების წესად იქცა. გასულ წელს არასრულწლოვნებისთვის გაკეთებული 15 ათასამდე აბორტიც ამას მოწმობს. ჰო, **შარშან 15 ათასამდე სკოლის მოსწავლეს გაუკეთეს აბორტი, ხოლო რამდენმა გააჩინა შვილი, ცალკე თემაა.** გარდა იმისა, რომ არასრულწლოვნისთვის აბორტი ტრაგედიაა, ეს გენოფონდის განადგურების კიდევ ერთი გზაა, რადგან ასეთ ასაკში, თანაც პირველ შვილზე აბორტი იმას ნიშნავს, რომ იმ გოგონების უმრავლესობას შვილი, დიდი ალბათობით, აღარ ეყოლება. დღევანდელი სტატისტიკა ასეთია — ოფიციალურად გასაშვილებელია 213 ბავშვი, მათგან 154 შშმ პირია, 34-ს არ სურს გაშვილება და ბავშვის დატოვება ურჩევნია, აი იმ დარჩენილი 25 ბავშვის რიგში კი 2800 მშობელზე მეტი დგას.

საინტერესოა, რომ ხელისუფლება პრობლემის არსებობას აღიარებს, მაგრამ გზა, რომელიც, მათი აზრით, ამ ყველაფერს მოაგვარებს, მცდარი გვგონია. მომავალი სასწავლო წლიდან ბავშვებს ახალ საგანს უმატებენ და როცა ამის შესახებ განათლების მინისტრის მოადგილეს, **ირინა აბულაძეს** ჰკითხეს, მან საკმაოდ საინტერესო პასუხი გასცა.

**„სასწავლო პროგრამაში, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფი მუშაობს, შესულია ნაადრევი ქორწინების თემები, რეპროდუქციულ განათლებასთან და ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული თემები ბიოლოგიის სახელმძღვანელოში. სანამ მოსწავლე მივა თინეიჯერობის ასაკამდე, უნდა იცოდეს, რა პროცესები მიმდინარეობს მის ორგანიზმში, რათა გააცნობიეროს ის ცვლილებები, რომლებიც მის თავს მოხდება და ხდება მის თანატოლებში. ასე რომ, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა საბაზო საფეხურზე ნამდვილად მსუყეა ბევრი ისეთი თემით, რომლებიც, შესაძლოა, არ უკავშირდებოდეს მხოლოდ კონკრეტულ დისციპლინას და პიროვნების განვითარების შესაძლებლობას იძლეოდეს. სახელმძღვანელოების გრიფირება მალე დასრულდება. პროცესში ჩართულია დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფი, რომელიც ამ სახელმძღვანელოებს აფასებს“,** — განაცხადა ქალბატონმა ირინამ.

როგორც გვითხრეს, **სახელმძღვანელოებში, სხეულის ფიზიოლოგიურ ცვლილებასთან ერთად, აქტიურად იქნება განხილული, როგორ უნდა იყოს სექსი უსაფრთხო, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასასურველი ქორწინება, როგორ უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა თინეიჯერებს და...**

**დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფი რომ არის ამ ყველაფერში ჩართული, ძალიან კარგია, მაგრამ იქნებ მე, მშობელს, არც იმ ექსპერტის კვალიფიკაცია მაინტერესებს და არც ის მინდა, მეშვიდეკლასელმა ბავშვმა საზეპიროებით იცოდეს, როგორ უნდა გაიკეთოს პრეზერვატივი ან როგორ უნდა გადაყლაპოს ჩასახვის საწინააღმდეგო აბები. ჩვენ, მშობლებს, რიგით ადამიანებს, რატომ არ გვეკითხებით, გვინდა თუ არა, ამ პროგრამის მიხედვით აღიზარდონ ჩვენი შვილები? ჩვენ მსგავსი არაფერი გვისწავლია არც მეშვიდე და არც დამამთავრებელ კლასებში, მაგრამ მაშინ არ იყო ასეთი კატასტროფული ვითარება და იქნებ პრობლემა, განათლების სისტემაში კი არა, სხვაგან უნდა ვეძებოთ?!**

ვერ გეტყვით, როგორია იმ ექსპერტების კვალიფიკაცია, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ, რა დოზით უნდა ისწავლონ ბავშვებმა სექსის ხელოვნება (სხვა სახელს ვერ დავარქმევთ), მაგრამ ფაქტია, რომ ნელ-ნელა მარაზმისკენ მივდივართ. აბა, როგორ არ გავიხსენოთ ის, რომ აგერ ამერიკის შეერთებულ შტატებში მშობლები ქუჩაში გამოვიდნენ და სასკოლო პროგრამიდან სწორედ ამ სახელმძღვანელოების ამოღება მოითხოვეს, რადგან ამბობენ, რომ აღნიშნულმა გაკვეთილებმა არათუ უშველა მათ შვილებს, არამედ სიტუაცია უფრო მეტად დაამძიმა. სულელები საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ, ჭკვიანები — სხვისაზეო. იქნებ, ახლა მაინც ვიყოთ ჭკვიანები. **გვაქვს კონკრეტული მაგალითი იმისა, რომ ამერიკაში ამ პროგრამამ არ გაამართლა, რომ შედეგი ვერ მიიღეს, რომ ბავშვები გაირყვნენ (ამას ამერიკელი დედები ამბობენ), რომ აბორტების რაოდენობა კი შემცირდა, მაგრამ სექსუალური გამოცდილების მქონე ბავშვების წლოვანება 12 წლამდე ჩამოვიდა. მეტი რა მაგალითი გვჭირდება იმისთვის, რომ ეს ყველაფერი გავითვალისწინოთ და ექსპერიმენტები საკუთარ შვილებზე არ ვატაროთ?**




**განათლების სამინისტროს კულუარებში გვითხრეს, რომ აღნიშნული საგნის არათუ სასკოლო პროგრამაში ჩართვაა უკვე გადაწყვეტილი და ბეჭედდასმული, არამედ შესაბამისი განხრით მასწავლებელთა გარკვეული კატეგორია გადამზადებასაც კი გადის და ტრენინგები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ანუ, რამდენიც უნდა ვიყვიროთ ხმის ჩახლეჩამდე და ვიცეთ გულში მჯიღი, პროცესს ველარ შევაჩერებთ და სამიოდე თვეში ჩვენს შვილებს სკოლაში ახალი საგანი დახვდებათ**

როგორ გგონიათ, ბავშვს ამ გაკვეთილს რომ ჩაუტარებენ სკოლაში, მერე კი შინ, ტელევიზორში ლგბტ თემის აქტივობას შეხედავს, დაინახავს, როგორ კოცნის კაცი კაცს და ქალი — ქალს, და ამ კითხვას რომ დასვამს გაკვეთილზე მასწავლებელი კი დეტალურად რომ აუხსნის, რა ხდება ამ დროს, რას გააკეთებს ბავშვი? დაიბნევა და სრულ გაურკვევლობაში იქნება თუ იტყვის: რა კარგია, ინფორმაცია რომ მივიღე, დღეიდან მეცოდინებაო? **დაიჯერეთ, ხალხო, რომ მეშვიდეკლასელი მოზარდი არის ბავშვი. თქვენც ხომ იყავით მაგ ხნის. გაიხსენეთ, როგორ ხდებოდა მაშინ, რა ხდებოდა და... გაგიჭირდათ სექსუალური ცხოვრების დაწყება? ინფორმაციის ნაკლებობა გქონდათ? და რა დღეში ჩავარდებოდით, მასწავლებელს გაკვეთილზე ფეხებგაფარჩხული ქალის სურათი რომ ჩამოკიდებინა ან კაცის გენიტალიებზე დაეწყო საუბარი? ამისთვის იმეტებთ საკუთარ და ჩვენს შვილებს?!**



სხვათა შორის, როცა წლების წინათ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა, მაშინ ერმა და ბერმა ერთად გააპროტესტეს და გადავრჩით. მაშინვე ითქვა: ჯერ საზოგადოება მზად არ არის ამისთვისო. ვინმემ ამიხსნას, როდის მოვემზადეთ, როდის „მოვემწიფდით“ იმისთვის, რომ **შვილებისთვის ეს ჯოჯოხეთი მოგვეწყო?** გამოგვეპარა რამე თუ უბრალოდ, ყველაფერს მივეჩვიეთ და ყველაფერზე ხელი ჩავიქნიეთ? **რატომ დუმს ჩვენი ეკლესია? ნუთუ დააჯერეს, რომ ასე აჯობებს და ეს პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა არის?**

**განათლების სამინისტროს კულუარებში გვითხრეს, რომ აღნიშნული საგნის არათუ სასკოლო პროგრამაში ჩართვაა უკვე გადაწყვეტილი და ბეჭედდასმული, არამედ შესაბამისი განხრით მასწავლებელთა გარკვეული კატეგორია გადამზადებასაც კი გადის და ტრენინგები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ანუ, როგორც გვითხრეს, რამდენიც უნდა ვიყვიროთ ხმის ჩახლეჩამდე და ვიცეთ გულში მჯიღი, პროცესს ველარ შევაჩერებთ და სამიოდე თვეში ჩვენს შვილებს სკოლაში ახალი საგანი დახვდებათ.** ვერ გეტყვით, აღნიშნულ საგანს ბავშვი რომ მოამზადებს და მშობელი მის მზადყოფნას შეამოწმებს, როგორ მოხდება თემის განხილვა, ან ბიჭს მამა უნდა ესაუბროს ამ თემაზე და გოგოს — დედა თუ სულერთი იქნება... **ან რა განწყობაზე დადგება მშობელი, როცა მეშვიდეკლასელს დაუწყებს ახსნას, როგორ უნდა დაიცვას თავი სექსის დროს და ხომ არ იქნება ეს იმის მანიშნებელი, რომ მშობელი შეგუებულია, მეშვიდეკლასელმა შვილმა სექსუალური ცხოვრება დაიწყოს? სხვა რა ახსნა აქვს ამას?** მერე არ ეტყვის ბავშვი: შენ არ მასწავლე, რა და როგორ ხდება, შენ ხომ გესმოდა, შენც ხომ კითხულობდი, მაშინ რატომ არაფერი თქვიო? ასე, მშობლების ხელით „გააპრავებენ“ გარყვნილებას და კიდევ ჯიუტად გავიმეორებთ, რომ **მეშვიდეკლასელ ბავშვებთან ამ თემებზე საუბარი გარყვნილებაა.**

გვიძახეთ ახლა ბნელები და გამოუსვლელები, მაგრამ გვირჩევნია, ბნელი გვერქვას და ჩვენმა შვილებმა განსაცდელს თავი დააღწიონ, ვიდრე „პრადვინუტები“ და შინ აბორტგაკეთებული მეშვიდე ან მერვეკლასელი ბავშვი გვეჯდეს.

ჩვენი აზრით, ეს ერის გადაგვარებისკენ გადადგმული ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯია. ასე გვგონია, ამის უკან საქართველოს მტრები დგანან და შორს არ არის დრო, როცა პირველ შედეგებს უკვე მოვიმკით და ვერაფრის შეცვლას ვეღარ შევძლებთ. საამისოდ არც ბერკეტი გვექნება და აღარც უნარი, რადგან გარყვნილება წალეკავს ყველას და ყველაფერს. და ამ გარყვნილებას ჩვენი შვილები, მომავალი თაობა, სკოლებიდან წამოიღებს და ოჯახში შემოიტანს, „გამპრავებულებად“ კი მშობლებს გამოგვაცხადებენ.

**ბესო ბარბაქაძე**

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საგანი „მე და საზოგადოება“, სკოლებში მწვავე საზოგადოებრივი პროტესტისა და უკმაყოფილების მიუხედავად, მაინც დანერგა. თუმცა, როგორც ჩანს, „დემოკრატიული“ დასავლეთი, ევროკავშირთან ასოცირებით ნაკისრი რიგი ვალდებულებების კვალდაკვალ, ხელისუფლებისგან მეტს ელის და ახალგაზრდების ცნობიერებაში „ძირეული მენტალური რევოლუციის“ მოსახდენად უფრო აქტიურ მოქმედებებს ითხოვს“.

ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მოქალაქეობა»

## მომავალი სასწავლო წლიდან სკოლებში ახალი სახიფათო საგნის სწავლება იწყება!



### ნიკოლოზ მჟავანაძე:

# გამწარებული ხალხის რისხვას ვერანაირი კანონითა და რეგულაციით ვერ შეაკავებენ

**ამ დღეებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უცხოეთიდან დაფინანსებულ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ ახალი „ეროვნული“ სასწავლო გეგმა გრიალ-გრიალით დაამტკიცა და სისტემაში მიმდინარე ძირეული ლიბერალური რეფორმების მორიგი ტალღა აქტიურად დაიწყო. „ცვლილებების ფარგლებში, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლებში ახალი საგანი „მოქალაქეობა“ შევა და ძირითადი აქცენტი ახალგაზრდების ცნობიერებაში ღირებულებით ნაწილზე გაკეთდება, რაც დღევანდელ ვითარებაში ობიექტური რეალობიდან გამომდინარე აუცილებლობაა თურმე. სტანდარტს სამოქალაქო განათლების მიმართულებით დაემატება რამდენიმე კომპონენტი. მე-7 კლასში იქნება სრულიად ახალი საგანი „მოქალაქეობა“, რომელიც დაწყებით საფეხურზე დაწყებული საქმის გაგრძელებაა. ის მიზნად ისახავს ჩვენი მოსწავლეების გააქტიურებას, მათი დემოკრატიული ღირებულებების განვითარებასა და გაძლიერებას“, — განუცხადა მედიას მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძემ.**

განათლების მინისტრის მოადგილის განმარტებით, სასწავლო პროგრამაში ასევე შესულია ნაადრევ ქორწინებასთან, რეპროდუქციულ განათლებასა და ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული თემები, რათა მოსწავლე უკეთ იყოს გათვითცნობიერებული იმ ცვლილებებში, რომლებიც მისი და მისი თანატოლების თავს ხდება ან მოხდება: „სანამ მოსწავლე მივა თინეიჯერობის ასაკამდე, მან უნდა იცოდეს, რა პროცესები მიმდინარეობს მის ორგანიზმში, რათა გააცნობიეროს ის ცვლილებები, რომლებიც მოხდება და ხდება მის თანატოლებში... ძალიან დიდი სამუშაო გვაქვს ღირებულებათა ნაწილზე და ასევე იმაზე, რომ ჩვენი ახალგაზრდები იყვნენ აქტიურები სამოქალაქო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში...“

ამ ცვლილებით ხელისუფლებას გადამწყვეტ ფაზაში შეჰყავს დასავლეთიდან ნაკარნახევი „ლიბერალური“ გეგმა, რომელიც ახალგაზრდებში ტრადიციული ფასეულობებისადმი დამოკიდებულების ძირეულად შეცვლასა და მის ნაცვლად თანამედროვე დასავლური ფსევდოლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებას გულისხმობს. შეგახსენებთ, რომ ამ პროცესის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საგანი „მე და საზოგადოება“, სკოლებში მწვავე საზოგადოებრივი პროტესტისა და უკმაყოფილების მიუხედავად, მაინც დანერგა. თუმცა, როგორც ჩანს, „დემოკრატიული“ დასავლეთი, ევროკავშირთან ასოცირებით ნაკისრი რიგი ვალდებულებების კვალდაკვალ, ხელისუფლებისგან მეტს ელის და ახალგაზრდების ცნობიერებაში „ძირეული მენტალური რევოლუციის“ მოსახდენად უფრო აქტიურ მოქმედებებს ითხოვს...

რას გულისხმობს თანამედროვე ლიბერალური გაგებით „ახალგაზრდებში დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება“ და რას ნიშნავს მინისტრის მოადგილის განცხადება, რომ „განსაკუთრებით დიდი სამუშაო მოზარდებში ღირებულებით ნაწილშია“, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე.**

**— ბატონო ნიკოლოზ, განათლების სამინისტრომ ცოტა ხნის წინათ დაამტკიცა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის თანახმად, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლებში ახალი საგანი „მოქალაქეობა“ შედის. მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძის განმარტებით, ეს საგანი მიზნად ისახავს ახალგაზრდებში დემოკრატიული ღირებულებების განვითარებასა და გაძლიერებას, ასევე მათთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცოდნის მიწოდებას, რაც პრაქტიკულად ე.წ. სექსუალური განათლების დანერგვაა. რა შედეგებს მოიტანს ეს ყველაფერი ახლო მომავალში?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, სახელმძღვანელოები ჯერჯერობით არ არის დამტკიცებული და მათზე მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ ეს არ არის მთავარი; საინტერესო და მნიშვნელოვანია, რას ნიშნავს და გულისხმობს „დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება“, ან როგორ და რა ფორმით მოხდება ბავშვებისთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომელზეც, როგორც ჩანს, მომავალი წლიდან განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება. არ მინდა, წინასწარ რაღაც დასკვნები გამოვიტანო და განგაში ავტეხო, მაგრამ ის, რაც აქამდე ვნახეთ და რა მცდელობებიც იყო სკოლებში ამ მიმართულებით, ვფიქრობ, გარკვეული ვარაუდების საფუძველს გვაძლევს.

**— რას გულისხმობთ?**

— **ხელისუფლებამ დღემდე ზედმიწევნით შეასრულა გარე ძალების ყველა დირექტივა და, მიუხედავად საზოგადოების პროტესტისა, მიუხედავად უკმაყოფილებისა და წინააღმდეგობისა, კანონის სახე მისცა დასავლეთის გავლენიანი პოლიტიკური წრეების ყველა ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ მითითებას.** ჩამოთვლა, მგონი, საჭირო არ არის. რაც შეეხება ახალგაზრდებში „დემოკრატიული ღირებულებების განვითარებასა და გაძლიერებას“, თავისთავად ეს სიტყვები ისეთი ფორმულირებაა, ვინც საკითხში არაა ჩახედული და ვერ ერკვევა, რა პროცესები მიდის ირგვლივ, შესაძლოა, მას შეკითხვაც არ გაუჩნდეს, მაგრამ რეალურად დავფიქრდეთ: რას ნიშნავს და გულისხმობს თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალური გაგებით დემოკრატია, რას ნიშნავს ინდივიდის თავისუფლება და შეუზღუდავი არჩევანი.

**— დავაკონკრეტოთ.**

— ყველაფერს თავი დავანებოთ და ევროპის ქვეყნებს შევხედოთ, საგანმანათლებლო სისტემამ ძირფესვიანად შეცვალა ადამიანების აზროვნება და, სულ რაღაც, 15-20 წელიწადში, რაც ისტორიისთვის არაფერია, სულ სხვა ტიპის საზოგადოება ჩამოაყალიბა. მაგალითად, თუ რიგითი ევროპელი 20-30 წლის წინათ თავისი კულტურული და იდეოლოგიური იდენტობის მთავარ წყაროდ ქრისტიანობას მიიჩნევდა, დღეს ეს აღქმა გამქრალია. ანუ, ლიბერალური ძალების მიერ პოლიტიკური ველის მონოპოლიზებასთან ერთად დაიწყო ახალი „ღირებულებითი სისტემის“ დანერგვა ნულიდან, რაც, ძირითადად, ქრისტიანული ფასეულობების უარყოფას გულისხმობდა და ბუნებრივია, ამის განხორციელება საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით უნდა მომხდარიყო, ვინაიდან სწორედ ამ სისტემას შეუძლია, ადამიანის ცნობიერების განვითარება ადრეული ასაკიდან აკონტროლოს. აი, ზუსტად ამ ეტაპებს გავდივართ ახლა ჩვენ და, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ ყველაზე მეტი ყურადღება გამახვილებულია სარწმუნოებრივ-ღირებულებით ფაქტორებზე. სხვათა შორის, ამას წინათ „ტვ პირველზე“ იყო რაღაც დისკუსია და „ქალი-მამაო“ რომ არის ერთი, **რუსუდან გოცირიძე,** შეშფოთებული ლაპარაკობდა, სადღაც დაწესებულებებში ჯვარი რომ არის გამოსახული, ამით ვიღაცის უფლებები შეიძლება ილახებოდეს, იმიტომ, რომ ის ვიღაც შეიძლება ქრისტიანი არ იყოს და სხვა რელიგიას აღიარებდესო... ისე, ერთი რამ მაინტერესებს: **საქართველოს დროშაზე ჯვარი რომ არის გამოსახული, ამითაც ხომ არ ირღვევა ვინმეს უფლებები?! იქნებ მოვაშოროთ ჯვრები და მარტო თეთრი ფონი დავტოვოთ?! აი, ასეთი ავადმყოფი, დეგრადირებული ხალხის ხელშია ქვეყანა და რა გიკვირთ?! ანტიდისკრიმინაციული კანონი მიღებულია, „ბავშვთა უფლებების კოდექსს“, სადაცაა, მიიღებენ. რა უშლით ხელს, რომ პირდაპირ დაწყებითი კლასებიდანვე დაიწყონ ბავშვების მოწამლვა?!**

**— საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილება ვერ იქნება ამ პროცესის შემაფერხებელი ფაქტორი?**

— სანამ საზოგადოების განწყობებზე ვისაუბრებთ, მინდა ერთი სტატისტიკური მონაცემი შევახსენო ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც, როგორც ჩანს, ძალიან აინტერესებს ახალგაზრდების „განათლება“ და „მომავალი: **„ბოლო რვა წელიწადში ქვეყანაში 2 905-მა ადამიანმა მოიკლა თავი და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი 16-დან 18 წლამდე მოზარდები იყვნენ“.** ეს, იცით, რამხელა ციფრია ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის? კატასტროფაა! ადრე, კომუნისტების პერიოდში, მასწავლებელი მშობელიც იყო ბავშვისთვის. დღეს რა ხდება? მშობლები საზღვარგარეთ წავიდნენ იმიტომ, რომ აქ ლუკმაპურს ვერ შოულობდნენ. ვინც აქ არის, არ აქვს თავი, შვილს რომ მიხედოს. ამ დროს სკოლა, რომელიც მეორე სახლი უნდა იყოს მოზარდისთვის, იქცა რაღაც ჰიბრიდულ ლაბორატორიად, სადაც იმას კი არ უნერგავენ ბავშვს, რომ ტრადიციებს პატივი სცეს, ეკლესიურად იცხოვროს და ა.შ., არამედ ჩააგონებენ, რომ ის არის დამოუკიდებელი მოქალაქე, სრულიად თავისუფალი და, რასაც მოისურვებს, გააკეთებს. ამას რომ ეტყვი ბავშვს და მით უმეტეს კანონში ჩაუწერ: მშობელი გაგებით უნდა მოეკიდოს ყველა მის გატაცებასო, თუნდაც ნარკოტიკების მოხმარებას, რომელიც, თურმე, თინეიჯერობის ასაკში ბუნებრივი ამბავია, ის ნორმალური გაიზრდება?! ეს არის წახალისება და პროპაგანდა, რომელიც ბავშვს ღუპავს.

რაც შეეხება საზოგადოებაში არსებულ განწყობებს, ეს განწყობები, როცა იქნება, თავზე დაამხობთ ყველაფერს! თუ ვინმეს ჰგონია, რომ რაღაც კანონებს მიიღებენ და ამით დააშინებენ საზოგადოებას, ასე არ მოხდება. მერწმუნეთ, **როცა თითოეულ ოჯახს, თითოეულ მშობელს შეეხება ის უბედურება, რომელსაც იუვენალური იუსტიცია ჰქვია, და ბევრი გამოცდის ამას საკუთარ თავზე, გამწარებული ხალხის რისხვას ვერანაირი კანონითა და რეგულაციით ვერ შეაკავებენ.** თუმცა კიდევ ვიმეორებ: არ მინდა, წინასწარ რაღაც დასკვნები გამოვიტანო და მტკიცებით ფორმაში ვისაუბრო იმაზე, რომ ახალი საგანი ამას და ამას გულისხმობს. ვნახოთ... ისე, საერთოდ, როცა რამე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ცვლილება ხორციელდება, ვთქვათ, საკანონმდებლო ცვლილება, როგორიცაა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, ეს უნდა ხდებოდეს ხანგრძლივი სახალხო განხილვების ფონზე. ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ, რომ კანონპროექტი მომზადებულიც არის, შეფასებულიც და, როცა პარლამენტს წარედგინება განსახილველად, მხოლოდ მერე ვიგებთ, რა ხდება... ეს არის ერთგვარი მზაკვრული გეგმა და სტრატეგია, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ რეალურად მათ ძალიან კარგად იციან საზოგადოების განწყობები.

**— როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი ნაწილობრივ საზოგადოების პასიურობითაც ხომ არ არის განპირობებული?**

— ვფიქრობ, ამ პროცესებში არა მხოლოდ საზოგადოება, საპატრიარქოც უნდა ჩაერთოს აქტიურად და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი...

**— თქვენი აზრით, დღეს საპატრიარქო არ არის საკმარისად აქტიური?**

— მოდი, ასე ვიტყვი... ხომ ამდენი რამ ხდება ქვეყანაში, რაც პირდაპირ მიმართულია ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ, ოდესმე გაგიგონიათ საპატრიარქოს უნივერსიტეტის რექტორ **სერგო ვარდოსანიძის** ხმა?! **სხვათა შორის, მას ერთხელ ვკითხე: პატრიარქს რომ ლანძღავენ ვიღაც ვაითეოლოგები, ხმას რატომ არ იღებთ-მეთქი, იცით, რა მიპასუხა? უწმინდესისგან კურთხევა არ მაქვსო...** ყველას თავისი აზრი აქვს. კი არ ვაკრიტიკებ, მაგრამ, სრულიად საქართველო რომ ფეხზე დგება ხოლმე, როცა, ვთქვათ, მამათმავლობის დაკანონება უნდათ ან აღლუმების ჩატარება და ა.შ., კურთხევაა საჭირო?! მაშინ ხმა არავინ უნდა ამოიღოს არაფერზე...

საერთოდ, ვფიქრობ, რომ საქართველოს დღეს განსაკუთრებით სჭირდება რკინის ხელი. **დავით აღმაშენებელმა** იმიტომ შექმნა ძლიერი სახელმწიფო, რომ, პირველ რიგში, შინაურ მტრებს მოუგრიხა კისერი. თუმცა დღევანდელ საქართველოში „მოსაგრეხი“ იმდენია, ეჭვი მეპარება, მათ ვინმემ მიხედოს, მათ შორის, არა მხოლოდ ლიბერალებში, იმ ხალხშიც, რომელიც ვითომ ტრადიციების დამცველია და სინამდვილეში, სადაც ფულის სუნი სცემს, იქ გარბის.

**«ხელისუფლებამ დღემდე ზედმიწევნით შეასრულა გარე ძალების ყველა დირექტივა და, მიუხედავად საზოგადოების პროტესტისა, კანონის სახე მისცა დასავლეთის გავლენიანი პოლიტიკური წრეების ყველა ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ მითითებას»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაშინ, როცა ყველაზე იაფი უნდა ყოფილიყო პროდუქცია, გაირკვა, რომ კარტოფილის ფასმა 66,61%-ით მოიმატა, ხახვი 63,76%-ით გაძვირდა, კომბოსტოს ფასზე ნამატი 59,78%-ია, კიტრს 57,04%-ით უფრო ძვირად იყიდით, პომიდორი კეთილშობილურად მოიქცა და მხოლოდ 28%-ით გაძვირდა. და ეს ხდება მაშინ, როცა ამ პროდუქციის სეზონია, როცა გლეხების უმრავლესობა ბაზარშია და საკუთარ მოსავალს ყიდის.**

# 149 პარლამენტარიდან ერთი მაინც დაგვისახელეთ, რომელმაც დაპირებები შეასრულა

**გვეშველა! ტურისტული ნაკადის მომატებამ თავისი გაიტანა და თავისუფალ ცურვაში მყოფი ეროვნული ვალუტა ისევ კალაპოტში მოაქცია. ოფიციალური მონაცემებით, ტურისტული ნაკადი წინა თვის პირველ დეკადასთან შედარებით თითქმის გაორმაგდა, რამაც ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინება გამოიწვია და დოლარისა თუ ევროს დეფიციტი ნაწილობრივ შეივსო. ამით ორი რამ გაირკვა: პირველი ის, რომ დედოლარიზაცია ამ ფორმით სახელმწიფოს მხრიდან შეცდომა იყო (მაგრამ არ აღიარებენ დღემდე) და მეორე — ქვეყანა სეზონურად ცხოვრობს. რას ჰქვია სეზონური ცხოვრება? ზაფხულსა და ზამთარში ველოდებით ტურისტებს, შემოდგომაზე — მოსავალს, რათა მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლით იარსებოს გლეხმა, გაზაფხულზე კიდევ... აი, გაზაფხულზე გვაქვს რამე მოსაფიქრებელი, რადგან, როგორც ირკვევა, ყველაზე მეტად სწორედ ამ დროს გვიჭირს.**



წესისამებრ, გაზაფხულზე იწყება ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, ახალი ინვესტორებიც ამ დროს შემოდიან, მაგრამ ეს სხვა ქვეყნებში. ჩვენთან არც ინვესტორები ჩანან, არც გრანდიოზული ინფრასტრუქტურული პროექტები და დაბალბიუჯეტიან პროექტებს კი ის ფირმები იგებენ, წინასაარჩევნოდ პარტია რომ შეუყვარდებათ ხოლმე და მათ ყულაბაში ათასებს რიცხავენ.

წელან სახელმწიფოს შეცდომა ვახსენეთ და შეუძლებელია, არ ვისაუბროთ მინისტრების შეცდომებზეც. უფრო ზუსტად კი, ის, რასაც მინისტრები აკეთებენ, უბრალოდ, არასწორია, არამართებულია, რეალობას არის აცდენილი. **ლარის გაუფასურების შემდეგ, როგორც ფინანსთა, ისე ეკონომიკის მინისტრები გვარწმუნებდნენ, საგანგაშო არაფერი ხდება და პროდუქტების გაძვირება გამორიცხულიაო, გვეგონა, ამას იმიტომ ამბობდნენ, რომ გათვლილ-დათვლილი ჰქონდათ, გაზაფხულზე ხილ-ბოსტნეული შემოდის და ადგილობრივი წარმოების პროდუქცია იაფი იქნებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად.**

მაშინ, როცა ყველაზე იაფი უნდა ყოფილიყო პროდუქცია, გაირკვა, რომ კარტოფილის ფასმა 66,61%-ით მოიმატა, ხახვი 63,76%-ით გაძვირდა, კომბოსტოს ფასზე ნამატი 59,78%-ია, კიტრს 57,04%-ით უფრო ძვირად იყიდით, პომიდორი კეთილშობილურად მოიქცა და მხოლოდ 28%-ით გაძვირდა. და ეს ხდება მაშინ, როცა ამ პროდუქციის სეზონია, როცა გლეხების უმრავლესობა ბაზარშია და საკუთარ მოსავალს ყიდის, მაგრამ...

არაერთხელ დავწერეთ, რომ საქართველოში ადგილობრივი წარმოება თითქმის განულებულია და იმპორტზე ვართ დამოკიდებულნი. **სოფლის მეურნეობის პროდუქტებითაც კი, საშუალო მაჩვენებელი რომ ავიღოთ, ადგილობრივ ბაზარს სულ რაღაც 12%-ით ვაკმაყოფილებთ, დანარჩენი შემოტანილია. შესაბამისად, როგორც კი ლარი გაუფასურდა და დოლარმა მოიმატა, გაძვირდა შემოტანილი პროდუქტი.** გლეხი მიხვდა, რომ მისი ნატურალური პროდუქტი ბაზარზე იმპორტირებულ და ძირითადად შხამ-ქიმიკატებით გაჯერებულ ნაწარმზე იაფი ღირდა და, რაღა თქმა უნდა, მანაც გააძვირა. შედეგად, დაზარალდა მომხმარებელი და დაზარალდა გლეხი. მომხმარებელი იმიტომ, რომ სხვა გზა არ აქვს, ძვირი უნდა გადაიხადოს და გლეხი კი იმიტომ, რომ გაძვირებული ხილ-ბოსტნეული ძნელად საღდება. ხალხს ფული, უბრალოდ, აღარ აქვს და, სავარაუდოდ, ხელისუფლებამ „გამოსავალი“ მონახა — **2020 წლიდან პენსია 20 ლარით მოიმატებს.** იცით, როგორ არის? აი, ევროპა-ამერიკისკენ რომ ვაკეთებთ სწორებას და ჩვენი „მიღწევებით ვაოცებთ“, ბარემ ისიც ვუთხრათ, რომ პენსიის მატების მხრივ გარღვევა გვაქვს და მომავალი წლიდან პენსია 7 დოლარით გაიზრდება (უცხოურ ვალუტას უკეთესად გაიგებენ). ვამცნოთ მსოფლიოს, რომ პენსიას ერთი კოლოფი სიგარეტის ფასის შესაბამისად ვზრდით. ჰო, ერთი კოლოფი სიგარეტი ევროპა-ამერიკაში სწორედ 7 დოლარამდე ღირს და, ჩვენთან თუ ამ ტემპით გაგრძელდა მატება თამბაქოზე, მალე აქაც იგივე იქნება. წელან აქცენტი პროდუქტებზე გავაკეთეთ, თორემ **ბოლო თვეში ადგილობრივი წარმოების უფილტრო (!) სიგარეტის ფასმა 104,14%-ით მოიმატა.**

ხელისუფლებას რომ ჰკითხო, ამ მოვლენებს შორის კავშირს ვერ იპოვის, თუმცა, ჩვენი აზრით, შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ წვრილმანმა დანაშაულმა იმატა, სოციოლოგიურ ფონთან პირდაპირ არის დაკავშირებული. **ადამიანები იპარავენ საკვებს, ქურდავენ მაღაზიებს და მიაქვთ პროდუქტი, სოფლებში იკარგება გოჭი, ქათამი, თხა, ცხვარი, ანუ ის, რაც ადვილი მოსაპარი და დასამალია. და როგორ გგონიათ, კაცი რომ ერთ ქათამს მოიპარავს, გათვლა იმაზე აქვს, რომ ნაქურდალით გამდიდრდეს თუ უბრალოდ, ის ერთი დღე მშიერი არ იყოს?! მარნეულში გლეხს ეზოდან დაახლოებით 20 კვადრატულ ბოსტანში კიტრი და პომიდორი რომ მოჰპარეს, ბაზარში წაიღეს გასაყიდად თუ სახლში მიიტანეს და შეჭამეს?** სრული სერიოზულობით ვამბობთ: ხელისუფლება დაყრუვდა თუ თავს იყრუებს (რბილად ვამბობთ) და ვერ ხედავს, რომ ქვეყანაში დაახლოებით ის მდგომარეობაა, უკრაინაში „გოლოდომორის“ პერიოდში რომ იყო? სახლში გასაყიდი არაფერი დარჩათ ადამიანებს.

**გულზე ხელი დაიდეთ, ბატონო პარლამენტარებო, მინისტრებო, მაღალჩინოსნებო და გვითხარით: როცა თქვენი შვილი ამბობს «მშიაო», რამდენი ვარიანტი აქვს იმის, რომ ჭამოს და, რაც მთავარია, რამდენად ფართოა კვების ასორტიმენტი? და იცით, რომ «მშიას» ძახილზე ხალხის უმრავლესობა ბავშვებს პურის ყუას უტეხავს და მაგიდაზე დაყრილ ნამცეცებს ხელით ხვეტავს და პირში იყრის, კუჭი რომ მოატყუოს? იცით, რომ ამ სიცხეში ათასობით ბავშვს ნაყინი არ უჭამია, იმიტომ, რომ ნაყინსა და პურს ერთნაირი ფასი აქვს და მშობელს ურჩევნია, პური იყიდოს?**

აგერ, **პირველი კვარტლის მონაცემებით, ბანკებმა და მიკროსაფინანსოებმა მოქალაქეების მიერ გადაუხდელი კრედიტების გამო, საერთო ჯამში, 170 მილიონი ლარის ქონება დაისაკუთრეს და ვითომ არაფერი ხდება, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ ეს ყველაფერი.**

ყველაზე პარადოქსული, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, გაძვირებულ პროდუქტზე ფასის შენარჩუნებაა მაშინაც კი, როცა ლარი გაუფასურების შემდეგ გამყარებას იწყებს, ეს არანაირად არ აისახება ფასებზე. არ არსებობს კონტროლის მექანიზმი, რომელიც შემომტან ფირმებს ეტყვის, რომ გაძვირებული პროდუქცია ძველ ნიშნულზე დააბრუნონ. არა, ბატონებო, საკმარისია, ერთხელ წაუცდეთ ხელი, ერთხელ მოუმატონ ფასს და მერე, ლარის კურსი დოლარისას რომ გაუთანაბრდეს, ფასს ცოცხალი თავით აღარ აკლებენ. მაგალითსაც გეტყვით — გასული წლის მიწურულს გაძვირებული პური ნაახალწლევს უნდა გაიაფებულიყო, ამის პირობა თვითონ პრემიერმა მოგვცა, მაგრამ არც პური გაიაფებულა და მოცემული პირობაც მიივიწყა ყველამ.

აგერ, რამდენიმე დღის წინათ, პარლამენტარის მანდატისთვის დახოცეს ერთმანეთი ხელისუფლებამ და ოპოზიციამ. ორივე მხარე ამტკიცებდა, ეს ერთი კაცი პარლამენტში თქვენს სასიკეთოდ იმუშავებს, თქვენს ყოფას შეცვლისო. **დაგვისახელეთ 149 პარლამენტარიდან ერთი მაინც, რომელმაც სასიკეთოდ შეცვალა ყოფა და დაპირებები შეასრულა, რომელიც გამოვიდა და თქვა, რომ ხალხი შიმშილობს, რომ ქვეყანაში უკიდურესი სიდუხჭირეა. რატომ უნდა დაგიჯეროთ, ბატონებო, ერთი მიზეზი გვითხარით, რატომ?! ან პრემიერს რატომ უნდა დავუჯეროთ, რომელიც დაპირებების მოსაცემად ბრიფინგებს მართავს, შემდეგ კი თვეები გადის და ამ დაპირებებს არც არავინ ახსენებს და არც სრულდება.** ვინმემ აგვიხსნას, რატომ არის, რომ **მსოფლიოში ნავთობის ფასი რეკორდულ ნიშნულამდე დაეცა და ჩვენთან საწვავი ძვირდება?** ამ გაძვირებების გამო ხალხი ქუჩაში გამოდის ხოლმე, მაგრამ ჩვენ ამის შნოც აღარ გვაქვს, იმიტომ, რომ ქუჩაში ერთი დღე უქმად დგომა და „წადი, წადის“ ძახილი იმ დღეს ოჯახის მშიერი დატოვებას ნიშნავს, შინ მოსულ მშობელს კი შვილისგან ყველაზე მეტად ერთი სიტყვის გაგონების ეშინია — **„მშია!“**

**გულზე ხელი დაიდეთ, ბატონო პარლამენტარებო, მინისტრებო, მაღალჩინოსნებო და გვითხარით: როცა თქვენი შვილი ამბობს „მშიაო“, რამდენი ვარიანტი აქვს იმის, რომ ჭამოს და, რაც მთავარია, რამდენად ფართოა კვების ასორტიმენტი? და იცით, რომ „მშიას“ ძახილზე ხალხის უმრავლესობა ბავშვებს პურის ყუას უტეხავს და მაგიდაზე დაყრილ ნამცეცებს ხელით ხვეტავს და პირში იყრის, კუჭი რომ მოატყუოს? იცით, რომ ამ სიცხეში ათასობით ბავშვს ნაყინი არ უჭამია იმიტომ, რომ ნაყინსა და პურს ერთნაირი ფასი აქვს და მშობელს ურჩევნია, პური იყიდოს?**

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდემდე გაგრძელდება ასე და როდის აივსება მოთმინების ფიალა. საქართველოში არსებობისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაშია, წელზე შემორტყმული ქამარიც აღარ ეჭირება, რადგან მაქსიმალურად არის შემოჭერილი. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ერთი შეხედვით საშველი არსაიდან ჩანს და მხოლოდ მაღალი ტრიბუნებიდან იმის ძახილი, რომ ყველაფერი კარგადაა, რომ წინ მივდივართ, რომ თურმე ბიზნესის კეთების კუთხით საუკეთესო ექვსეულში ვართ, დიდი ვერაფერი შვებაა. ბიზნესის კეთების კუთხით საუკეთესოები ვიქნებით, რადგან ფული არავის აქვს, ბიზნესი რომ დაიწყოს და ამიტომ მისი დაწყების სირთულის საზომიც არ არსებობს. ეს არის მწარე რეალობა, ბატონებო და, მაგალითად, **პრემიერის დაუგეგმავი ვიზიტი ბრიუსელში, რომელიც 100 ათასი დაგვიჯდა, გულზე ლახვრად ესობა მშიერ ხალხს.** თქვენც ხომ კარგად იცით, რომ ამ ზაფხულს დასასვენებლად მსოფლიოს საუკეთესო კურორტებს აირჩევთ და სოციალურ ქსელებში თქვენი შვილები ეგზოტიკური ფოტოების გამოქვეყნებში გაეჯიბრებიან ერთმანეთს. მოსახლეობის უმრავლესობის შვილებს კი სოციალური ქსელიც არ აქვთ, იმიტომ, რომ ინტერნეტის გადასახადით პურის ყიდვა შეიძლება...

**ამ ზაფხულს დასასვენებლად მსოფლიოს საუკეთესო კურორტებს აირჩევთ და სოციალურ ქსელებში თქვენი შვილები ეგზოტიკური ფოტოების გამოქვეყნებში გაეჯიბრებიან ერთმანეთს**

**P.S. „პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს!“**

**ბესო ბარბაქაძე**

„ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, ეს მამაძაღლები, გამოსავალს კი არ ეძებენ, უფრო ამძიმებენ ვითარებას. რუსული კომპანიების შემოსვლას ხელს კი არ უნდა უშლიდნენ, პირიქით — გზას უნდა უხსნიდნენ, რომ შემოვიდნენ და ეგებ ჩვენც მეტად შევიდეთ რუსულ ბაზარზე და ქვეყანამ ამოისუნთქოს“.

პოზიცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### ვალერი კვარაცხელია:

# საქართველოს იდიოტები მართავდნენ და მართავენ

**2014 წელს რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა ახალი ენერგეტიკული დოქტრინა, რომელიც უახლოეს 2014-2020 წლებში რუსეთის მოქმედების სტრატეგიას გულისხმობდა.**

## «თუ განვაგრძობთ რუსეთთან მტრობას, რუსეთს შეუძლია არა მხოლოდ ენერგეტიკული პრობლემები შეგვიქმნას, არამედ საქართველო რუკიდან საერთოდ გააქროს»

„როგორი იქნება რუსეთის მოქმედების შესაძლო სცენარები ახალი ენერგოდოქტრინის მიხედვით და შეძლებს კი მის განხორციელებას? რამდენ ხანს გასტანს რუსეთის აგრესიული ენერგოპოლიტიკა და რა მეთოდებს მიმართა და მიმართავს მის სისრულეში მოსაყვანად?! იმ გამოწვევების ფონზე, როდესაც საქართველოსთვის სულ უფრო მეტად პრიორიტეტული ხდება ენერგოდამოუკიდებლობა, რუსეთის დოქტრინა თავისი არსით კიდევ უფრო საყურადღებოა. რა ეწერა ამ დოკუმენტში და რა საფრთხეებს შეიცავს ის საქართველოსთვის და არა მხოლოდ საქართველოსთვის? გარდა ბიზნესინტერესებისა, რუსეთი აქტიურად ცდილობს, ენერგოდამოკიდებულება აქციოს პოლიტიკური და გავლენის სფეროს გაძლიერების ინსტრუმენტად, ამიტომ მისი ინტერესი, საქართველო არ გახდეს ენერგოდამოუკიდებელი, დიდია. შესაბამისად, მისსავე ინტერესებშია, არ მოხდეს საქართველოში ჰიდროპოტენციალის ათვისება“, — წერს ერთ-ერთი ქართული საინფორმაციო სააგენტო და ამ სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებს აფასებს ზოგიერთი ქართველი ექსპერტი. ისინი თვლიან, რომ საქართველოში რუსული კომპანიების შემოსვლა სიკეთეს არ მოიტანს. ჟურნალისტებიც და ექსპერტებიც დავითგარეჯის გარშემო არსებულ პრობლემასაც რუსეთს და ენეგრომატარებლების ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნების მის სურვილს უკავშირებენ.

**რას მოუტანს საქართველოს რუსული კომპანიების შემოსვლა? არის თუ არა ეს ჩვენი ქვეყნისთვის საფრთხის შემცველი? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ანალიტიკოსი ვალერი კვარაცხელია გვესაუბრება.**

— რუსებს საქართველოსთვის პრობლემების შექმნა შეუძლიათ არა მხოლოდ ენერგეტიკული გზით, არამედ უამრავი გზით. საქართველო რატომღაც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რუსეთი დაიპირისპიროს და პრობლემები შეიქმნას. ბევრჯერ მითქვამს, დამიწერია, სატელევიზიო ეთერში მისაუბრია, თუ ჩვენ განვაგრძობთ რუსეთთან დაპირისპირების გზით სიარულს, რუსეთთან მტრობის გზით სიარულს, ამ ქვეყანას შეუძლია არა მხოლოდ ენერგეტიკული პრობლემები შეგვიქმნას, არამედ, საერთოდ, საქართველო რუკიდან გააქროს, სულ ცოტა, ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო დაშლას შეუწყოს ხელი. საქართველოს დაშლა უკვე დაწყებულია, ის სამ ნაწილად არის დაყოფილი, მაგრამ რუსეთს შეუძლია მეტად დაყოს. ძალიან რთული ვითარება შეიძლება შეიქმნას ჯავახეთის რეგიონში, ქვემო ქართლში, ეს პრობლემები დაწყებულიც კი არის, თუნდაც დავითგარეჯის პრობლემა. სომხებმა უკვე მოგვცეს მინიშნება, რომ ყველაფერი რიგზე არ არის... აჭარის პრობლემაც მნიშვნელოვანია და რუსეთს შეუძლია წკიპურტი წაჰკრას ამ ყველაფერს და საქართველო დაიშლება.

**— ამბობენ, რომ დავითგარეჯის პრობლემაც რუსეთის შექმნილია ენერგომატარებლების გამო — რუსეთს სურს, რომ აზერბაიჯანის ბუნებრივი აირი გავიდეს და რუსული შემოვიდესო...**

— ურევია თუ არა რუსეთის ხელი დავითგარეჯის გარშემო შექმნილ გაუგებრობაში, ამის მტკიცების არანაირი საფუძველი არ არსებობს და არც არავინ თქვას, მაგრამ, თუ დასჭირდება რუსეთს, ამ გზით იაროს და კისერი ასე მოგვიგრიხოს, ყველა ბერკეტს აამუშავებს და, მერწმუნეთ, მას ეს ბერკეტები აქვს.

სამწუხაროდ, **საქართველოს არ ჰყავს დამოუკიდებელი ხელისუფლება, რომელიც აზროვნებს და განჭვრეტა შეუძლია. მოაზროვნე და დამოუკიდებელი ხელისუფლება რომ გვყავდეს, საქართველოსთვის ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლებოდა, შეიცვლებოდა იმით, რომ რუსეთთან მოლაპარაკება დაიწყებოდა.**

საქართველოში ვითომ იცვლება ხელისუფლებები, პოლიტიკოსები, რეჟიმები, პრეზიდენტები, მაგრამ არც ერთ მათგანს არ აქვს გონება და გარედან ნებართვა, რომ რუსეთს დაელაპარაკოს. **თუ გახსოვთ, რომელიმე მთავრობაში, რომელიმე მაღალი თანამდებობის პირს რომ ეთქვას, რუსეთს დაველაპარაკოთო?** რამდენჯერ წამოვიდა რუსეთისგან ინიციატივა, რამდენჯერ შემოგვითვალა პირადად რუსეთის პრეზიდენტმა: მზად ვარ, გელაპარაკოთო, მაგრამ აქედან არავინ შეეხმიანა. ერთადერთი, რაც მახსენდება, არის პრეზიდენტ **მარგველაშვილის** სულელური განცხადება — **დავეკითხებით ჩვენს კოლეგებსა და პარტნიორებს დასავლეთში და ამის შემდეგ გადავწყვეტთ, დაველაპარაკოთ თუ არა რუსეთსო. თურმე, მეზობელს რომ დაელაპარაკო, ნებართვა უცხოელ პარტნიორებს (თუ პატრონებს?) უნდა სთხოვო. ასეთი საქციელი უგუნურება და სისულელეა; ეს ნიშნავს, რომ ხელფეხშეკრული ხარ. თავისუფლების მისხალიც კი არ იგრძნობა ასეთ ქვეყანაში.**

რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა, უზარმაზარი პოტენციალით, მას სურს თუ არ სურს ლიდერობა, ის არის ენერგოლიდერი მსოფლიოში და არა მხოლოდ ენერგოლიდერი, ის, უბრალოდ, ლიდერია. მსოფლიოში ენერგოლიდერი რამდენიმე ქვეყანაა და მათ შორის ყველაზე დიდი არის რუსეთი. ამერიკა ცდილობს, რუსეთს შეეცილოს და თავისი ფიქალის გაზი თუ გაზის იმიტაცია გაასაღოს ევროპაში, მაგრამ ვერ ახერხებს. ევროპა კი არის გაბრიყვებული, მაგრამ მათაც იციან, რომ სიბრიყვეა ამერიკული უვარგისი გაზის ყიდვა ორჯერ უფრო ძვირად, თანაც ტანკერებით ზიდონ, როდესაც შესაძლებელია, მილით მიიღონ მარტივად. **ახლა რუსეთსა და უკრაინას შორის დაიწყო მოლაპარაკება ბუნებრივი აირის მიწოდებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის სასტიკი დაპირისპირებაა. ეს არის აშკარა ნიშანი იმისა, რომ რუსეთს გვერდს ვერავინ აუვლის, როგორი მოწამლულიც უნდა იყოს ის.**

აზერბაიჯანთან ურთიერთობა რომ გაგვირთულდეს და ბუნებრივი აირის მოწოდება შეგვიწყდეს, რით ჩავანაცვლოთ?

**— სწორედ მაგას ამბობენ, რუსეთი შეგნებულად გვირთულებს საქმეს, რუსულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულნი რომ გავხდეთო... ქართველი ე.წ. ექსპერტები ამბობენ, რომ რუსული კომპანიები საქართველოს სიკეთეს არ მოუტანენო.**

— რუსული კომპანიების ქართულ ბაზარზე შემოსვლა ცუდი ჰგონიათ ავადმყოფური ცნობიერების მქონე ადამიანებს, რომლებსაც ტვინის ნატამალი არ აქვთ თავში, ისინი არიან უცხოელების მიერ დაქირავებული პროვოკატორები; დაძრწიან არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც და ამღვრევენ წყალს, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. **თუ ჩვენ რუსეთის პარტნიორები გავხდებით, თუკი შევძლებთ, მოვიხმაროთ ის სიმდიდრეები, რომლებიც რუსეთს აქვს და საერთოდ, თუ რუსეთთან ერთად ერთობლივ უსაფრთხოების ზონაში ვიქნებით, ჩვენი დაცულობა მოიმატებს, პრობლემები კი ნამდვილად არ მოგვემატება. შანსი გაიზრდება იმისა, რომ დაშლილ-დანგრეული საქართველო გამთლიანდეს და აშენდეს.**

როგორ გვინდა, აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემა მოვაგვაროთ, თუ რუსეთთან ურთიერთობას არ დავამყარებთ?! როგორ უნდა მოვაგვაროთ რუსეთის გარეშე ეკონომიკური პრობლემა, რომელიც გვახრჩობს? მშიერი ბავშვებით გაივსო საქართველო.

ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, ეს მამაძაღლები, გამოსავალს კი არ ეძებენ, უფრო ამძიმებენ ვითარებას. რუსული კომპანიების შემოსვლას ხელს კი არ უნდა უშლიდნენ, პირიქით — გზას უნდა უხსნიდნენ, რომ შემოვიდნენ. ეგებ ჩვენც მეტად შევიდეთ რუსულ ბაზარზე და ქვეყანამ ამოისუნთქოს.

აზერბაიჯანს ბუნებრივი აირის მოწოდებაზე მონოპოლია აქვს აღებული, მაგრამ საპასუხოდ არაფერს აკეთებს, ჩვენ იქ არაფერი შეგვაქვს, რუსეთში კი შევიტანთ, თუ აქეთ შემოვუშვებთ.

ხელოვნურად ამწვავებენ ურთიერთობას მეზობელ ქვეყანასთან, არადა, მსოფლიო არ მიდის იმ მიმართულებით, რომელი მიმართულებითაც ესენი მიდიან. ამათ ჰგონიათ, რუსეთი დაიშლება, დაინგრევა, მაგრამ ვითარება ასეთი არ არის.

რამდენიმე დღის წინათ რუსეთში ჩინეთის ლიდერი ჩავიდა, თითქმის ყველა საკითხზე შეთანხმდნენ, მათ შორის, სრული ჰარმონიაა. ყალიბდება ახალი, უზარმაზარი კავშირი **და, როდესაც ხედავ, რომ ჩინეთ-რუსეთის კავშირი ყალიბდება, როგორღა ფიქრობ, რომ რუსეთი შეიძლება დაიშალოს?! როგორ შეიძლება იხელმძღვანელო მოწამლული ცნობიერებით, რეალობას არ შეხედო, ინფორმაციას არ გაეცნო და შენს ხალხს მოუწოდებდე, — რუსეთთან მტრობის გზით პროგრესს მივაღწევთო? რუსეთთან მტრობით რასაც მივაღწიეთ, ეს არის დაშლა, ეკონომიკური გაუბედურება, დემოგრაფიული კატასტროფა, მოსახლეობის განახევრება და ეს პროცესი არ შეჩერდება, თუკი რუსეთთან ქიშპობა გაგრძელდება.**

**— „როსნეფტი“ კრემლის იარაღია, რომელსაც ის ჰიბრიდულ ომში იყენებს“, — წერენ ე.წ. ექსპერტები.**

— ამერიკას უვარგისი აირი აქვს, რომელსაც ტენის ევროპას, როგორ ფიქრობთ, ეს თეთრი სახლისთვის ინსტრუმენტი არ არის? ამერიკული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი არ არის?

დიახ, კრემლის ინსტრუმენტია რუსეთის სიმდიდრეები, კრემლის ინსტრუმენტია რუსული ძლიერება, რუსული არსენალი. კრემლის ინსტრუმენტია ყველაფერი ის, რაც აქვს რუსეთს, ისევე, როგორც თეთრი სახლის ინსტრუმენტია ყველაფერი, რაც ამერიკას გააჩნია. ამაში გაუგებარი და გასაკვირი რა არის?

**— წაადგება საქართველოს ის სიმდიდრე, რომელიც რუსეთს გააჩნია, თუკი ჭკვიანურად მოიქცევა?**

— რუსეთთან საერთო ენის გამონახვის აუცილებლობას ალტერნატივა არ აქვს. საქართველოს რუსეთთან დაპირისპირება რუსეთს ვერ დაანგრევს, პირიქით კი მოხდება — რუსეთისა და საქართველოს ინტერესების ჰარმონიზება რუსეთსაც წაადგება და საქართველოსაც გადაარჩენს. ეს გასაკეთებელია, ოღონდ არა ხელოვნურად. რუსეთ-საქართველოს ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს უამრავ სტრატეგიულ საკითხში, მეზობლები ვართ.

**— ხელისუფლება ასე არ ფიქრობს. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ მეზობელ ქვეყანასთან საერთო ინტერესები არ გვაქვს...**

— ჯანდაბას ასეთი ხელისუფლება, იდიოტების ხელისუფლება!

ჩვენთვის კოლექტიური უსაფრთხოებაა მნიშვნელოვანი, რუსეთი დაინტერესებულია, მის საზღვრებთან არ იყოს მისი მტრის — ნატოს ბაზები და ამაში საქართველო ხელს უნდა უწყობდეს რუსეთს. საქართველო უნდა განვითარდეს ან ნეიტრალიტეტის გზით, ან რუსეთთან სამხედრო სტრატეგიული პარტნიორობის გზით. ჩვენ ორივე გვაძლევს ხელს, რუსეთსაც. ამისთვის მეზობელთან დალაპარაკებაა საჭირო, მაგრამ მტრად აცხადებენ და როგორ უნდა ილაპარაკონ?! საქართველოს იდიოტები მართავდნენ და მართავენ დღესაც.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## «როდესაც ხედავ, რომ ჩინეთ-რუსეთის კავშირი ყალიბდება, როგორღა ფიქრობ, რომ რუსეთი შეიძლება დაიშალოს?! როგორ შეიძლება იხელმძღვანელო მოწამლული ცნობიერებით, რეალობას არ შეხედო, ინფორმაციას არ გაეცნო და შენს ხალხს მოუწოდებდე, — რუსეთთან მტრობის გზით რაღაცას მივაღწევთო. რუსეთთან მტრობით რასაც მივაღწიეთ, ეს არის დაშლა, ეკონომიკური გაუბედურება, დემოგრაფიული კატასტროფა, მოსახლეობის განახევრება და ეს პროცესი არ შეჩერდება, თუკი რუსეთთან ქიშპობა გაგრძელდება»

ბაჩუ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როგორც ჩანს, 2020-ის „დიადი არჩევნების“ დროსაც ისევ „სამოცდახუთი ოცდათხუთმეტზე“ იქნება ჩვენი ხვედრი და კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ „საბოლოოდ“ დავამარცხებთ, დავასამარებთ და „დავასიკვტილებთ“ ნაცებს... და ნეტავ, კიდევ რამდენი წელს მოგვიწევს „ნაცების საბოლოოდ დასამარება“? ან, როდემდე გაჰყვება ქართველ ამომრჩეველს განწყობა, რომელსაც ყველაზე კარგად ასახავს ოთარ რამიშვილის ცნობილი სიმღერის ასეთი პერიფრაზი: შენი კანდიდატი ჩემსას ჯობია? არა, ჩემი სჯობს შენს! ორივე მტკვარში დაგვახრჩობია, შენც დაისვენებ, მეც...**

# ბოკერიაზე უკეთესი ხელისუფლება და მურუსიძეზე უარესი ოპოზიცია

**65 და 35 — ეს ციფრები, უკვე 7 წელიწადია, ლამის დავიზეპირეთ ქართველმა ამომრჩეველმა. ყველა არჩევნები, იქნება ეს პარტიული სიით თუ მაჟორიტართა ჭიდილი, სწორედ ერთი და იმავე შედეგით მთავრდება: „ქართული ოცნება“ იღებს 65 პროცენტს (დაახლოებით), ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ — 35 პროცენტს (დაახლოებით). ზუსტად ასევე „ოცნების“ მხარდაჭერილი მაჟორიტარობის კანდიდატი ამა თუ იმ ოლქში იღებს 65 პროცენტს, ხოლო ნაცების მხარდაჭერილი კანდიდატი იღებს 35 პროცენტს და ასე უსასრულოდ.**







გამონაკლისი პარტიული არჩევნების შემთხვევაში შეიძლება იყოს რომელიმე იმ კონკრეტული არჩევნების მომენტისთვის მეტ-ნაკლებად „გაჩითული“ პარტია, რომელიც ამ ბალანსს ჰა-ჰა 5 პროცენტით თუ დაარღვევს და 5-პროცენტიანი ბარიერის 0.1 პროცენტით გადალახვის ხარჯზე პარლამენტში შეძვრება. ასეთ შემთხვევაში ეს ციფრები შეიძლება 63 და 32 გახდეს. მაჟორიტარების შემთხვევაში კი, ერთდაერთი დისკომფორტი ამ ორი, როგორც თავადვე უწოდებენ თავს, „მთავარი“ პარტიისთვის შეიძლება იყოს მეორე ტური, ანუ პირველ ტურში ვერც ერთი ვერ ადის 50 პროცენტამდე, მაგრამ მეორე ტურში ყველაფერი ლაგდება და შედეგი ისევ ეს ყბადაღებული 65 და 35 პროცენტია, როგორც რაღაც გარკვეული **მუდმივა ბედკრული საქართველოს გაფარჩაკებული პოლიტიკისა.**

წინამდებარე სტატია განგებ არ გამოვაქვეყნეთ მთაწმინდის ოლქში გასამართი არჩევნების მეორე ტურის დასრულებამდე, რომ ვინმეს რომელიმე კანდიდატის მხარდაჭერა არ დაებრალებინა. არჩევნები უკვე დასრულებულია. **ლადო კახაძე**, რა თქმა უნდა, 65 პროცენტით უკვე პარლამენტშია, **შალვა შავგულიძე,** ასევე, რა თქმა უნდა, 35 პროცენტით — პარლამენტს გარეთ.

ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. სულ ტყუილად ნერვიულობდნენ კანდიდატებიც, მათი მხარდამჭერებიც, პარტიული ბოსებიც, აქტივისტებიც, მოსყიდული ჟურნალისტებიც და მთლიანად ქვეყანაც. სამოცდახუთი ოცდათხუთმეტზე — ეს გარდაუვალი დიაგნოზია უკვე ამ ქვეყნისთვის.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად ქვეყანაც, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული ნათქვამია. მთლიანად ქვეყანა მართლაც არ ნერვიულობდა, რადგან ჩვენს ქვეყანას, ხსენებულის გარდა, კიდევ ერთი ცალკე 35-იც სჭირს დიაგნოზად. კერძოდ, არჩევნებზე ამომრჩეველთა მხოლოდ 35 პროცენტი დადის ხოლმე უმეტეს ოლქებში. მხოლოდ ორი თუ სამი რაიონი და საარჩევნო ოლქია ქვეყანაში, სადაც არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა პროცენტული რაოდენობა ჰაჰა 40-45 პროცენტს აღწევს. სხვაგან, ანუ მთლიანად **ოლქების თითქმის 99 პროცენტში, არჩევნებზე მუდამ 35 პროცენტი დადის. 65 პროცენტს, შეიძლება ითქვას, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, არჩევნებში ნაცები გაიმარჯვებენ თუ „ქოცები“, კონკრეტულ მაჟორიტარულ ოლქებში კი ნაცების კანდიდატი თუ „ქოცების“ და ა.შ.**

აი, მივუახლოვდით კიდეც მთავარ საკითხს, რომლის გამოც დაიწერა ეს სტატია. როგორ ფიქრობთ, **როდესაც მოსახლეობის 65 პროცენტს ფეხებზე ჰკიდიხარ, ასეთ გამარჯვებას, გინდ ერთი, გინდ მეორე მხარისთვის აქვს ფასი?** რა თქმა უნდა, **თუ მატერიალურ და პირადი კეთილდღეობის ფაქტორს არ ჩავთვლით, სხვა ფასი ამას ნამდვილად არ აქვს.** ერთადერთი ის არის, რომ გამარჯვებული მოიპოვებს პარლამენტარის სახელს, გავლენას, პრივილეგიებს და შესაბამის ფულად ანაზღაურებას, ხელფასის და მასზე მიბმული პრემია-დანამატების სახით, აგრეთვე, პარლამენტარის მაღალ პენსიას. არც არავინ იტყოდა ამაზე უარს და, როგორც ჩანს, სწორედ ამისთვის მიმდინარეობს ხოლმე ბრძოლა კანდიდატებს შორის, თორემ, როგორც უკვე ვთქვით, იდეური კუთხით ასეთ გამარჯვებას ჩალის ფასი აქვს.

რატომ ხდება ასე? ფაქტია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში (უიშვიათესი გამონაკლისის გარდა) იმარჯვებს 41-ის პირდაპირი ან ირიბად მხარდაჭერილი კანდიდატი სადღაც 60-65 პროცენტით, ხოლო წაგებული მუდმივად რჩება 5-ის პირდაპირი ან ირიბად მხარდაჭერილი კანდიდატი 35-40 პროცენტით და ეს ციფრები არასოდეს იცვლება. დასკვნა მარტივია: **მოსახლეობის 65 პროცენტი არის უბრალო, არასახარბიელო მატერიალურ პირობებში მყოფი მოქალაქე. დანარჩენი 35 პროცენტი კი არის ან „ქოცების“, ან ნაცების აქტივისტი. საზოგადოდ, ასეთი ტიპები თითქმის თანაბრად არიან ხოლმე, მაგრამ მათ შორის წარმოიქმნება კიდევ ერთი განსაკუთრებული ფენა, რომლის წარმომადგენლები ც იმის მხარეს არიან, ვინც მთავრობაშია. აი, ეს განაპირობებს კიდეც იმას, რომ აქტიური 35 პროცენტიდან 60-65 პროცენტი ხელისუფლების კანდიდატს აძლევს ხმას, ხოლო 35-40 — ოპოზიციის კანდიდატს.**

**ხელისუფლების მხარდამჭერთა გამარჯვების ყიჟინა — «არიქა, ბეჭებზე დავდეთ მოწინააღმდეგე» — ცოტა სასაცილოა. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ მათმა კანდიდატმა წინა არჩევნებზე პაატა ბურჭულაძის პარტიის მხარდაჭერით მიიღო მონაწილეობა და ხმების მხოლოდ 3 პროცენტი აიღო. რა მოხდა?! ამ ორიოდ წელიწადში ამომრჩეველს უეცრად შეუყვარდა ლადო კახაძე?!**

ეს ჩვეულებრივი ამბავია და ხელისუფლების მხარდამჭერთა გამარჯვების ყიჟინა — „არიქა, ბეჭებზე დავდეთ მოწინააღმდეგე“ — ცოტა სასაცილოა. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ მათმა კანდიდატმა წინა არჩევნებზე **პაატა ბურჭულაძის** პარტიის მხარდაჭერით მიიღო მონაწილეობა და ხმების მხოლოდ 3 პროცენტი აიღო. რა მოხდა?! ამ ორიოდ წელიწადში ამომრჩეველს უეცრად შეუყვარდა ლადო კახაძე?! არა, უბრალოდ, მას ამჯერად „41“-მა დაუჭირა მხარი და, იქ ლადოს ნაცვლად „ტაბურეტკა“ რომ დებულიყო, მაინც 60-65 პროცენტს მიიღებდა. ზუსტად ასეა შალვა შავგულიძის შემთხვევაშიც: შალვას ნაცვლად იქ რაიმე ნივთი რომ დებულიყო, მაინც ხმების 35-40 პროცენტს მიიღებდა. საქართველოში ეს უკვე 7-წლიან ტრადიციად ჩამოყალიბდა.

და მთავარი: რატომ რჩება შინ ის 65 პროცენტი და რატომ არ მიდის არჩევნებზე? მოდი, რამდენიმე დღის წინათ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის“ ეთერში გამართული ტელედებატები გავიხსენოთ ლადო კახაძესა და შალვა შავგულიძეს შორის. ძირითადი ხაზი ამ ტელედებატებისა ერთი მხრიდან იყო ეს: „თქვენს წიაღში გყავთ დამნაშავე მოსამართლე ლევან მურუსიძე, ამიტომ მე გამოვედი თქვენი გუნდიდან, რათა არ გავახარო მურუსიძისნაირები და ვიბრძოლო სამართლიანობისთვის. მართალია, მე დავდექი **ბოკერიას** გვერდით, მაგრამ ბოკერიამ აღიარა, რომ ცუდად იქცეოდა ხელისუფლებაში ყოფნის დროს“. მეორე მხრიდან ძირითადი ხაზი იყო: „შენ დგახარ იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც პატიმრებს აწამებდნენ, ხოცავდნენ, კლავდნენ. მართალია, ჩვენ გვყავს მურუსიძე, მაგრამ ბოკერია უარესია“.

ხვდებით რაშია საქმე? ანუ **არც ერთი მხარე, ფაქტობრივად, არ ამბობს, რომ თვითონ კარგია. მათი მთავარი მესიჯი ამომრჩევლის მისამართით არის: „კი, მე ცუდი ვარ, მაგრამ შენ ჩემზე უფრო ცუდი ხარ!“. ჰოდა, აბა მითხარით, ასეთი „მესიჯბოქსის“ შემდეგ რატომ უნდა მოვიდეს ამომრჩეველი არჩევნებზე?**

შესაძლოა, ვინმემ თქვას: ამას ხომ, კაი ხანია, მიჩვეული ვართ და არჩევანი ცუდსა და უარესს შორის გვაქვს გასაკეთებელიო, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ „ქოცებისა“ და ნაცების დაპირისპირებაში ამ კუთხით სიახლე მაინც არის, თანაც პრინციპული. კერძოდ, აქამდე ხალხს ჰქონდა ეგ აზრი, რომ არჩევანი ცუდსა და უარესს შორის გვაქვს გასაკეთებელიო, თორემ დაპირისპირებული მხარეები ცდილობდნენ, დამტკიცებინათ, რომ კარგები არიან.

აი, „ქოცები“ და ნაცები კი უკვე თვითონ აღიარებენ, რომ არც ერთი მათგანი არ არის კარგი და ხალხს პირდაპირ მოუწოდებენ, არჩევანი ცუდსა და უარესს შორის გააკეთონ.

მართლაც ტრაგიკომიკურია, რომ „ქართული ოცნების“ ვერც ერთი წარმომადგენელი და აქტივისტი ვერაფრით „აპრავებს“ სამარცხვინო მოსამართლე ლევან მურუსიძეს და მხოლოდ ის აქვთ არგუმენტად, „ბოკერიას ხომ ჯობია“.

რატომ უნდა გყავდეს შენს რიგებში ადამიანი, რომელმაც თავისი უსამართლო გადაწყვეტილებებით საქვეყნოდ მოიჭრა თავი და რომლის ერთადერთი ღირსება არის ის, რომ „ბოკერიას ჯობია“?! ხომ შეიძლება, ეს ადამიანი, უბრალოდ, გაუშვა სახლში და შენი ამომრჩევლის წინაშე პირნათელი წარდგე, განაცხადო, რომ კარგი ხარ და არა „ბოკერიაზე უკეთესი“?

ეს, როგორც ჩანს, მუდმივად პასუხგაუცემელი კითხვაა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებისთვის და ისინიც, რაც შეუძლიათ, სხვადასხვა, ზოგჯერ ძალიან კომიკური ხერხებითაც კი არიდებენ თავს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

ამ ფონზე იმ ადამიანების ნამუსზე აგდება, რომლებიც არჩევნებზე არ მიდიან, უსამართლობაა. **მოსთხოვო სამოქალაქო პასუხისმგებლობა ადამიანებს, რომლებსაც ეუბნები, რომ შენ, მართალია, გყავს გარეწარი შენს რიგებში, მაგრამ სხვას უფრო დიდი გარეწარი ჰყავსო, თავისთავადაა გარეწრობა!**

როგორც ჩანს, 2020-ის „დიადი არჩევნების“ დროსაც ისევ „სამოცდახუთი ოცდათხუთმეტზე“ იქნება ჩვენი ხვედრი და კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ „საბოლოოდ“ დავამარცხებთ, დავასამარებთ და „დავასიკვტილებთ“ ნაცებს... და ნეტავ, კიდევ რამდენი წელს მოგვიწევს „ნაცების საბოლოოდ დასამარება“? ან როდემდე გაჰყვება ქართველ ამომრჩეველს განწყობა, რომელსაც ყველაზე კარგად ასახავს **ოთარ რამიშვილის** ცნობილი სიმღერის ასეთი პერიფრაზი: შენი კანდიდატი ჩემსას ჯობია? არა, ჩემი სჯობს შენს! ორივე მტკვარში დაგვახრჩობია, შენც დაისვენებ, მეც...

**არც ერთი მხარე, ფაქტობრივად, არ ამბობს, რომ თვითონ კარგია. მათი მთავარი მესიჯი ამომრჩევლის მისამართით არის: „კი, მე ცუდი ვარ, მაგრამ შენ ჩემზე უფრო ცუდი ხარ!“. ჰოდა, აბა მითხარით, ასეთი „მესიჯბოქსის“ შემდეგ რატომ უნდა მოვიდეს ამომრჩეველი არჩევნებზე?**

**ეს იდეოლოგია მიუღებელია ნორმალური ადამიანებისთვის. მიუღებელია მამათმავლობა, მიგრაცია, რომელმაც წალეკა ევროპა, ბრძოლა ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ, იუვენალური იუსტიცია, რომელიც არის სადამსჯელო მექანიზმი და მშობელს შვილს ართმევს, ქრისტიანული ფასეულობების უარყოფა, ნარკომანია და ა.შ. ახლა თეორიულად ყველაფერს შეიძლება ნორმა დაარქვა, მაგრამ საღად მოაზროვნე ადამიანები ხომ ასხვავებენ შავს და თეთრს ერთმანეთისგან. მობეზრდა, ამოუვიდა ხალხს ყელში ორმაგ სტანდარტებზე აგებული ბოროტება და ძალადობა დემოკრატიის სახელით. მორჩა, დადგა მომენტი, როცა ყველაფერი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს...**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ვაჟა ოთარაშვილი:

# ანტილიბერალური განწყობების შექმნას თვით ლიბერალური იდეოლოგია განაპირობებს

**დასავლეთში მიმდინარე ძირეულ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ გარდაქმნებს, რაც პირველ რიგში, ლიბერალური ჰეგემონიის კრახს გულისხმობს, გარკვეული შიში საქართველოშიც სდევს. უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსურად (და არა მხოლოდ), სწორედ იმ ლიბერალურ დღის წესრიგს არიან მიბმულები, სულ უფრო მეტს შფოთავენ იმის გამო, რომ დასავლეთის მსგავსად ანტილიბერალური განწყობები აქაც მატულობს. თუმცა ამ შიშებს გარკვეული ქმედებებიც ახლავს და ყოველი კონკრეტული ანტილიბერალური გამოვლინების შემდეგ კვლევა კვლევას და ანგარიში ანგარიშს მოსდევს იმის თაობაზე, რომ თურმე საქართველოში კონსერვატულ იდეოლოგიას რუსული პროპაგანდა ასაზრდოებს. მეტიც, ზოგიერთი ორგანიზაცია იმ აზრსაც ავითარებს, რომ ქართული რადიკალური კონსერვატიზმი, როგორც ასეთი, თავისთავად არ არსებობს და ყველა ის მიუღებლობა, რომლებიც საზოგადოების უდიდეს ნაწილშია დასავლური ფსევდოლიბერალური ფასეულობების მიმართ, სწორედ რუსული ნარატივის გაგრძელებაა.**

უცხოეთიდან დაფინანსებული ერთ-ერთი ასეთი ყველაზე აქტიური არასამთავრობო ორგანიზაცია თბილისში მოქმედი „ლიბერალური აკადემიაა“, რომელმაც მცირე ხნის წინათ ანტილიბერალური განწყობების მიზეზების შესასწავლად წელზე ფეხი დაიდგა და ორ რეგიონში — კახეთსა და შიდა ქართლში — ფართომასშტაბიანი „კვლევა“ ჩაატარა. „კვლევის“ თანახმად, თურმე, ის ფაქტი, რომ მოსახლეობაში ყველაზე მაღალი ნდობისა და ავტორიტეტის მქონე ინსტიტუტი კვლავ ეკლესიაა, ხოლო პროდასავლური კურსის გამტარებელი პოლიტიკური ძალებისადმი დამოკიდებულება — ნიჰილისტური, რუსული პროპაგანდის გავლენაა, ისევე როგორც, ვთქვათ, ის მზარდი უკმაყოფილება მოსახლეობაში, რომელიც დაკავშირებულია ჯანსაღი სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკის არარსებობასთან, ან მიგრანტების უკონტროლოდ შემოდინებასა და მიწების უცხოელებისთვის მიყიდვასთან... მარტივად რომ ვთქვათ, თურმე, რომ არა ეს პროპაგანდა („კვლევაში“ არგუმენტირებულად ვერ არის ახსნილი, კონკრეტულად რაში გამოიხატებაეს პროპაგანდა), ყველაზე გავლენიანი ეროვნული და რელიგიური ინსტიტუტი, მართლმადიდებელი ეკლესია, საზოგადოების უდიდესი ნაწილის ნდობას დაკარგავდა. მეტიც, რომ არა ეს პროპაგანდა, საქართველო თავის „ისტორიულ ფესვებს“, ანუ ლიბერალურ ფასეულობებს მყისიერად დაუბრუნდებოდა და „ჭეშმარიტი“ დემოკრატიული განვითარების შეუქცევად გზას დაადგებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება „მიუღებლობისგან“ გათავისუფლდებოდა და თანამედროვე დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ, თვით დასავლეთშივე უარყოფილ ყველა იმ ფსევდოფასეულობას მიიღებდა, რომელიც ტრადიციულ ქართულ კულტურასთან აბსოლუტურად შეუთავსებელია...

**რა არის დღეს საქართველოში მზარდი ანტილიბერალური განწყობების მიზეზი და განაპირობებს თუ არა ამ ყველაფერს რუსული პროპაგანდა? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, დასავლეთში მიმდინარე ძირეული იდეოლოგიურ-პოლიტიკური გარდაქმნების ფონზე, რაც „ლიბერალური“ ჰეგემონიის აღსასრულს მოასწავებს, საქართველოში სულ უფრო მეტი ლიბერალი შფოთავს იმის გამო, რომ თურმე ქვეყანაში რუსული პროპაგანდა მძლავრობს. რა არის დღეს რეალურად იმის მიზეზი, რომ ქვეყანაში ანტილიბერალური განწყობები იზრდება? შეიძლება თუ არა ეს რუსულ პროპაგანდას დავაბრალოთ?**

— საქართველო არის უძველესი ქრისტიანული კულტურის ქვეყანა, რომელშიც ჭეშმარიტი სარწმუნოება შემოიტანა **ანდრია პირველწოდებულმა.** იმ დროიდან მოყოლებული და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში წმინდა ნინომ იქადაგა, ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის ფუნდამენტს სწორედ მართლმადიდებლობა წარმოადგენს.

რაც შეეხება „ლიბერალურ“ შფოთს იმის გამო, რომ თურმე ქვეყანაში რუსული პროპაგანდა ძლიერდება და ამის შედეგია, ის რომ ანტილიბერალური განწყობები მატულობს, მე ასე ვიტყოდი: თუ რუსული პროპაგანდის შედეგია ის, რომ საზოგადოების უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია და მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტების ნებისმიერ მცდელობაზე მწვავედ რეაგირებს, თუ რუსული პროპაგანდის შედეგია ის, რომ ხალხი საკუთარ ტრადიციულ ფასეულობებთან შეუთავსებელ ფსევდოლიბერალურ სტანდარტებს არ იღებს, მაგალითად, როგორიცაა მამათმავლობის ნორმალიზაცია, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება და ა.შ. მაშინ ეს რუსული პროპაგანდა მისასალმებელი ყოფილა. თუმცა რა კავშირშია ანტილიბერალური განწყობების მატებასთან რუსული პროპაგანდა, სრულიად გაუგებარია. ეს ერთი და მეორე — **იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში და თითქმის სრულიად ევროპაში რომ ეროვნულ-კონსერვატიული ძალები ძლიერდებიან, ესეც რუსული პროპაგანდაა?!** სხვათა შორის ლიბერალები ხშირად იყენებენ ტერმინს „ანტიდასავლური განწყობები,“ რაც არასწორია. დასავლეთის მიმართ კი არ არის პროტესტი და მიუღებლობა, არამედ თანამედროვე გლობალისტური ნეოლიბერალური იდეოლოგიის მიმართ, რომელსაც ვიღაცები მიზანმიმართულად აიგივებენ დასავლეთთან. არადა, ამ რეაქციულმა იდეოლოგიამ, პირველ რიგში, თვითონ დასავლეთი მოსწყვიტა ისტორიულ ფესვებს და ამიტომაა მიუღებელი ევროპის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.

> **«იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში და თითქმის სრულიად ევროპაში ეროვნულ-კონსერვატიული ძალები რომ ძლიერდებიან, ესეც რუსული პროპაგანდაა?!»**

**— უცხოეთიდან დაფინანსებულმა ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიბერალურმა აკადემიამ“, რომლის ხელმძღვანელიც ლაშა ტუღუშია, ცოტა ხნის წინათ ქვემო ქართლსა და კახეთში კვლევა ჩაატარა და დაასკვნა, რომ თურმე ამ რეგიონებში მოსახლეობაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს რუსული „წითელი კომუნისტური“ პროპაგანდა. როგორ ფიქრობთ, რას ემსახურება რეალურად მსგავსი კვლევები?**

— სინამდვილეში ბატონმა **ტუღუშმა** და უცხოეთიდან დაფინანსებული ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა იცის, რომ ყველანაირ იდეოლოგიას და მით უფრო პროპაგანდას დღეს ამ ქვეყანაში ლიბერალური ტირანია სჭარბობს, მაგრამ ეს ადამიანები თითიდან გამოწოვილი მსგავსი თემებით არსებობენ. რეალურად მათ არც აინტერესებთ, საით წავა ქვეყანა და რა გზას აირჩევს, მათ აინტერესებთ მხოლოდ პირადი კეთილდღეობა. ისინი ჩვეულებრივი მედროვეები არიან და ხვალ საქართველო, მაგალითად, პროჩინური რომ გახდეს ან პროინდონეზიური, ესენი იქნებიან პირველები, ვინც მაგ რელსებზე გადავა. **ასე გააფთრებით რომ ებრძვიან „რუსულ პროპაგანდას“ და რომ ჰკითხო, პატრიოტები არიან, რატომ იმაზე არ ატარებენ კვლევებს, რამდენი ბავშვი შიმშილობს, განსაკუთრებით რეგიონებში?** რამდენ მოხუცს არ შეუძლია ჰიპერტონიისა და იშემიის წამლების ყიდვა? რამდენი იტანჯება იმის გამო, რომ ტკივილგამაყუჩებლის ფული არ აქვს?.. არაფერს ვამბობ უსახლკარო ოჯახებზე, რომლებიც ჩამოგრეულ ნახევრადფიცრულ ნაგებობებს აფარებენ თავს, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ: **ლაშა ტუღუშისნაირ საშუალო სტატისტიკურ „ენჯეოელს“ ეს კი არ აინტერესებს, არამედ გრანტი — დაფინანსება და კომფორტი...** გრანტზე რადგან ვსაუბრობ, აქვე ერთ მცირე ისტორიულ გადახვევას გავაკეთებ: 1632 წელს **ხოსრო მირზამ (როსტომ ხანმა)** თბილისში, გოგირდის აბანოებში შეიყვანა სპარსეთიდან ჩამოყვანილი მამათმავლები და ქართველ კაცებს, რომლებიც მათთან ერთად შევიდოდნენ აბანოში, ოქროთი სავსე ქისა ელოდებოდა. არც ერთმა ქართველმა ეს არ იკადრა და არ შევიდა მამათმავლებთან, იმიტომ, რომ ფულზე არ გაყიდეს ზნეობა. მერე, სხვათა შორის, პირდაპირ მეიდანზე დააყენეს ხალხი და გაიძახოდნენ, ისე შედით, არაფერი ქნათო, მაგრამ არც მაშინ შევიდნენ. რატომ ვყვები ახლა ამ ყველაფერს: ზნეობა, ღირსება ფულზე არ იყიდება და ქართველმა კაცმა ეს იცოდა, რადგან **მაშინდელი ოქროს ქისები ზუსტად ისეთივე გრანტები იყო, როგორიც ახლა ჯიბეში უჩხრიალებს ბატონ ლაშა ტუღუშსა და მისნაირ უნამუსო ლიბერალებს, თუმცა მათთვის ამის გაგება ალბათ, ძალიან რთულია, იმიტომ რომ არც ღირსება აქვთ, არც მორალი და სამშობლოს სიყვარულზე ხომ ზედმეტია საუბარი...**

**— ისე, თქვენ როგორ ფიქრობთ, ყოველი მსგავსი კვლევა რეალურად ახდენს გავლენას საზოგადოების განწყობებზე?**

— ერთი რამ ვიცი, ანტილიბერალურ განწყობებს, რომელიც, კიდევ ვიმეორებ, არ უნდა აგვერიოს ანტიდასავლურ განწყობებში, განაპირობებს არა რუსული პროპაგანდა, არამედ ის, რომ საზოგადოებამ, ბოლოს და ბოლოს, დაინახა და მიხვდა, რას წარმოადგენს რეალურად ეს იდეოლოგია. ამას თვითონ ლიბერალებიც ხვდებიან, მაგრამ ხელოვნურად ხდება მტრის სახის შექმნა, რომ რაღაცით დაფარონ რეალობა. სინამდვილეში ვინმე კი არ ებრძვით, უბრალოდ, ეს იდეოლოგიაა მიუღებელი ნორმალური ადამიანებისთვის. **მიუღებელია მამათმავლობა, მიგრაცია, რომელმაც წალეკა ევროპა, ბრძოლა ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ, იუვენალური იუსტიცია, რომელიც არის სადამსჯელო მექანიზმი და მშობელს შვილს ართმევს, ქრისტიანული ფასეულობების უარყოფა, ნარკომანია და ა.შ. ახლა თეორიულად ყველაფერს შეიძლება ნორმა დაარქვა, მაგრამ საღად მოაზროვნე ადამიანები ხომ ასხვავებენ შავს და თეთრს ერთმანეთისგან. მობეზრდა, ამოუვიდა ხალხს ყელში ორმაგ სტანდარტებზე აგებული ბოროტება და ძალადობა დემოკრატიის სახელით. მორჩა, დადგა მომენტი, როცა ყველაფერი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს...**

> **«ლიბერალები ხშირად იყენებენ ტერმინს «ანტიდასავლური განწყობები», რაც არასწორია. დასავლეთის მიმართ კი არ არის პროტესტი და მიუღებლობა, არამედ თანამედროვე გლობალისტური ნეოლიბერალური იდეოლოგიის მიმართ, რომელსაც ვიღაცები მიზანმიმართულად აიგივებენ დასავლეთთან. არადა, ამ რეაქციულმა იდეოლოგიამ, პირველ რიგში, თვითონ დასავლეთი მოსწყვიტა ისტორიულ ფესვებს და ამიტომაა მიუღებელი ევროპის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის»**

**— დავუბრუნდეთ ისევ „ლიბერალურ“ პროპაგანდას, მოგვწონს თუ არა, ფაქტია, რომ ამ პროპაგანდას დღეს საინფორმაციო ველი მონოპოლიზებული აქვს. თითქმის ყველა ტელევიზია თუ საინფორმაციო სააგენტო მათია, რაც ართულებს ბრძოლას მათ წინააღმდეგ. არადა ეროვნულ-კონსერვატიულ ფრთაშიც არიან ადამიანები, მათ შორის ბიზნესმენები, რომლებსაც შეუძლიათ, ეს ინფორმაციული ვაკუუმი გაარღვიონ... როგორ ფიქრობთ, რატომ არ დგამენ ისინი კონკრეტულ ნაბიჯებს, რატომ არის დღემდე ეს ფრთა მხოლოდ სოციალური ქსელების ამარა დარჩენილი?**

— უდიდესმა მხედართმთავარმა **ალექსანდრე მაკედონელმა** სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაიბარა: როცა მოვკვდები, ხელები მაღლა დამაჭერინეთ, ხალხმა რომ დაინახოს, იმქვეყნად არაფერი მიმაქვსო... ჩვენ ბევრი ფულიანი ხალხი გვყოლია, ბევრი მდიდარი და შეძლებული, მაგრამ მათგან მხოლოდ მათი სახელები დარჩა, ვინც ეროვნული საქმეები გააკეთეს. მაგალითად, **გიორგი ქართველიშვილი,** რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცა; **სარაჯიშვილი,** რომელმაც მწერლებს უძვირფასესი სასახლე გადასცა... რომელი ერთი ჩამოვთვალო. დანარჩენი — ვინ რა დალია, რა ჭამა და სად დაისვენა ან რამხელა სახლი აიშენა — არავის ახსოვს, ჩაირეცხნენ ჩვეულებრივად, ბოდიში და, ტუალეტის წყალივით. აი, ასე ჩაირეცხებით, ბატონებო, თქვენც, ვისაც თითქოს სამშობლოსთვის გიძგერთ გული, არადა, **დახარბებული ხართ მილიონებს. ოხრად დაგრჩებათ ის ფულიც და ოქრო-ვერცხლიც.** ასე რომ, ყალბია თითოეული თქვენი განცხადება თუ „პატრიოტული ამოფრქვევა“ სოციალურ ქსელებში, სანამ ამ ყველაფერს რეალურ ქმედებებში არ გარდასახავთ. ისე, მჯერა, რომ არა მხოლოდ საქართველოში, მთლიანად ქრისტიანულ სამყაროში მომავალი მხოლოდ ეროვნულ ძალებს აქვთ, ამიტომაა ეს პროცესი გარდაუვალი და მტრული, გლობალისტური ძალების გააფთრებული მცდელობები ამას ვერ შეცვლის...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ჩამორჩენილ“, „გაუნათლებელ“ ქართველ საზოგადოებაში მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებაა ლგბტ აქტივისტების მიმართ, ამიტომ საქართველოს შს მინისტრმა გიორგი გახარიამ ლგბტ-საექტანტებს ვერ მისცა გეიაღლუმის უსაფრთხოდ ჩატარების გარანტია და სააღლუმოდ დინამოს სტადიონის დახურული სივრცე შესთავაზა. ამაზე პედერასტული უარი და მუქარა მიიღო, რომ ე.წ. ღირსების მარშს აუცილებლად ჩაატარებენ.**

# რა ქნას სალომემ, ვაზის ჯვრის ნაცვლად ხელში ლგბტ დროშა დაიკავოს?

**ერთ-ერთ წინა წერილში ევროპარლამენტის, არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, აღვნიშნე, რომ ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, ინგლისი, უნგრეთი, საბერძნეთი, პოლონეთი) ნეოკონსერვატიულმა ძალებმა, გნებავთ, ე.წ. ევროსკეპტიკოსებმა იმარჯვეს. რაც შეეხება ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებს, იქ ნეოკონსერვატიული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიების მომძლავრების ტენდენცია აშკარაა. ამ ფაქტორებმა ევროპარლამენტში დღემდე გაბატონებული ნეოლიბერასტული იდეოლოგიის მიმდევარი სახალხო პარტიის პოზიციების ჯერ შესუსტების და შემდეგ დამარცხების რეალური პერსპექტივა გამოაჩინა.**

ნეოლიბერასტული იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ღმერთის უარყოფაა და, აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია, რომ ამ იდეოლოგიის ნგრევის პროცესი ევროპიდან იწყება, ანუ იქიდან, სადაც იშვა, შემდეგ კი სრულიად დასავლეთში (აშშ-ც) მმართველი პოლიტიკური ძალების იდეოლოგიად იქცა. მაგრამ, როგორც ერთ ქართულ ფილმშია, „თვალი დაუდგეს ევროპას“ და ამერიკასაც, სანამ ევროპარლამენტში ამჟამად მიმდინარე იმედისმომცემი ტენდენციები ჩვენს ლიბერასტულ პარლამენტში შეაღწევს, ამის იმედად მტერი იყოს. ჩვენ კი ჩვენი ნეოლიბერასტული გამოწვევებისა ვიკითხოთ.

სალომე ზურაბიშვილის მეხოტბე არასოდეს ვყოფილვარ, პირიქით — არჩევნების წინ ბევრჯერ მკაცრად გავაკრიტიკე კიდეც, მაგრამ...

ამას წინათ, **როდესაც პირველად დაიძაბა ვითარება დავითგარეჯის ირგვლივ, ქართული მედია, პოლიტოლოგები ამას ქალბატონ პრეზიდენტს აბრალებდნენ, — რაღაც არასწორად თქვაო. ეს „რაღაც“, არ ვიცოდი, რა იყო და ქალბატონი პრეზიდენტის სკანდალურ გამონათქვამებს ყურშეჩვეული ვფიქრობდი, ნეტავი რა თქვა ისეთი ბაქოში ვიზიტისას, მისმა კოლეგა ილჰამ ალიევმა დავითგარეჯის ოკუპაცია რომ გადაწყვიტა-მეთქი? როდესაც მოგვიანებით შევიტყვე, რომ თურმე ბაქოს მხრიდან აგრესიის მიზეზი ყოფილა ჩვენი პრეზიდენტის განცხადება „სადავო საზღვრების პრობლემა მალე უნდა მოგვარდეს“-ო, და შემდეგ დავითგარეჯის ფონზე მესაზღვრეებთან ფოტოს გადაღება იმის ნიშნად, რომ საქართველოსთვის ეს სამონასტრო კომპლექსი აპრიორი საქართველოაო, ჯერ გავოგნდი და შემდეგ სიამაყით ავივსე — ყოჩაღ, ქალბატონო სალომე!** დიახ, ყოჩაღ, რადგანაც თუნდაც იაფფასიანი პოპულიზმი ყოფილიყო (რასაც აბრალებენ ლიბერასტები ქალბატონ პრეზიდენტს), რაც თქვა თუ გააკეთა ქალბატონმა პრეზიდენტმა, მთავარი ეს არის და არა მოტივი — ყოჩაღ და გმადლობთ, ქალბატონო სალომე! დავითგარეჯა, დიახაც, საქართველოა! მადლობის თქმა კიდევ ერთი რამის გამო შეიძლება ქალბატონი პრეზიდენტისთვის — როგორც ცნობილია, 1 ივნისს ქართველთა განმანათლებლის, **წმინდა ნინოს,** საქართველოში შემობრძანების დღესასწაულზე საქართველოს პრეზიდენტმა ვაზის ჯვრით ხელში სიმბოლურად გაიარა წმინდა ნინოს გზა და ამის გამო, ერთი მხრივ, ხელმოცარული პოლიტიკოსებისგან ქილიკი, ხოლო, მეორე მხრივ, ე.წ. არასამთავრობო სექტორისგან რისხვა დაიმსახურა, — როგორ, საქართველოში ხომ მართლმადიდებლების გარდა სხვა რელიგიების აღმსარებლებიც ცხოვრობენ და წმინდა ნინოს ჯვარი საქართველოს პრეზიდენტის ხელში ამ „სხვა აღმსარებლების“ დისკრიმინაციააო. „სხვა აღმსარებლებში“, როგორც წესი, ე.წ. ტრადიციული კონფესიები (მაჰმადიანობა, იუდაიზმი, კათოლიციზმი) კი არ იგულისხმება, არამედ სატანისტი სექტები, რომლებიც წლების წინათ ერთი კრებსითი სახელის — ხლისტი ბუდარა-ბუდარიხების — ქვეშ გავაერთიანე და სწორედ ერთმა ბუდარიხამ, ბაპტისტების დედაკაცმაეპისკოპოსმა, **ინგა გრიგოლიას** „რეაქციაში“ დაამუნათა სალომე ზურაბიშვილი: ვაზის ჯვრით პოპულისტობას გერჩივნა, აჭარელი მუსლიმებისთვის მიგელოცა ნოვრუზბაირამის დღესასწაული, იმ აჭარლებისთვის, რომლებსაც მეჩეთი ვერ აუშენებიათ ბათუმშიო. ციტირებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ შინაარსობრივად ეს ბრძანა დედაკაცმა ეპისკოპოსმა. მართალია, ბათუმში ვერ ააშენეს ქართველთა სისხლში მოვასვასე სულთან **აზიზიეს** სახელობის მეჩეთი, სამაგიეროდ, ამბობენ, რომ აჭარაში და სხვა საქართველოში იმაზე მეტი მეჩეთია, რამდენიც აზერბაიჯანში... **საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც IV საუკუნეში მოციქულთა სწორმა წმინდა ნინომ ვაზის ჯვრით გაანათლა და მას შემდეგ მართლმადიდებელ ქვეყნად იწოდება, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველო ის ქვეყანაც არის, რომლის პრეზიდენტსაც შინაური თუ გარეული ლიბერასტები ცდილობენ, ხელში წმინდა ნინოს ვაზის ჯვრის დაჭერა აუკრძალონ და რა ქნას ახლა ქალბატონმა პრეზიდენტმა — წმინდა ვაზის ჯვრის მაგივრად ლგბტ თემის უწმინდური ბაირაღი ააფრიალოს?**

კიდევ ერთხელ მადლობას ვუძღვნი საქართველოს პრეზიდენტს იმისთვის, რომ 1 ივნისს, ნინოობას, წმინდა ვაზის ჯვრით ხელში სიმბოლურად გაიარა ქართველთა განმანათლებლის მიერ განვლილი გზა და ვიმეორებ, მადლობა, მიუხედავად იმისა, თუნდაც პოპულიზმი ყოფილიყო ამ პერფორმანსის მიზეზი. ისე, ცნობისთვის, ჯანსაღი პოპულიზმიც არსებობს და აი, როგორც იქნა, მივადექით წინამდებარე წერილის შექმნის მთავარ მიზეზს.

დასავლეთის მიმართ გამოთქმული ნებისმიერი კრიტიკული აზრი ჩვენი ლიბერასტი ქოც-ნაცებისგან ე.წ. რუსულ ნარატივად ცხადდება. მაგალითად, ნეოლიბერასტების ერთ-ერთი მამამთავრის ნათქვამი, — ჩვენ დავამარცხეთ



**ნეოლიბერასტების ერთ-ერთი მამამთავრის ნათქვამი, — ჩვენ დავამარცხეთ სსრკ, ახლა მართლმადიდებლობაა ჩვენი მთავრი მტერი, — ზბიგნევ ბჟეზინსკის კი არ ეკუთვნის, არამედ სიცრუე, რუსული ნარატივია; ნატოში არ მიგვიღებენ — ესეც კრემლის ნარატივია; დავითგარეჯაზე სიმართლის თქმა პუტინის ნარატივია; მოკლედ, გვალვაა თუ კოკისპირული წვიმა, სიცივეა თუ სიცხე? ყველაფერი რუსეთის ბრალია, ანუ რუსული ნარატივია და, რა გასაკვირია, რომ არც ალენ დალესის დოქტრინა არსებობს, რომლის მიხედვითაც დასავლეთიდან საქართველოში მხოლოდ სიბინძურე, სოდომის გარყვნილება შემოედინება და ესეც რუსული ნარატივია**

სსრკ, ახლა მართლმადიდებლობაა ჩვენი მთავარი მტერი, — **ზბიგნევ ბჟეზინსკის** კი არ ეკუთვნის, არამედ სიცრუე, რუსული ნარატივია; ნატოში არ მიგვიღებენ — ესეც კრემლის ნარატივია; დავითგარეჯაზე სიმართლის თქმა პუტინის ნარატივია; მოკლედ, გვალვაა თუ კოკისპირული წვიმა, სიცივეა თუ სიცხე — ყველაფერი რუსეთის ბრალია, რუსული ნარატივია და, რა გასაკვირია, რომ არც **ალენ დალესის** დოქტრინა არსებობს, რომლის მიხედვითაც დასავლეთიდან საქართველოში მხოლოდ სიბინძურე, სოდომის გარყვნილება შემოედინება და ესეც რუსული ნარატივია.

თუნდაც მართლაც რუსული ნარატივი რომ იყოს ყოველივე ზემოთქმული, იმ ფაქტს რა ვუყოთ, რომ ყველაფერი ცუდი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, იმ არარსებულ ალენ დალესის დოქტრინაში წერია? დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ინტერნეტში „დაგუგლოს“ ალენ დალესის დოქტრინა და თითქოს სარკეში იყურები, ყოველივეს ნათლად ხედავ: ნარკომანია, ოჯახის ინსტიტუტის განადგურება, ცნება ეროვნების წაშლა, მამათმავლობის გავრცელება, ავტორიტეტებისა და ეკლესიის დისკრეტიზაცია, აქედან გამომდინარე, ყველანაირი მორალის უარყოფა და ა.შ. წინა წერილში ვწერდი, რომ მართლმადიდებელ სივრცეში მხოლოდ რუსეთი, ბელარუსი და საქართველოა ის ქვეყნები, რომლებშიც დღემდე ვერაფრით მოხერხდა გეიაღლუმის ჩატარება და, თუ დიდ ბელარუსს და კიდევ უფრო დიდ რუსეთს, იციან, ვერაფერს მოუხერხებენ, რადგან **ლუკაშენკო-პუტინს,** მათ მიმართ გამოთქმული უამრავი პრეტენზიის მიუხედავად, ლიბერასტობას ვერაფრით დასწამებ, პატარა საქართველოში, რომელსაც ლიბერასტული დასავლეთის მარიონეტი ხელისუფლებები მართავდნენ და მართავს და რომელშიც სოროსმა უამრავი ფული ჩაყარა, რა გახდა გეიაღლუმის ჩატარება?

რა გახდა და ჩვენმა ლიბერასტმა ქოც-ნაცებმა ვერაფრით მოახერხეს მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ეკლესიის დისკრედიტაცია. უფრო ზუსტად, ეკლესიის მეტ-ნაკლები დისკრედიტაცია კი შეძლეს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ავტორიტეტს. სწორედ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, 17 მაისი, რომელიც ყველა „ცივილიზებულ საზოგადოებაში” ჰომოფობიასთან ბრძოლის დღეა, 2014 წლის 17 მაისიდან საქართველოში აღინიშნება, როგორც ქართული ოჯახის დაცვის დღე. 17 მაისს ასიათასობით ადამიანი გამოდის საქართველოს სხვადასხვა ქალაქის ქუჩებში და ამიტომ ლგბტ პირები ვერ ბედავენ აღლუმის მოწყობას. **გაცდენილი (თუ ასე თქმა შეიძლება) 17 მაისის საკომპენსაციოდ საქართველოში მცხოვრებმა ჰომოსექსუალებმა გადაწყვიტეს, ა.წ. 18-25 ივნისს თბილისში გამართონ ლგბტ სექტის ღონისძიებათა კვირეული, რომლის საფინალო აკორდი იქნება გეიაღლუმი რუსთაველის პროსპექტზე, ანუ როგორც მას ლგბტ აქტივისტები უწოდებენ, ღირსების მარში. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული საპატიო სტუმარ-პედერასტები.**

„ჩამორჩენილ, გაუნათლებელ“ ქართველ საზოგადოებაში მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებაა ლგბტ აქტივისტების მიმართ, ამიტომ საქართველოს შს მინისტრმა გიორგი გახარიამ ლგბტ-სექტანტებს ვერ მისცა გეიაღლუმის უსაფრთხოდ ჩატარების გარანტია და სააღლუმოდ დინამოს სტადიონის დახურული სივრცე შესთავაზა. ამაზე პედერასტული უარი და მუქარა მიიღო, რომ ე.წ. ღირსების მარშს აუცილებლად ჩაატარებენ.

შს მინისტრის განცხადებას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა „მეგობარ“ დასავლეთში, საიდანაც ბრძანების შემცველი „რეკომენდაციები“ წამოვიდა — თუ ნატოსა და ევროკავშირის წევრობის მტკიცე დაპირებები გინდათ, ნუ დაჩაგრავთ ქართველ ლგბტ პირებსო. ამას დავუმატოთ ევროკომისიის ხელმძღვანელ **ჟან-კლოდ იუნკერის** მიერ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიძულვილის ენით საუბარში დადანაშაულება იმის გამო, რომ ჩვენმა უწმინდესმა ლგბტ-ღონისძიებებს სირცხვილი, ხოლო მამათმავლობას ავადმყოფობა უწოდა და სურათი დასრულებულ სახეს მიიღებს — ლიბერასტული მსოფლიო მხარში უდგას ქართველ ლგბტ-ებს, რომ, რადაც უნდა დაუჯდეთ, წელს აუცილებლად უნდა ჩაატარონ გეიაღლუმი საქართველოში.

რატომ ასეთი ახირება-გაафთრება პატარა საქართველოს მიმართ, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ სოროსისტ ლიბერასტებს მთელი „ცივილიზებული დასავლეთი“ ისედაც „გაგეიაღლუმებული“ ჰყავს?

ჩემი მოკრძალებული აზრით, იმიტომ, რომ, მართალია, საქართველო ტერიტორიით პატარა ქვეყანაა, სამაგიეროდ, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას აქვს დიდი წონა და დიდი ავტორიტეტით ქრისტიანულ სამყაროში, რადგან საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობა, ქართველთა უსაფუძვლო ტრაბახი კი არა, ქრისტიანულ სამყაროში საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ლგბტ-ზაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მართლმადიდებლობის დამარცხებისკენ მიმავალ გზაზე.

ვნახოთ — საქართველოს ლგბტ-ები დაოკებას არ აპირებენ და არა მხოლოდ ღირსების მარშით გვემუქრებიან ეს უღირსები, არამედ ახლო მომავალში ფიზიკურ განადგურებასაც გვპირდებიან...

მაშ ასე, როგორც იტყვიან, წილი ნაყარია, ლგბტ თემის გამოწვევა მიღებულია! ჩვენთან არს ღმერთი!

საცა ვიწროა, იქ გაწყდესო, ნათქვამია...

**დავით მხეიძე**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამერიკაში კონსერვატორებმა რომც გაიმარჯვონ, ჩვენთვის არაფერი შეიცვლება, რადგან კოლონიაზე ცვლილებები არ გავრცელდება. ამერიკის სტრატეგია რაც არის ჩვენი ქვეყნისთვის განკუთვნილი, როგორც გზაგასაყარისა, უცვლელი დარჩება. ჩვენ არ ვართ ამერიკის შეერთებული შტატების ნაწილი, ჩვენ კოლონია ვართ ამერიკელებისთვის და ტრამპის ნიღაბი არაფერში გვარგია. ამერიკა ქმნის აურზაურს, ტრამპი ჟონგლიორია, რომელიც ვითომ ცდილობს კონსერვატიზმის რელსებზე გადასვლას. ეს სპექტაკლია, ეს ნიღაბია. ამერიკელები ჩვეულებრივი პოლიტაფერისტები არიან“**



# გურამ ქართველიშვილი: ამერიკაა თავიდათავი ყველა იმ უბედურებისა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდება

**11 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან საპროტესტო აქცია დაიგეგმა. აქციის ინიციატორები არიან: ისტორიკოსი გურამ ქართველიშვილი, პოლიტიკოსები — ლევან ჩაჩუა, დიმიტრი ლორთქიფანიძე და სამოქალაქო აქტივისტი გურამ ფალავანდიშვილი. ისინი აპროტესტებენ ამერიკის ოფიციალურად გამოცხადებულ მხარდაჭერას საქართველოში გეიკვირეულის ჩატარების თაობაზე. საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი პროცენტი თვლის, რომ ყველა პრობლემა, რომელთა წინაშეც დგას დღეს ჩვენი ქვეყანა, ამერიკიდან მოდის. ამ სიტყვებს ზოგიერთი პოლიტიკოსიც ამბობს და ინტელიგენციის წარმომადგენელიც, მაგრამ ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქცია ჯერ არავის არ გაუმართავს. რატომ უნდა დადგეს პროტესტის გამოსახატავად მაინცდამაინც ამერიკის საელჩოსთან ქართველი ხალხი? — ამ და სხვა თემებზე ისტორიკოსი, ავტორი გადაცემათა ციკლისა „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ — გურამ ქართველიშვილი გვესაუბრება.**

## «რამდენიმე დღის წინათ ავსტრიის ელჩმა გამოგვიცხადა, — დინოზავრები ხართო»

— ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქციის გამართვას აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ დიდი აქცია ჩატარდება, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ხალხი აღარ აქტიურობს. **ამერიკაა თავიდათავი ყველა იმ უბედურებისა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდება და ამას უკვე აღარც მალავენ, მათ მხოლოდ ის აინტერესებთ, გვაქვს თუ არა „პედერასტული ფასეულობები“ და ამას რომ გეტყვის „ნამესტნიკი“, ხანი თუ ფაშა, ე.ი. ერად არ აღგიქვამს.** ასეთი „ნამესტნიკი“ ხანი და ფაშა საქართველოს ბევრი ჰყოლია, მათი მიზანი ყოველთვის ჩვენი განადგურება იყო. **ამერიკას სურს, დაგვიმთავროს ქართული სახელმწიფო. ერი კი ამას ვერ ხვდება, ძალიან ბრიყვები და ბედოვლათები აღმოვჩნდით.**

ბოლო პერიოდში პოლიტიკური აქტიურობის დიდი გამოცდილება დამიგროვდა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში არასოდეს არ ვყოფილვარ. ყველა ცდილობს, გაიხსენოს რომელიღაც ეპოქა, ეროვნული მოძრაობა, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რომ მაშინ სხვა დრო იყო და სხვა ინტელექტი ჰქონდა ხალხს. ერი განათლებული იყო და ეს განათლება ამერიკაში არ ჰქონდა მიღებული. დღეს ქართველმა თავისი თავი, თავისი ისტორია არ იცის და არც აინტერესებს.

**— არ ფიქრობთ, რომ ეს, როგორც იტყვიან, ტვინის გამორეცხვის შედეგია?**

— ამას ამერიკა აკეთებს. გაგანია ანტიქართული პროპაგანდაა ქვეყანაში. ამერიკის გარდა ამაზე მუშაობს ამერიკის კონტროლს დაქვემდებარებული თითქმის ყველა ქვეყნის საელჩო. რამდენიმე ხნის წინათ ავსტრიის ელჩმა გამოგვიცხადა, დინოზავრები ხართო, დინოზავრი ხომ ცხოველის გადაშენებული სახეობაა?!

**როდესაც ერს თავმოყვარეობა აქვს დაკარგული, ყველა თავზე დააჯდება, ვინც უნდა იყოს ის. გადახედეთ, რა ხდება ქვეყანაში — ხალხი თავის კულტურას, თავის წარსულს დასცინის, ერი გადაშენდა, ეს ამერიკის ბრალია, ოღონდ ვერ ხვდებიან. ასეთ ვითარებაში კი გინდ ამერიკის საელჩოსთან მიდი და გინდ — მთავრობის კანცელარიასთან. ას კაცზე მეტი არ გამოვა ქუჩაში. ის ასი ადამიანიც პენსიონერი იქნება, რადგან ახალგაზრდობა მთლიანად გამოთიშულია მიმდინარე პროცესებიდან — მათ მივეცით ნარკოტიკები და უაღრესად მდარე, თანდაყოლილი ინტელექტის გამანადგურებელი განათლების სისტემა.** დღევანდელი განათლების სისტემა ახალგაზრდებს არათუ რაიმეს მატებს, რაც აქვთ, იმასაც უკარგავს და ასეთ პირობებში კარგად ვერ ვიქნებით. ამ ყველაფერს ამერიკა აკეთებს, ამას თვითონ ხალხი უნდა ხედავდეს ვიღაცის მითითების გარეშეც.

**11 ივნისს ამერიკის საელჩოსთან აქციაა დაგეგმილი, მაგრამ შესაძლოა არც კი მივიდე, გულგატეხილი ვარ, მგონია, რომ არ მოვა ხალხი და არაფერი არ გამოვა, ვერაფერს ვერ მივაღწევთ. ჩემი მიზანი არ არის პოლიტიკაში ჩართვა და პარლამენტში ჯდომა კახაძესავით, იმ ადამიანებივით, თავი ინტელიგენტებად რომ მოაქვთ. მინდა, ხალხი გამოფხიზლდეს, ამას ვცდილობ, მაგრამ ვგრძნობ, წყლის ნაყვაა ყველაფერი, მხოლოდ ტალახის სროლა მივიღე.**

ხალხი, მასა შეეჩვია, რომ უნდა ჰყავდეს ორპირი, გაყიდული, გათახსირებული, ყველაფრის მკადრებელი, მატყუარა პოლიტიკოსები. ტყუილში ვცხოვრობთ, ტყუილში, რომელსაც ხან რომელი საელჩოდან შემოგვიგდებენ და ხან — რომელი, მაგრამ უმთავრესი მაინც ამერიკაა. ის ევროპასაც მართავს და ჩვენ რას გვიზამს?

**— ამერიკა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია...**

— საქართველოს ხელისუფლება ორპირი და გამყიდველია, კოლაბორაციონისტი, რომელიც საკუთარი სტომაქის იქით არაფერზე არ ფიქრობს. ნორმალური, თავმოყვარე ერი ასეთ ხელისუფლებას დიდი ხნის წინათ მოიცილებდა. დღეს დავითგარეჯის პრობლემა გვაქვს, ახალქალაქის, მალე უფრო მეტი პრობლემა შეგვექმნება, რადგან ეს ისტორიული კანონზომიერებაა, ჩვენ მძიმე მიწაზე ვცხოვრობთ. ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და ეს მძიმე მიწა როგორ შეენარჩუნებინათ, მაგრამ, ჩვენ ვიცით კი არა, თვითონვე ვუწყობთ ხელს ყოველდღიური ცხოვრების წესით, რომ დაუძინებელი მტერი შემოვიდეს საქართველოში ისე, როგორც მოისურვებს.

**— რაც ჩამოთვალეთ, მაგ პრობლემების მოგვარებაში საქართველოს ამერიკის იმედი აქვს...**

**— რაში დაეხმარა ამერიკა საქართველოს — ლგბტ-ების დაფინანსებაში? არასამთავრობოების დაფინანსებაში, რომლებიც სახელმწიფოს გვინგრევენ? რაში გვეხმარება, მითხრას ვინმემ: სოფლის მეურნეობა აგვიშენეს? შემოსული გრანტები დაიხარჯა ხალხის საკეთილდღეოდ? პირწმინდად შეჭამეს ყველაფერი მთავრობებმა, შევარდნაძის პერიოდიდან დღემდე. თუ რამე წამოვიდა ამერიკიდან, ეს არის მხოლოდ ანტიქართული პროპაგანდა და მიზანმიმართული ქმედებები საქართველოს დასანგრევად.**

ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები საქართველოში არაბი ამირებივით არიან, ჩვენი დაუძინებელი მტრების საქმეს განაგრძობენ.

რუსეთი ამ ყველაფრით სარგებლობს, მას სურს და ბუნებრივიც არის, საქართველო მისი გავლენის სფეროში იყოს, რადგან აქ სერიოზული სასაზღვრო პრობლემაა. თუ საქართველო გარყვნეს და გადააგვარეს, რასაც დასავლეთი და ამერიკა საქართველოში აკეთებენ, რასაც **ბიძინა ივანიშვილი** აღარ მალავს და ამბობს, რომ ჩვენ ველაპარაკებით დასავლეთის ქვეყნებს, რომ მიიღონ ჩვენი ემიგრანტები და დაასაქმონ იქ, ე.ი. ხელისუფლებას სურს, ქვეყნიდან აბორიგენი ერის გასვლა და მისი მიგრანტებით ჩანაცვლება, მუსლიმებით. ასეთ ვითარებაში რუსეთის საზღვარი, ქრისტიანული, სარწმუნოებრივი საზღვარი გადაიწევს სტავროპოლში, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაც მუსლიმანურია. სამხრეთში მთლიანად მოირღვევა პოტენციური ერთმორწმუნე მოკავშირე. ძალიან სერიოზული ჭიდილი მიდის და, სანამ ამას უწიგნურ ხალხს გააგებინებ, დასრულდება ეს ქვეყანა. თანაც, **როგორც კი მსგავს რამეს იტყვი, რუსეთუმეს გიწოდებენ, გაგინებენ, გაფურთხებენ, მთავრობის მიერ მართული ჭინკები გაგამარგინალებენ და ასპარეზზე დარჩებიან ბიძინას მონები. დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე მყოფი ადამიანების, ე.წ. ეროვნულების, ინტელიგენტების ოთხმოცი პროცენტი ბიძინას ხელისბიჭია.**

**— არ არის მოსაწონი, როდესაც ერს უწიგნურს უწოდებთ, ბევრს ეს არ მოეწონება...**

— რაც არის, იმას ვამბობ; თუ უნდათ, ჩამქოლონ. **ახალგაზრდები უწიგნურები არიან და ამაში ლომის წილი ამერიკას მიუძღვის,** ამაზე თავში ვისაუბრეთ, **ე.წ. სტრატეგიული პარტნიორის გავლენით ბავშვები ნარკოტიკების მოხმარების ქვეშ იზრდებიან.** ბიძინა ივანიშვილი მარიხუანის რეკლამირებას დაუფარავად ეწეოდა. უფროს თაობაზე კი რა გითხრათ, ისეთი ადამიანები, რომლებიც ხმლით უნდა იბრძოდნენ ამ ქვეყნის ჭაობიდან ამოსაყვანად, მოღალატეებად არიან ქცეულნი: ზოგი — თავისი დუმილით, ზოგი — წყლის დასხმით გამყიდველი ხელისუფლებისა და უცხო ძალების წისქვილზე. ამ ყველაფრის ფონზე უწიგნურს უწოდებ, უნამუსოს თუ გაყიდულს, რა მნიშვნელობა აქვს?!

**— თქვენ მოუწოდებდით ადამიანებს, ამერიკის საელჩოსთან რაც შეიძლება მეტი მოსულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს გავხდებითო. რამდენი უნდა იყოთ, რომ ამერიკის საელჩოც ისევე გავაქროთ საქართველოდან, როგორც რუსეთის საელჩო გაქრა?**

— ამას წინათ ირანის საელჩოსთან ჩავატარეთ აქცია და **ყველა ხედავს, რომ ირანელების თავხედობა შედარებით აილაგმა. ირანელებისთვის საქართველო აღთქმული ქვეყანაა, საუკუნეებია, აქ ფეხის მოკიდებას ცდილობენ, ჩვენი ქვეყანა მათთვის ოქროს მიწაა, როგორც სხვა ბევრი ქვეყნისთვის. ირანელები საქართველოში შემოვიდნენ ჩვენი ხელისუფლებების წყალობით და ასიათასობით ბინა შეისყიდეს, თავხედობა დაიწყეს, გვამცირებდნენ, თავხედურ განცხადებებს აკეთებდნენ, წარწერაც არ ჰქონდათ ქართული საელჩოს კედელზე, მაგრამ მათი ალაგმვა შევძელით.**

რასაც დღეს ამერიკის შეერთებული შტატები მიზანმიმართულად სჩადის საქართველოში, ვგულისხმობ გენოციდს, დიახ, გენოციდს, ამ სიტყვის თქმის არ მეშინია, ამაზე ვინმემ პასუხი მოსთხოვა? პირიქით — თავდახრილები, წელში მოხრილები შევციცინებთ თვალებში... მრავალრიცხოვანი მიტინგი შედეგს გამოიღებს, მაგრამ ვერ შევძლებთ, ამერიკის საელჩოსთან არავინ მოვა. ალბათ, მოვა ის ორასი ადამიანი, რომლებიც ყოველთვის მოდიან აქციებზე, მართლა შეგნებული ადამიანები, რომლებმაც იციან, რა სჭირს ქვეყანას. სამწუხაროდ, მათი რაოდენობა არ მატულობს. ორასი ადამიანი სიტუაციას ვერ შეცვლის, პირიქით — ქართულ იდეას აკნინებს და სასაცილოს ხდის. ასეთი ვითარება უკუშედეგს გამოიღებს — ამ მთავრობას დაარწმუნებს, რომ უსუსურები ვართ და, რასაც მოისურვებენ, იმას გააკეთებენ.

**— მას შემდეგ, რაც ამერიკის პრეზიდენტად დონალდ ტრამპი აირჩიეს, რაღაცები იცვლება, პრეზიდენტი კონსერვატორიზმისკენ იხრება. რამდენიმე დღის წინათ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც „ბუნებრივი კანონისა“ და „ბუნებრივი უფლებების“ საფუძველზე შეიმუშავებს ადამიანის უფლებების ახალ კონცეფციას. ამ კომისიის შექმნამ, რომელშიც, ალბათ, იქნება პრინსტონის უნივერსიტეტის კონსერვატიული თვალსაზრისის მქონე, გეებისა და აბორტების მოწინააღმდეგე პროფესორი რობერტ ჯორჯიც, ლიბერალები აღაშფოთა. ისინი შიშობენ, რომ „ბუნებრივი უფლებები“ შეიძლება უფლის ნებას ნიშნავდეს... შესაძლოა თუ არა, რომ ამერიკა კონსერვატორული გახდეს და საქართველოს საპროტესტოდ აღარ ჰქონდეს საქმე?**

— ამერიკაში კონსერვატორებმა რომც გაიმარჯვონ, ჩვენთვის არაფერი არ შეიცვლება, რადგან კოლონიაზე ცვლილებები არ გავრცელდება. ამერიკის სტრატეგია რაც არის ჩვენი ქვეყნისთვის განკუთვნილი, როგორც გზაგასაყარისა, უცვლელი დარჩება. ჩვენ არ ვართ ამერიკის შეერთებული შტატების ნაწილი, ჩვენ კოლონია ვართ ამერიკელებისთვის და ტრამპის ნიღაბი არაფერში გვარგია. ამერიკა ქმნის აურზაურს, ტრამპი ჟონგლიორია, რომელიც ვითომ ცდილობს კონსერვატიზმის რელსებზე გადასვლას. ეს სპექტაკლია, ეს ნიღაბია. ამერიკელები ჩვეულებრივი პოლიტაფერისტები არიან.

**«ძალიან სერიოზული ჭიდილი მიდის და, სანამ ამას უწიგნურ ხალხს გააგებინებ, დასრულდება ეს ქვეყანა. თანაც, როგორც კი მსგავს რამეს იტყვი, რუსეთუმეს გიწოდებენ, გაგინებენ, გაფურთხებენ, მთავრობის მიერ მართული ჭინკები გაგამარგინალებენ და ასპარეზზე დარჩებიან ბიძინას მონები. დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე მყოფი ადამიანების, ე.წ. ეროვნულების, ინტელიგენტების ოთხმოცი პროცენტი ბიძინას ხელისბიჭია»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

კლიმატის პრობლემები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალური მმართველობის ლიბერალ-ფინანსისტების აზრით, 7 მილიარდიდან 6 მლრდ ადამიანი „მუქთამჭამელია“, რომლებიც ნთქავენ ისედაც მწირ რესურსებს. პლანეტაზე ტოტალური გენოციდის საჯარო მოწყობა სარისკო საქმეა, აი ინდუსტრიული ხერხემლის გადამტვრევითა და ეკოსფეროს შეუმჩნევლად მოწამვლით იოლად შეიძლება კაცობრიობის დაბრუნება მთლემარე შუასაუკუნეებში. აი მაშინ კი გადარჩენისთვის ბრძოლის პირობებში „ოქროს მილიარდის“ ქვეყნები, ანუ განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოები, უწინარესად, აშშ და დიდი ბრიტანეთი, სწრაფად დაივიწყებენ შთამომავლობას და ზრდილობის წესებს.**

**ცნობილია, რომ ზოგიერთი ატმოსფერული მოვლენის (ამანდის) მართვა ძალიან ხარჯიანი საქმეა, მაგრამ საჭირო. ამ მიმართულებით პირველ წარმატებას II მსოფლიო ომის წლებში მიაღწიეს. კლიმატის მიმართ საქმე გაცილებით რთულადაა. ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროში მიმდინარე პროცესებზე გამოდევნება გიჟური წამოწყებაა; მათ მიმართ კაცობრიობას მხოლოდ შეგუება თუ შეუძლია, მაგრამ, თუ რამდენიმე თაღლითმა შეძლო მილიონობით ადამიანის მოტყუება კლიმატის საკითხებით, მაშინ ამ თაღლითების სარგებელი ფანტასტიკური იქნება. და საერთაშორისო აფერისტებს ეყოთ ეშმაკობა, თავხედობა, სულმდაბლობა და შექმნეს „კლიმატური ანკესი“, როგორც კიდევ ერთი ინსტრუმენტი თავიანთი ძალაუფლების განსამტკიცებლად და გასამდიდრებლად.**

# «გლობალური დათბობის» გლობალური აფერა



## დედამიწის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობა სხვადასხვა პერიოდში ამჟამინდელზე ბევრად მაღალი იყო, მაგრამ პლანეტაზე სიცოცხლე ყვაოდა




ბევრი მეცნიერის აზრით, მრეწველობის საზღვარგარეთ გატანა და საკუთარი ეკონომიკის მოგუდვა სხვადასხვა ფსევდომეცნიერული საბაბით (როგორიც არის, მაგალითად, კიოტოს პროტოკოლი) — ეს ერთდროულად არის „კრიზისული პროექტის“, გლობალური მმართველობის ელემენტები და გიგანტური ფინანსური ბუშტის შექმნის კიდევ ერთი ხერხი. **ამ ქმედებების საბოლოო მიზანი არის თანამედროვე ტექნოკრატიული ცივილიზაციის ბაზისის ნგრევა და მისი მიყვანა მორალურ და დემოგრაფიულ კრახამდე. ამასთანავე, „ნახშირორჟანგის თაღლითური ქარის წისქვილი“, რომელშიც, უკვე 15 წელიწადია, აქტიურად მონაწილეობს ბევრი ქვეყანა, ქმნის ცრუ საფრთხეებს და კაცობრიობის ყურადღება სხვაგან გადააქვს რეალური ბიოსფერული საფრთხეებიდან.**

გლობალური მმართველობის ლიბერალ-ფინანსისტების აზრით, 7 მილიარდიდან 6 მლრდ ადამიანი „მუქთამჭამელია“, რომლებიც ნთქავენ ისედაც მწირ რესურსებს. პლანეტაზე ტოტალური გენოციდის საჯარო მოწყობა სარისკო საქმეა, აი ინდუსტრიული ხერხემლის გადამტვრევითა და ეკოსფეროს შეუმჩნევლად მოწამვლით კი იოლად შეიძლება კაცობრიობის დაბრუნება შუასაუკუნეებში.

უწინდელი სოციალური კეთილდღეობისა და პრივილეგიების თანდათანობით დამკარგავი დასავლური საზოგადოება თვინიერად ასრულებს განზრახვას, რომელიც ითვალისწინებს ადამიანურობის დაკარგვას, გაველურებას (ამ გაველურების ერთ-ერთი ინსტრუმენტია ნარკოტიკების ლეგალიზაცია და ლგბტ-ზაცია), საწინააღმდეგო კულტურის შეთვისებას, მასობრივ ფსიქოზებს, თუმცა ასეთი რამ უკვე იყო; ევროპას, უბრალოდ, აბრუნებენ კაციჭამიურ ჩვეულებებთან, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იყო გამეფებული მის ტერიტორიაზე.

უკეთესად რომ გავიგოთ, რაც ხდება, სიცხადე შევიტანოთ პრინციპულ ნახშირბადოვან-ვულკანურ საკითხში, განვსაზღვროთ, მართლაც მავნეა თუ არა ნახშირორჟანგის აირი. დავეყრდნოთ მხოლოდ ფაქტებსა და საღ აზრს, აქცენტი გავაკეთოთ არა ხანმოკლე, არამედ ხანგრძლივი პერიოდის მოვლენებზე, გავითვალისწინოთ გლობალური ფაქტორები და შევეცადოთ, დავინახოთ მთლიანი სურათი.

თუ გადავშლით რესპექტაბელურ ჟურნალ Time-ს 1974 წლის ივნისის ნომერს, ვნახავთ, რომ 45 წლის წინათ დასავლეთს ეშინოდა „სამყაროს დასასრულის“, მაგრამ არა დათბობის, არამედ „გამყინვარების პერიოდის“ შედეგად. სტატიაში მითითებულია, რომ 1940-იანი წლებიდან 30 წლის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა შემცირდა დაახლოებით 1,5 გრადუსით, თოვლისა და ყინულის საფარმა კი 1971 წელს მოიმატა 12%-ით (ყინულის ფართობი წლების განმავლობაში მატულობდა). 1970 წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში ბელორუსიისა და ცენტრალური რუსეთის ზომიერ განედებზე ზამთარში ყინვამ 40 გრადუსს მიაღწია, ზაფხულში რამდენიმე დღის განმავლობაში მოდიოდა თოვლი, ციმბირში კი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იდგა სიცივე. **სიცივის პერიოდები ათწლეულების განმავლობაში რეგულარულად იცვლებოდა უფრო თბილი კლიმატით და ეს არავის აკვირვებდა, რადგან ყველაფერი აიხსნებოდა ბუნებრივი პროცესების ციკლურობით.**

გამართულად მუშაობს **იოზეფ გებელსის** მიერ შემუშავებული პროპაგანდის ერთ-ერთი წესი: **„თუ იტყვით საკმაოდ დიდ ტყუილს და მას რამდენჯერმე გაიმეორებთ, საბოლოოდ ადამიანები დაიჯერებენ“.** და ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა, მაგრამ, **როცა 2012 წლის შემოდგომაზე აშშ-ის აღმოსავლეთში კანადიდან წამოვიდა ყინულოვანი შტორმი (ქარიშხალ სენდისთან ერთად), ხოლო მომდევნო წლის ოქტომბერში დიდ ველებზე მოულოდნელი თოვლისგან დაეცა 75-დან 100 ათასამდე სული პირუტყვი, ბევრი დაფიქრდა, სიმართლეს შეესაბამებოდა თუ არა საფრთხე განუხრელი დათბობის შესახებ. წამყვან მედიასაშუალებებს კრინტიც არ დაუძრავთ ამ „უხერხულ სიმართლეზე“.**

ობიექტური გათვლებით, და ამ გათვლებს ეთანხმებიან გლობალურ დათბობის ადეპტებიც, 2050 წლამდე პერიოდში **კიოტოს პროტოკოლის** (რომელიც ფორმალურად ითვალისწინებს „სათბურის ეფექტის მქონე აირების“ ატმოსფეროში გამოყოფის შემცირებას, სინამდვილეში კი მოფიქრებულია მრეწველობის განაწილების მონოპოლიზაციისთვის, ანუ ეკონომიკური განვითარების შესაკავებლად)

**$CO_2$-ის საკითხის განხილვა საჭირო და აუცილებელია, მაგრამ სრულიად სხვა სიბრტყეში. იქნება ბევრი ნახშირორჟანგი — იქნება მეტი ტყე და სიმწვანე, მეტი ჟანგბადი და ბიოსაწვავი, უფრო სუფთა იქნება ჰაერი. ამისთვის კი საჭიროა, მცენარეებს მივცეთ მშვიდად არსებობისა და გამრავლების საშუალება, არ გავჩეხოთ ტყეები ბარბაროსული მეთოდებით და ბოლო მოვუღოთ ტოქსიკურ საწარმოებს, ფარმაცევტულ მაფიასა და გმო-ურჩხულებს**

სრული რეალიზაციის შემთხვევაში საშუალო ტემპერატურის მატების შეკავება შეიძლება მხოლოდ 0,07 გრადუსით. რომელ ადამიანს შეუძლია ასეთი სხვაობის შემჩნევა?! **და ამისკენ მიმართული ძალისხმევა მოითხოვს წელიწადში 150 მლრდ დოლარის დახარჯვას. თუკი კაცობრიობა, გლობალური აფერისტებისა და მისი დამქაშებისგან გასულელებული, დასთანხმდება ტემპერატურის 1 გრადუსით მომატების შეკავების ღონისძიებების განხორციელებას, მაშინ ეს სიამოვნება მას დაუჯდება, არც მეტი არც ნაკლები, 100 ტრილიონი დოლარი — გაცილებით მეტი პლანეტის წლიურ მთლიან შიგა პროდუქტზე. აი ასეთია ფსონები ამ თაღლითურ „ლოხოტრონზე“ (თაღლითური ორგანიზაცია ან მოწყობილობა მიამიტი ადამიანების მოსატყუებლად).**

„გლობალურ დათბობაზე“ საუბრისას, უნდა ვიცოდეთ, რა შორეული განზრახვა ამოძრავებთ მის ავტორებს: კლიმატის გლობალურ ცვლილებებში კაცობრიობის დადანაშაულების შემდეგ იოლია გადასვლა თემაზე იმის შესახებ, რომ ადამიანების რაოდენობა ძალიან დიდია და ისინი თავიანთი რაოდენობით „ანთროპოგენურად თრგუნავენ ბუნებას“, აქედან კი პირდაპირ გამომდინარეობს დედამიწის მოსახლეობის შემცირების აუცილებლობა, ანუ გენოციდი.

საბჭოთა კავშირის დამაქცევარმა, ავადსახსენებელმა **მიხეილ გორბაჩოვმა,** როცა ლაპარაკობდა დემოგრაფიული თემის „გაღრმავებაზე“, თქვა: **„ჩვენ უფრო დაუფარავად უნდა ვისაუბროთ სქესობრივ ცხოვრებაზე, კონტრაცეფციაზე, აბორტებზე, შობადობის რეგულირების მნიშვნელობაზე, იმიტომ, რომ ეკოლოგიური კრიზისი არის დემოგრაფიული კრიზისი, შევამციროთ მოსახლეობა 90%-ით და, უბრალოდ, აღარ იქნება იმდენი ადამიანი, რომ ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს“.**

ცნობილია, რომ შორეულ წარსულში დედამიწის ატმოსფეროს შემადგენლობისა და მისი ტემპერატურის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მიღება შესაძლებელია პოლარული ყინულის ფენებში „დაკონსერვებული“ ჰაერის ბუშტუკების შესწავლით. კვლევების ობიექტური და რაოდენობრივი შედეგები პირდაპირ მიუთითებს, რომ **ნახშირორჟანგს დათბობასთან კავშირი არ აქვს.**

ვნახოთ, **არის თუ არა რაღაც მეცნიერული საფუძველი შიშისა, რომ დათბობას იწვევს ადამიანის მოქმედებები.**

დედამიწის გამყინვარება მეორდება დაახლოებით 100 ათასი წლის პერიოდით. და ეს ხდება ადამიანის ჩაურევლად. გამყინვარების პერიოდში, ასე ვთქვათ, ჩაშენებული დათბობის პერიოდები შედარებით მცირეხნიანია და გრძელდება 15 000-დან 20 000 წლამდე. ამჟამინდელი გამყინვარებათაშორისი დათბობა დაიწყო 18 ათასი წლის წინათ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ან უკვე შევედით ან მალე შევალთ მორიგ ხანგრძლივ ცივ ეპოქაში. დედამიწას სულაც არ ანაღვლებს ჩვენი საუბრები დათბობაზე და სათბურის ეფექტის შემქმნელ აირებზე; მას თავისი ტემპერატურული რეჟიმი აქვს. ეს არის ობიექტური ქრონოლოგია, რომელიც ბავშვობიდანვე უნდა ვიცოდეთ. სხვათა შორის, ბოლო გამყინვარებისას მყინვარებმა მიაღწიეს კიევამდე, ყირიმამდე და უფრო სამხრეთ რაიონებამდეც.

▶

---

## ავსტრალიის ჩრდილოეთ რეგიონებში თოვლი მოვიდა

**ივნისის დასაწყისში ავსტრალიის ჩრდილოეთ რეგიონებში თოვლი მოვიდა. სუბტროპიკულ ქუინსლენდის შტატში ამ რაოდენობის თოვლი სეზონზე იშვიათია. სინოპტიკოსების ცნობით, ასეთი იშვიათი სანახაობა ქუინსლენდის შტატში 2015 წლის შემდეგ არ ყოფილა. სიცივე და ავდარია მოსალოდნელი სხვა შტატებშიც.**

მოსახლეობას მოუწოდებენ, უხვი ნალექისა და ძლიერი ქარის დროს ქუჩაში გასვლისგან თავი შეიკავონ. მეტეოროლოგების განმარტებით, თოვა ქუინსლენდში სამხრეთიდან წამოსულმა ცივი ჰაერის მასებმა გამოიწვია, თუმცა სამხრეთ შტატებში (მაგალითად, ახალი სამხრეთ უელსის საზღვრებთან, სადაც მთიანი რეგიონებია) სიცივე ჩვეულებრივი მოვლენაა.

ავსტრალიაში ზამთარი ივნისში იწყება.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უწინდელი სოციალური კეთილდღეობისა და პრივილეგიების თანდათანობით დამკარგავი დასავლური საზოგადოება თვინიერად ასრულებს განზრახვას, რომელიც ითვალისწინებს ადამიანურობის დაკარგვას, გაველურებას (ამ გაველურების ერთ-ერთი ინსტრუმენტია ნარკოტიკების ლეგალიზაცია და ლგბტ-ზაცია), საწინააღმდეგო კულტურის შეთვისებას, მასობრივ ფსიქოზებს, თუმცა ასეთი რამ უკვე იყო; ევროპას, უბრალოდ, აბრუნებენ კაციჭამიურ ჩვეულებებთან, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იყო გამეფებული მის ტერიტორიაზე.**



**„გლობალურ დათბობაზე" საუბრისას უნდა ვიცოდეთ, რა შორეული განზრახვა ამოძრავებთ მის ავტორებს: კლიმატის გლობალურ ცვლილებებში კაცობრიობის დადანაშაულების შემდეგ იოლია გადასვლა სხვა თემაზე, რომ ადამიანების რაოდენობა ძალიან დიდია და ისინი თავიანთი რაოდენობით „ანთროპოგენურად ზემოქმედებენ ბუნებაზე", აქედან კი პირდაპირ გამომდინარეობს დედამიწის მოსახლეობის შემცირების აუცილებლობა, ანუ გენოციდი**

◀ ბოლო 20 მლნ წლის განმავლობაში ატმოსფეროში $CO_2$-ის კონცენტრაცია შეადგენდა დაახლოებით 200-300 მ.წ-ს (მილიონი წილი ppm). ეს სულ 0,02%-0,03%-ია. თანამედროვე კონცენტრაცია — 380-390 მ.წ. — მნიშვნელოვნად განსხვავებული არ არის: მოცულობით გამოხატულებაში კი ლაპარაკია მხოლოდ პროცენტის მეათასედ ნაწილზე.

სამაგიეროდ, **„ჭეშმარიტი" სასათბურე აირის, წყლის ორთქლის კონცენტრაცია ჰაერში გაცილებით მეტია: 0,1%-დან 4%-მდე.** არის სხვა სასათბურე აირებიც: **მეთანი, აზოტის ჟანგეულები, ოზონი,** აგრეთვე, **დიუპონის ფრეონები,** მაგრამ ე.წ. კლიმატოლოგები ჯიუტად ვერ ამჩნევენ „სპილოს", აინტერესებთ მხოლოდ მათ მიერვე შექმნილი „ბუზი". რაც შეეხება ნახშირორჟანგის შემცველობას, თვით ეს ფაქტი არაფერს ნიშნავს. საქმე ის არის, რომ, პრაქტიკულად, ის **სასათბურე ეფექტი, რომელიც შეუძლია შექმნას $CO_2$-მა, ყალიბდება, როცა კონცენტრაცია 50 მ.წ.-ზე მეტი არ არის. ჰაერში ნახშირორჟანგის შემცველობის შემდგომი მატებით არ ხდება დედამიწაზე მზის სითბოს ბლოკირება.**

გეოლოგიურ წარსულში (მაგალითად, ორდოვიკიულ პერიოდში, 460 მლნ წლის წინათ) ნახშირორჟანგის კონცენტრაცია **11-ჯერ მეტი** იყო, ვიდრე დღეს არის, მაგრამ იმ პერიოდის კლიმატი არაფრით განსხვავდებოდა დღევანდელისგან.

ანუ, **მილიონობით წლის განმავლობაში ნახშირბადის ორჟანგი ატმოსფეროში იყო როგორც მაღალი, ისე დაბალი კონცენტრაციით, მაგრამ კლიმატზე გავლენა არ მოუხდენია! კლიმატზე ზემოქმედებდა მძლავრი კოსმოსური და ორბიტული ფაქტორები. ანტარქტიდის ყინულების შესწავლამ აჩვენა, რომ ბოლო 420 000 წლის განმავლობაში დედამიწაზე რეგულარულად იყო დათბობის პერიოდები 100 000-წლიანი ინტერვალებით, ანუ დედამიწას ოთხჯერ ჰქონდა დათბობის ფაზა. ცალკეულ პერიოდებში ეს დათბობა გაცილებით საგრძნობი იყო, ვიდრე ახლა არის. იმავე კვლევებმა აჩვენა, რომ ჰაერში $CO_2$-ის კონცენტრაციაც ანალოგიურად იცვლება.**

აი კიდევ ერთი ფაქტი, რომელზეც ჩუმად არიან კლიმატოლოგები და მედიასაშუალებები: **$CO_2$-ის კონცენტრაციის მატების პერიოდები საშუალოდ 800 წლით „ჩამორჩება" დედამიწის ტემპერატურის მატებას, ე.ი. ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობა კი არ იწვევს დათბობას, არამედ პირიქით — რაც უფრო თბილია დედამიწა, მით მეტია ჰაერში ნახშირორჟანგი! ასეთია იმ მეცნიერების დასკვნა, რომლებიც შეისწავლიან კლიმატურ „სამხილებს" ანტარქტიდაზე.** აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ატმოსფეროში ნახშირორჟანგის კონცენტრაციის მატებას შეიძლება ჰქონდეს ხანგრძლივი და გლობალური ხასიათი, რაც განპირობებულია გამყინვარებათშორისი დათბობის დამამთავრებელი ფაზით. **ანუ ამჟამად $CO_2$-ის კონცენტრაცია არის იმ ბუნებრივი პროცესების შედეგი, რომლებიც 800 წლის წინათ ხდებოდა დედამიწაზე! ასეთია კლიმატური ციკლები.**

როგორც ვხედავთ, **დედამიწის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობა სხვადასხვა პერიოდში ამჟამინდელზე რამდენჯერმე მაღალი იყო, მაგრამ პლანეტაზე სიცოცხლე ყვაოდა.**

დედამიწის ატმოსფერო შეიცავს დაახლოებით 3 ტრილიონ ტონა ნახშირჟანგის აირს, ოკეანეში ის 50-60-ჯერ მეტია. ნახშირჟანგის დიოქსიდი ატმოსფეროში ხვდება:

* ტყის ხანძრებისა და ორგანული ნივთიერებების ლპობით ნიადაგში — 439 მლრდ ტონა წელიწადში;

* ვულკანებიდან — მიწისზედა ცეცხლისმფრქვეველი მთების „ოფიციალური" მონაცემია 130/230 მლნ ტონა წელიწადში;

* კაცობრიობა — 29-35 მლრდ ტონა წელიწადში (1990 წელს ნახშირწყლების წლიურმა ემისიამ შეადგინა 6,14 მლრდ ტ; 2008 წელს — 8,67 მლრდ ტ, რაც ეკვივალენტურია წელიწადში 31,8 მლრდ ტონა $CO_2$-ის).

საინტერესოა, რომ **ადამიანის სხეული დღე-ღამეში გამოყოფს 1 კგ $CO_2$-ს, ამასთანავე, კარგავს 300 გრამ ნახშირწყალს. ე.ი. კაცობრიობა თავისი ფილტვებითა და კანით ატმოსფეროს ამარაგებს 2 გიგატონა ნახშირბადის დიოქსიდით წელიწადში! ყველა სხვა ანთროპოგენური პროცესი კი 15-ჯერ მეტ ემისიას ქმნის, ვიდრე ადამიანების ორგანიზმები.**

აუცილებელია, გავიგოთ, რომ **დედამიწის ატმოსფეროს ამჟამინდელი შემადგენლობა მნიშვნელოვანწილად შექმნილია ბიოსფეროს მიერ, უფრო ზუსტად, დედამიწაზე არსებული ქლოროფილის შემცველი მიკროორგანიზმებით.** თავდაპირველად ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები, შემდეგ კი პლანქტონი და მცენარეები შეეგუენ დედამიწის პირობებს და თვითონ დაიწყეს გავლენა გარემოზე. **ტაიგა, ჯუნგლები, ტყეები და ოკეანის პლანქტონი ატმოსფეროსა და ნიადაგიდან მილიონობით ტონა ნახშირორჟანგს შთანთქავს: მათთვის ის საკვებია, მის გარეშე დაიღუპებოდნენ. თუმცა ისინი გამოიმუშავებენ ჟანგბადს, რომელიც აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმების დიდი უმრავლესობისთვის. ჟანგბადი, ურთიერთქმედებს ბევრ ნივთიერებასთან (როგორც მჟანგავი). ასე რომ, დედამიწაზე $CO_2$-ის მთავარი მომხმარებლები იყვნენ და რჩებიან მცენარეები, ოკეანის მიკროორგანიზმები (Prochlorcoccus-ის სახეობის პლანქტონი) და, რა თქმა უნდა, მსოფლიო ოკეანის წყლები.**

ოკეანის მიერ შთანთქმული და გამოყოფილი $CO_2$-ის ჯამური მოცულობა 5-ჯერ აღემატება მრეწველობის მიერ გამოწყოფილ ნახშირორჟანგს. ადამიანის მიერ დედამიწაზე წარმოებულ ნახშირორჟანგის აირის 55%-ს შთანთქავს ოკეანეები და მცენარეები. მცენარეები და ფიტოპლანქტონი მოკლე ხანში სრულად შთანთქავენ ნახშირორჟანგს, რომელიც წარმოიქმნება პედოსფეროში და ხანძრების შედეგად (450 გტ/წ). **რაც მეტია ატმოსფეროში ნახშირორჟანგი, მით მეტი რაოდენობით შთანთქავენ მას მცენარეები, მით მეტია მათი მწვანე მასა.** ჩრდილოეთ ნახევარსფეროშია დედამიწის ხმელეთისა და მცენარეული საფარის ძირითადი ნაწილი, ამიტომ ამ ნახევარსფეროს როლი მცენარეების ფოტოსინთეზის მეშვეობით ნახშირბადის შთანთქმაში განმსაზღვრელია.

სხვათა შორის, „ბიოსაწვავის" წყალმცენარეების გამრავლების ტექნოლოგია ინჟინრებმა ბუნებისგან „ისესხეს": **მიკროორგანიზმებიან წყალს ათავსებენ შუქზე და ამ წყალში ატარებენ საწარმოებისგან გამონაბოლქვ სამრეწველო აირებს. შედეგად წყალმცენარეები აქტიურად შთანთქავენ ნახშირორჟანგს და სწრაფად მრავლდებიან!** მსგავსი რამ ხდება სათბურებშიც, სადაც ადამიანებს სხვადასხვა მცენარე მოჰყავთ, ამიტომ **$CO_2$-ის საკითხის განხილვა საჭირო და აუცილებელია, მაგრამ სრულიად სხვა სიბრტყეში. იქნება ბევრი ნახშირორჟანგი — იქნება მეტი ტყე და სიმწვანე, მეტი ჟანგბადი და ბიოსაწვავი, უფრო სუფთა იქნება ჰაერიც. ამისთვის კი საჭიროა, მცენარეებს მიეცეთ მშვიდად არსებობისა და გამრავლების საშუალება, არ გავჩეხოთ ტყეები ბარბაროსული მეთოდებით და ბოლო მოვუღოთ ტოქსიკურ საწარმოებს, ფარმაცევტულ მაფიასა და გმო-ურჩხულებს.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტის გაგებაში გვეხმარება სტრატოგრაფია. ნახშირბადის უზარმაზარი მასები, რომლებიც შედიოდა უძველესი ცოცხალი ორგანიზმებისა და მცენარეების შემადგენლობაში, აღმოჩნდა მიწისქვეშ „დაკონსერვებული" მასიური „ნალექი ქანების" სახით. „კონსერვაციის" ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება. **ბიოსფერო გლობალური მტვერსასრუტის გაუმაძღრობით ითვისებს ნახშირბადის დიოქსიდს და ამ ციკლს კვლავ და კვლავ იმეორებს მრავალი მილიონი წლის განმავლობაში.**

ნიჟარებისა და მიკროორგანიზმების (კირქვა, დოლომიტები, ცარცი, მარმარილო, ქვანახშირი) გაქვავებულ ნარჩენებში უზარმაზარი მოცულობაა „ყოფილი" $CO_2$-ის — კალციუმის კარბონატისა ($CaCO_3$-ის) და ნახშირის (C-ის) სახით. მიზეზი ცნობილია: ატმოსფერული ნახშირბადი მილიარდობით წლის განმავლობაში „კონსერვდებოდა" ჭაობების, ტბების, მდინარეების, ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე. ნახშირბადის მიმოქცევამ გამოიწვია ის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ გაქვავებულ მძლავრ დანალექებზე ნახშირბადოვანი ორგანული ნაერთებისა, რომლებიც ოდესღაც იყო მცენარეული საფარი და მიკროორგანიზმები და რომლებიც შთანთქავდნენ ატმოსფერულ ნახშირორჟანგს და მისგან აყალიბებდნენ თავიანთ ღეროებს, ტოტებს, ჯავშანს და ა.შ. სისქე ასეთი დანალექებისა — ქვანახშირის პლასტების, კირქვის, დოლომიტების, ცარცის, მარმარილოს — ძალიან დიდია: ათეულობით მეტრიდან კილომეტრამდე.

ოკეანე ყოველწლიურად შთანთქავს 90 გიგატონას და გამოყოფს 88 გიგატონა ნახშირორჟანგს, ანუ ყოველწლიურად 2 მლრდ ტონა „მიდის" ზღვის წყალში. ნახშირბადის დიოქსიდი წყალს უფრო „მჟავედ" გარდაქმნის და მასში სამი ფორმით არსებობს: მოლეკულური H2CO3 (ძირითადი), იონურ-კარბონატული ($CO_{32}$-) და ბიკარბონატული ($HCO_3$-) (ათასობით და მილიონობით წილით). რაოდენობრივად დამოკიდებულია წყლის pH დონეზე. მაგრამ, მთლიანობაში, მართებულია მტკიცება: **თუ მსოფლიო ოკეანის წყლები თბება, მაშინ $CO_2$-ის ნაწილი გამოიყოფა ატმოსფეროში, და პირიქით.**

ნიშნავს თუ არა ზემოთქმული იმას, რომ კაცობრიობას არ ემუქრება ეკოლოგიური კატასტროფა? პასუხი: რა თქმა უნდა, ემუქრება! **ადამიანი ცვლის ბუნებას, და, როგორც შედეგი, ეს ცვლილებები ხშირად იწვევს კატასტროფას. მაგალითად, ჩვენს თვალწინ ადამიანმა მოკლა არალის ზღვა. დედამიწის ერთ-ერთი დიდი ტბის უდიდესი ნაწილი მარილის უდაბნოდ იქცა, და იქ სადაც იყო მეთევზეთა დასახლებები, ახლა ეკოლოგიური უბედურების ზონაა. მაგრამ არალის დაშრობა დათბობის შედეგი არ არის, ეს ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია არალში ჩამდინარე სირდარიისა და ამუდარიისთვის წყლის წართმევამ.**

კატასტროფული ვითარებაა ცნობილ მთა **კილიმანჯაროზეც.** როგორც ცნობილია, იქ ყინული დნება. ალარმისტებს გლობალური დათბობის შედეგის მტკიცებულებად მოჰყავთ კილიმანჯარო, მაგრამ ამ მთის მწვერვალზე ტემპერატურა, უკვე ათეული წლებია, უცვლელია. რატომ დნება ყინული? იმიტომ, რომ ღარიბმა აფრიკელებმა მის გარშემო ტყე გაჩეხეს. ეს ორი მაგალითი — არალი და კილიმანჯარო — არის დამატებითი მტკიცებულება იმისა, რომ გლობალური დათბობა სიცრუეა. ეკოლოგიური კატასტროფები შესაძლებელია, ეკოლოგიური კატასტროფა რეალურია. უფრო მეტიც: ცივილიზაციები ხდებოდნენ ეკოლოგიური კატასტროფების მსხვერპლი. კაცობრიობის აკვანი — შუამდინარეთი — ძირითადად ეკოლოგიური კატასტროფის გამო (ნიადაგის გამარილიანება) იქცა უდაბნოდ. ჰაიტიზე, სადაც არ არის ელექტრობა, მოსახლეობამ ხეები და ბუჩქები დაწვა საჭმლის დასამზადებლად, და ახლა ყოველი ტროპიკული ნიაღვარი იწვევს მეწყერს, რომელიც ადამიანებს კლავს. გლობალური დათბობის ადეპტები კი, ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლონ ეკოლოგიური კატასროფების მთავარ მიზეზს — სიღარიბეს და გაუნათლებლობას, ებრძვიან მათ ერთადერთ წამალს — პროგრესს.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**



# ანომალიური სეტყვა რუმინეთში

**28 მაისს რუმინეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ანომალიური სეტყვა მოვიდა, რომელმაც ბევრი ავტომობილი და შენობა დააზიანა.**

რუმინული მასმედია იუწყებოდა, რომ სეტყვა 15 წუთის განმავლობაში მოდიოდა, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ავტომობილები და სახლების სახურავები დაეზიანებინა.

ადგილობრივები ყვებიან, რომ რამდენიმე წუთში მიწა სეტყვის თეთრი ბურთულაკებით გადათეთრდა, ადამიანები ამბობენ, რომ უჩვეულო ბუნებრივი მოვლენის მომენტში სახლების კედლები ზანზარებდა.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ხრიკებით ვერას გახდებიან და ახლა უჩვენოდ არც ერთ ძველ თუ ახალ მოკავშირეს საერთაშორისო საკითხების გადაჭრა აღარ შეუძლია. აქეთ უნდა შეგვეკითხონ და კიდევ გვეახლონ. არა, ჩემმა მზემ, დიდხანს მოუწევთ ლოდინი, სანამ იქით ვეახლები. კაცი კარდაკარ ხეტიალს რომ მოჰყვება, იმის საქმე რიგზე ვერაა. ჩვენი საქმე კი რიგზეა. ჯერ თუ მთლად ვერ არის რიგზე, მალე იქნება. ომმა შეგვიშალა ხელი და მალე გამოვასწორებთ ყველაფერს. საბჭოთა ქვეყანა არა მხოლოდ მკლავით, არამედ სულითაც ღონიერი ქვეყანაა, იდეოლოგიურად ყველაზე მართალი ქვეყანა და მის მეთაურს ყველაზე მეტი სიდინჯე, თავდაჭერა და სიამაყე მართებს“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19-20, 2019 წ.

# გავიცნოთ და ვისწავლოთ სტალინი

## სტალინი — ქართველი მასპინძელი

**უამრავმა ადამიანმა დამირეკა და გულწრფელი მადლობა მითხრა იმ ისტორიული მომენტების გამოქვეყნებისთვის, რომლებიც წინა წერილში გავაცანი ჩემ ერთგულ მკითხველს, მაგრამ მისაყვედურეს კიდეც იმის გამო, რომ აზრი შეწყდა იქ, სადაც ამბის თხრობამ კულმინაციას მიაღწიაო. მთხოვეს, გადამეცა გაზეთის რედაქციისთვის მკითხველთა სურვილი, რომ, თუ შესაძლებელი იქნება, აკაკი ვასაძის მოგონებები სტალინზე ერთ მთლიან მასალად დაიბეჭდოს. მე კი შევასრულე თქვენი თხოვნა, მაგრამ გაზეთის 24-გვერდიანი ფორმატი არ იძლევა საშუალებას, ნომერში ერთ მასალას 6 გვერდი დაეთმოს. თუმცა, აკაკი ვასაძის მოგონებებს სტალინზე სრულად წაიკითხავთ ჩემი წიგნის — „სტალინის“ V ტომში, რომელსაც შემოდგომაზე იხილავს მკითხველი.**

— არაფერი მოგწიოს მაგ **ჩერჩილმა,** საშიში კაცია, სოსო, — გულუბრყვილოდ გააფრთხილა **მიხეილ ტიტვინიძემ.**

— რა უნდა მომწიოს, ახლა რაღა შეუძლია?! წავიდა მაგის შიშის დრო. ისე კი, თუ რამე გიპოვა რბილი ადგილი, არ დაგინდობს... ჩერჩილის ტარ-ოსი მორჩა, აღარ არის. ორი წლის წინათ მოსკოვში მარტო აღარ ჩამოვიდა, უკვე **იდენი** ახლდა, საგარეო საქმეთა მინისტრი. დაიბნა, თავგზა აერია ბებერ ლომს, უკვე მოკავშირე სახელმწიფოების კარდაკარ დაეხეტება, ეგებ რამე ვიყ-ნოსოო.

— ეჰე, რა არის ცხოვრება?! ხუთი წლის წინათ არ იკადრებდა ჩერჩილი ჩვენთან ვიზიტით მობრძანებას, — ჩაიროხროხა **სოსო ცერაძემ.**

— ასეა, ჩემო ძმაო, ამ ომში ბევრს დავანახვეთ საქმე და ვითარება. ბევრი მიხვდა უკვე ომის დროსაც, რომ **საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ხრიკებით ვერას გახდებიან და ახლა უჩვენოდ არც ერთ ძველ თუ ახალ მოკავშირეს საერთაშორისო საკითხების გადაჭრა აღარ შეუძლია. აქეთ უნდა შეგვეკითხონ და კიდევ გვეახლონ. არა, ჩემმა მზემ, დიდხანს მოუწევთ ლოდინი, სანამ იქით ვეახლები. კაცი კარდაკარ ხეტიალს რომ მოჰყვება, იმის საქმე რიგზე ვერაა. ჩვენი საქმე კი რიგზეა. ჯერ თუ მთლად ვერ არის რიგზე, მალე იქნება. ომმა შეგვიშალა ხელი და მალე გამოვასწორებთ ყველაფერს. საბჭოთა ქვეყანა არა მხოლოდ მკლავით, არამედ სულითაც ღონიერი ქვეყანაა; იდეოლოგიურად ყველაზე მართალი ქვეყანა და მის მეთაურს ყველაზე მეტი სიდინჯე, თავდაჭერა და სიამაყეც მართებს.**

მის აგარაკზე რომ დავბრუნდით, თითქოს წინასწარ ჰქონდაო მოფიქრებული, მრგვალი მაგიდისკენ წაგვიძღვა, საიდანღაც ამიერკავკასიის რუკა გამოიტანა და მაგიდაზე გაშალა:

— აბა, კანდიდ, აგერ — ფანქარი და მოხაზე ახლანდელი საქართველოს საზღვრები.

**კანდიდ ჩარკვიანმა** აიღო ფანქარი და რუკაზე აღნიშნულ ჩრდილოეთის საზღვრებს იქით ზოლის გადატარება დააპირა, მაგრამ შეყოვნდა და ფანქარი მხოლოდ ჰაერში გაავლო.

— ნუ გეშინია, მოხაზე, მოხაზე ფანქრით, რუკას როგორმე კიდევ ვიშოვი!

და კანდიდმა ახლა ფანქრით ზუსტად და მკაფიოდ შემოხაზა ომის შემდეგ საქართველოს შემატებული ჩრდილოეთის ტერიტორია.

**— აი, ეს მესმის! ქლუხორის მხარეც საქართველოს საზღვრებში მოექცა. ესეც პასუხად მათ, ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, ვინც გვისაყვედურებდა, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორია შეამცირაო... რამდენი უნდა ებრძოლა ერეკლე მეფეს, ამოდენა ტერიტორია რომ შემოეერთებინა საქართველოსთვის?!**

— უზარმაზარი მხარეა, მაგრამ ქართველები ფეხს ითრევენ იქ დასახლებაზე. ძვირფასი ტყეები, საძოვრები, მშვენიერი ჰავა და წყლებია საკურორტო ადგილების გასაშენებლად; სახნავ-სათესი მიწებიც არის, მაგრამ ქართველი კაცის ხასიათი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ამხანაგო სტალინ, — სხვის მიწაზე თვალი არასდროს სჭერია. ცენტრალურ კომიტეტში თითქმის ყოველდღე მოდის ქლუხორში ახალდასახლებულთა წერილები, უკან დაბრუნებას მოითხოვენ, — სამშობლოში გვირჩევნიაო. **ქისტებისა და ჩეჩნების მიწებიც ცარიელია, მთიულეთიდან, თუშეთიდან, ხევსურეთიდან ერთ კაცსაც არ გამოუთქვამს სურვილი იქ დასახლებაზე. მხოლოდ რაღაც უმნიშვნელო პროცენტი ოსებისა დასახლდა, ისიც, თერგის ნაპირთან ახლოს,** — მოკლედ აცნობა კანდიდ ჩარკვიანმა.

— სხვისი მიწა რად არის, საბჭოთა კავშირში შემავალი ტერიტორიაა. მათ კი ვერ შეიშვნეს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა, ომის დროს დაგვალალატეს, გამცემლურად მოიქცნენ, მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში... ჰმ, ფაშისტები ამჯობინეს ჩვენს თავს... გასაგებია, ქისტებისა და ჩეჩნების მიწები ძალზე მწირია, მაგრამ ქლუხორი ხომ განთქმულია თავისი ბუნებით, ტყით, წყლებით, მინდვრებით? — არ ცხრებოდა სტალინი, — **ქართველი ხალხი მაინც მთის ხალხია და, თუ მან არ აითვისა ეს ადგილები, აბა, რუსს იქ რა აიყვანს, ან უკრაინელს?! საბაბს არ გვაძლევს მიმტაცებელი (თურქეთი), ჩვენი მიწები რომ დავიბრუნოთ და, მხოლოდ საქართველოს კი არა, საბჭოთა კავშირს კანონიერად შემოვუერთოთ, თორემ, საბაბი რომ იყოს, ყარსსა და არდაღანს, ტრაპიზონამდე მიწებს უკან ჩავიბარებდით... აი, რა ამბავს მოგიყვებით:**



> **«აი, ეს მესმის! ქლუხორის მხარეც საქართველოს საზღვრებში მოექცა. ესეც პასუხად მათ, ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, ვინც გვისაყვედურობდა, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორია შეამცირაო... რამდენი უნდა ებრძოლა ერეკლე მეფეს, ამოდენა ტერიტორია რომ შემოეერთებინა საქართველოსთვის?!»**



აკაკი ვასაძე

**ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების პერიოდში, კავკასიის ფრონტის ჯარებს ერზრუმი არ ჰქონდათ დატოვებული; საბჭოთა რუსეთის საზავო კომისიის თავმჯდომარედ ტროცკი იყო დანიშნული, ხოლო ამ კომისიის კონსულტანტად ლენინმა მე მიმავლინა, როგორც ეროვნულ საქმეთა კომისარი. ამიერკავკასიის მთავრობებმა ჩვენს მიმართვაზე, თავისი წარმომადგენლები გამოეგზავნათ საზავო მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის, დუმილით გვიპასუხეს. კაცი არ გამოჩნდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სასაზღვრო ინტერესები დაეცვა. ბრესტის ხელშეკრულება ვერ შედგებოდა, თუ საომარი ურთიერთმდგომარეობა** არ განიმუხტებოდა საზღვრების საკითხის შეთანხმებული და სამართლიანი გადაწყვეტით. ამ იურიდიული კაზუსით ჩემს თავზე მივიღე ამიერკავკასიის ქვეყნების ინტერესების დაცვა. ამიერკავკასიის ქვეყნების საზღვართა მცოდნემ, თუ არ ვცდები, **ქიაზიმ ბეიმ** ისეთი ყოველგვარ საფუძველს მოკლებული პრეტენზიები წამოაყენა, რომ მათი უარყოფა და დარღვევა არ გამჭირვებია, **ყარსი და არდაღანი რა საკითხავია, თურქებმა ბათუმიც კი თავიანთ საზღვრებში მოიყოლეს. მათი პროექტით, ახალქალათან, კარძახზე უნდა გასულიყო საზღვარი და ასე შემდეგ. ქიაზიმ ბეიმ გადასინჯვაზეც კი არ ისურვა მოლაპარაკება და დიპლომატიური მსჯელობების შეწყვეტითაც დამემუქრა. მაშინ მე მრავალმნიშვნელოვნად განვუცხადე, როგორც გნებავთ, მაგრამ საზღვრებზე საუბრის გაგრძელება იქნებ ერზრუმში მოგვიწიოს-მეთქი და წამოვდექი. მაშინ კი იკადრა უკან დახევა; მოითმინეთ, მე სულაც არ მსურს თქვენი მომდურება, რუსეთთან მხოლოდ კარგი დამოკიდებულებით ვარ დაინტერესებულიო და, კარგა ხანს ოსმალური ლათაიბით შემიქცია.** მე მოკლედ ვუთხარი: დამარცხებული ქვეყნისთვის სასირცხვილო როდია, თუ თავისი ძველი საზღვრების შენარჩუნებას მოინდომებს-მეთქი. თანახმა ვარო, დამყვა ქიაზიმ ბეი და მეც **დასრულებულად მივიჩნიე ჩემი მისია, მოსკოვში მოვემზადე წასასვლელად. გზაში უეცრად ტიფი შემეყარა. მხოლოდ ორი-სამი კვირის შემდეგ მოვახერხე წამოდგომა. კომისარიატში ძლივს მივლასლასდი, რადგან ლენინი ჩემთან ტელეფონით დალაპარაკებას მოითხოვდა. ლენინმა თავისთან გამომიძახა ახალი საზღვრების ხელშეკრულებათა გასაცნობად. მივედი და რას ვხედავ — ქიაზიმ ბეის კომისიის თავმჯდომარისათვის საზღვრების დანაწილების პირველი ვარიანტისათვის მოუწერინებია ხელი... როგორც შემდეგ გამოირკვა, ქიაზიმ ბეის ჩემი იქ არყოფნით უსარგებლია და იმ ოსმალო გაქნილ დიპლომატს კარგა ლაზათიანად გაუცურებია ჩვენი თავმჯდომარე ტროცკი. რაღას ვიღონებდი, ლენინსაც უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი ხელშეკრულებაზე,** ერის ტერიტორიის დათმობისა და გაჩუქების უფლება არავის აქვს. ერის ისტორია ხელშეუხებელია. ომის შემდეგ გადავუკარი ერთი-ორი სიტყვა და ზუსტად მივანიშნე ოსმალოებს, საზღვრის ამბავი არ დამვიწყებია-მეთქი. საპასუხო ხმას არ იღებენ, მაგრამ ისიც ცხადია, ჩვენი ევროპელი და ოკეანის გადაღმელი „ძმები“ მხარს მათ უჭერენ, თუმცა საჯაროდ არაფერს ამბობენ ამაზე. **საქართველოს და სომხეთის მიწების დაბრუნება, საბჭოთა კავშირის ინტერესებშიც შედის და ჯერჯერობით არ ვაპირებ არც პოზიციების დათმობას და არც დადუმებას. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს გზასაც და გამოსავალსაც. ერთი კი ცხადია, მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე, რუსეთთან შეკავშირების წყალობით, საზღვრების განმტკიცებისა და შიგა პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების მხრივაც საქართველომ მხოლოდ თუ მოიგო ბევრი რამ: ქართლი, კახეთი, იმერეთი — ცალკე სამეფოები; გურია, სამეგრელო, მესხეთი, აფხაზეთი, სვანეთი —სამთავროები; კახეთის მეფეებს ემორჩილებოდნენ, მაგრამ მაინც თავ-თავიანთი სათემო წყობილება** ►

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „საბაბს არ გვაძლევს მიმტაცებელი (თურქეთი), ჩვენი მიწები რომ დავიბრუნოთ და, მხოლოდ საქართველოს კი არა, საბჭოთა კავშირს კანონიერად შემოუერთოთ, თორემ, საბაბი რომ იყოს, ყარსსა და არდაღანს, ტრაპიზონამდე მიწებს უკან ჩავიბარებდით“.

**«საქართველოსა და სომხეთის მიწების დაბრუნება საბჭოთა კავშირის ინტერესებშიც შედის და ჯერჯერობით არ ვაპირებ არც პოზიციების დათმობას და არც დადუმებას. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს გზასაც და გამოსავალსაც. ერთი კი ცხადია, მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე, რუსეთთან შეკავშირების წყალობით, საზღვრების განმტკიცებისა და შიგა პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების მხრივაც საქართველომ მხოლოდ თუ მოიგო ბევრი რამ: ქართლი, კახეთი, იმერეთი — ცალკე სამეფოები; გურია, სამეგრელო, მესხეთი, აფხაზეთი, სვანეთი —სამთავროები; კახეთის მეფეებს ემორჩილებოდნენ, მაგრამ მაინც თავ-თავიანთი სათემო წყობილება ჰქონდათ; თვით პატარა სვანეთიც კი სამად იყო დაყოფილი — სადადეშქელიანო, თავისუფალი სვანეთი და ქვემო, საგარდუფხანო სვანეთი; სამხრეთ საქართველო და შავიზღვისპირეთი ბათუმიან-ქობულეთიანად ხომ ოსმალებს ჰქონდათ მიტაცებული. ახლა ყველა ეს კუთხე და მხარე შეკავშირდა და ერთიან რესპუბლიკად იქცა, საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკად»**



◀ **ჰქონდათ; თვით პატარა სვანეთიც კი სამად იყო დაყოფილი — სადადეშქელიანო, თავისუფალი სვანეთი და ქვემო, საგარდუფხანო სვანეთი; სამხრეთ საქართველო და შავიზღვისპირეთი ბათუმიან-ქობულეთიანად ხომ ოსმალებს ჰქონდათ მიტაცებული. ახლა ყველა ეს კუთხე და მხარე შეკავშირდა და ერთიან რესპუბლიკად იქცა, საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკად** და სწორედ ახლა არის დიდი გონება, ღონე და მონდომება საჭირო, რომ რიგიანად განვითარდეს ქვეყნის ცხოვრება და ამით საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში რიგიანი წვლილიც შეიტანოს, როგორც ეკონომიკის, ასევე მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში.

საუბრისას მომიახლოვდა, მე პაპიროსის კოლოფი ამოვიღე, რომ მომეწია. ამოვიღე კიდეც ერთი ღერი და კოლოფის უკანა ჯიბეში ჩადებას ვაპირებდი, რომ შემაჩერა და მითხრა:

— „საქართველოს“ ეწევი ხომ? ეს პაპიროსი „საქართველოს“ კოლოფია?!

— დიახ, ამხანაგო სტალინ. ხომ არ ინებებთ?

— არა, მაგიტომ არ მიკითხავს, უბრალოდ, დავინახე და გამახსენდა. განა პირველად ვხედავ, — შეჩერდა და წამით ჩაფიქრდა, — ჯერ ეს სახელწოდება პაპიროსზე გაგიგია? მერე კიდევ, **ასეთი სახელწოდებით უშვებ პაპიროსს და კოლოფზე კი ფეხებგაჩაჩხული, გულმოღლეტილი ქალი მიუკრავთ. ვის წარმოადგენს ეს ქალი: ძველს, ახალს თუ მომავალ საქართველოს? ამის დამხატავს არც ცოლი ჰყავს, არც დედა, არც ქალიშვილი? ან სინდისი მაინც არ გააჩნია, ქართველი ქალი ფეხებგაჩაჩხული, გულმოღლეტილი მეძავის სახით რომ გამოუყვანია ასე საქვეყნოდ?**

„ვაი შენ ჩემო თავო და ჩემო ლადო!“ — დამკრა თავში და ცივმა ოფლმა დამასხა. რა ვქნა ახლა, რა ვუპასუხო. ისე ალიქვა და, რაც მთავარია, იმგვარი კუთხით შეაფასა ეს მართლაც განზე ფეხებგადგმული, მკერდსავსე ქალი, რომ ძნელად თუ შეედავები. საეჭვოდაც რომ მიიჩნიო მისი ნათქვამი, მიდი და შეეპასუხე, როცა ასე გაცეცხლებით, ასეთი აგზნებით მოამრგვალა სათქმელი. ჯიბეში ჩადებული კოლოფი სიმწრისაგან ხელისგულში მოვჭმუჭნე, პირისკენაც ინსტიქტურად წავიღე ხელი, რომ ჯერ აუნთებელი პაპიროსიც, სტალინის მიერ ასე გალანძღული, მომეშორებინა და სწორედ ამ დროს, ამ მოძრაობაში ვიპოვე სიტუაციის განმმუხტველი სიტყვაცა და საქციელიც, — ისევ ჩემმა არტისტობამ მიშველა: პაპიროსი ისეთი სახით მოვიცილე ამ მოძრაობით გამომეხატა, „ამის მოწევა აწი იქნება-მეთქი?“ და ვთქვი:

— აქამდე გემო მაინც ჰქონდა ამ საწამლავს და ახლა...

სტალინს და გარშემო მყოფთაც გაეცინათ:

— არა, ბიჭო, თუთუნს რას ვერჩით, თუთუნი კი ვარგა. მე კოლოფზე და ზედ დახატულზე გითხარი, — ამით ისევ მომთხოვა პასუხი, მაგრამ მე უკვე გონს ვიყავ მოსული და ისიც მოვიფიქრე უკვე, ჩემი საყვარელი ლადოს „დანაშაული“ როგორ შემემსუბუქებინა:

— რაც დაუკვეთეს, მხატვრისგანაც ის მიიღეს, ამხანაგო სტალინ, — და თვით ლადოს მხატვრობაზე გადავიტანე საუბარი ისე, რომ საშუალება არ მისცემოდა არავის, სიტყვა ჩაერთო, — მაგ მხატვრის ნამუშევრები რომ გენახათ, თუნდაც მეჩაიე ქალებზე, ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციის ფონზე, ანგელოსების კრებულივით რომ შესევიან მწვანე ბუჩქებს, ალბათ, პირადად მისდამი ასეთ სიმკაცრეს აღარ გამოიჩენდით. ერთ-ერთი მისი სურათი დაჟინებით რომ მოეთხოვათ ამ კოლოფისთვის, ვთქვათ, „ფრესკის ღიმილი“ — ეს უკვე მხოლოდ პაპიროსის რეკლამა კი არ იქნებოდა, არამედ ჩვენი, ქართული კულტურის პროპაგანდაც. მაგრამ პაპიროსის კოლოფზე გამოსაკრავად ასეთი ნახატის გამეტებაც ცოდო იქნებოდა და ვერც მხატვარი წავიდოდა ამაზე. ეს კი, ამხანაგო სტალინ, უბრალოდ, რომ ვთქვათ, მხატვრის „ხალტურაა“, თვითონაც გესმით, ხანდახან კუჭისთვის ცოდვილობს მხატვარი და, თქვენი თქმისა არ იყოს, მართლაც ამ კოლოფზე აღბეჭდილ ნახატს არავითარი შინაარსი არ გააჩნია.

წინასწარგანზრახვით უშინაარსო შევარქვი ჩემი ლადოს მიერ „საქართველოს“ კოლოფის გაფორმებას; მაშინ, ასე, წინასწარი განზრახვით ვთქვი, მაგრამ სტალინის იმ დახასიათების შემდეგ, ეს ერთადერთი ნამუშევარია **ლადო გუდიაშვილისა**, რომელიც არ მომწონს (თუმცა მანამდე არ დავკვირვებულვარ ასე მის ნახატს). ჩემი ჯერი რომ დადგა, მშობლების, და, კერძოდ, სტალინის დედის მოსაგონარის თქმისა, შემთხვევით ვისარგებლე და ნება ვთხოვე, „ვეფხისა და მოყმის სიმღერას“ წაგიკითხავთ-მეთქი. იმ წუთებში ჩემი გრძნობების გამოსახატავად ამ ლექსმა მომთხოვა წაკითხვა, მომთხოვა კი არა, ენის წვერზე ამითამაშდა ამ ლექსის სტრიქონები. გზნებით, შეპარვით დავიწყე კითხვა, თანდათან ვუმატე გზნებას, საჭირო ადგილებში შევცვალე მაჟორული და მინორული კილო და არტისტის იმ „ფხიზელის გრძნობით“ მივხვდი, რომ თანამესუფრენი ხელში მყავდა აყვანილი. აი, დავასრულე ლექსი და ყველამ ერთდროულად ტაში შემოჰკრა. სტალინმა კი თქვა:

— მარგალიტია!

— როდესაც მადლობის გადასახდელად მივუახლოვდი, მითხრა: „შენც მარგალიტი ხარ“ და მხარზე ხელი დამკრა.

— აი ვაჟა-ფშაველას ძირები სად არის! აი, საიდან წამოვიდა ვაჟა! — თქვა სტალინმა.

მისი ქებით გათამამებულმა, სტალინის სადღეგრძელო რომ დაილია, ახლა **გიორგი ლეონიძის** ლექსი მოვიშველიე „მერვე საგანგებო ყრილობის დელეგატის მოგონება“. ლექსი რომ დავასრულე, დამსწრეთ ტაში დამიკრეს; მხოლოდ მან თქვა: „ახირებული კაცი ყოფილა ეს ლეონიძე“ და თავისი მომხიბვლელი ოდნავი ღიმილით გაიღიმა. მერმე იკითხა:

— ეგ რომელი ლეონიძეა?

— ლეონიძე ერთი გვყავს, შესანიშნავი პოეტი და საოცარი კაცი, — მაშინვე მოკლედ დავუხასიათე ჩემი გოგლა, ჩემი საყვარელი მეგობარი და, გულში მიხაროდა, მისი ლექსისა და სახელის წარმოჩენა რომ მოვახერხე სტალინის წინაშე, — სხვა მრავალ ნაწარმოებთან ერთად, თქვენი ბავშვობისა და ყრმობის თემაზე ჭეშმარიტად მაღალმხატვრული პოემა შექმნა.

ეს რომ ვთქვი, სტალინი ცოტა უხერხულად შეიშმუშნა და ღიმილით იკითხა:

— ლაურეატია?

— დიახ! რა თქმა უნდა! — აქეთ-იქიდან ვუპასუხეთ.

— აბა, რაღას ჩამაცივდა ეგ შენი ლეონიძე?!

ჩემ მიერ ლეონიძის ქების გასაბათილებლად კი არა, უნებურად აღძრული უხერხული განცდის გასაქარწყლებლად წარმოთქვა სტალინმა ეს სიტყვები ხაზგასმით გლეხური კილოთი და შეხუმრებით.

ამ მხრივ, თუმცა **ილია ჭავჭავაძეს** ღრმა პატივსა ვცემ, მაგრამ **აკაკი** მაინც უფრო ნოვატორად მიმაჩნია საქართველოში ენის გახალხურებისა და განვითარების საქმეში; აკაკის კვალად, **ვაჟაც** დიდად დაეხმარა ქართულ სალიტერატურო ენას თავისი ხალხური მეტყველების ფორმებით, ლექსიკითა და გრძნობათა, აზრთა სადად გამოთქმით...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიწექი ფიქრში გართული, რომ უეცრად ოთახის კარი გაიღო და შემოვიდა პიჟამასა და ფლოსტებში გამოწყობილი სტალინი. სუნთქვა შემეკრა და თვალები სასწრაფოდ დავხუჭე. მესმის, ფეხაკრეფით მიემართება გვერდით ოთახისკენ. გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვიდა, მიუახლოვდა ჯერ პეტას, დაიხარა, გადახდილი საბანი შეუსწორა და ერთ ხანს ასე გადახრილი შეყოვნდა სიყრმის მეგობრის სასთუმალთან. მერე გასწორდა, ძილის წინ ფანჯარა რომ გავაღე, ოდნავ მიხურა. შემობრუნდა და, არ ვიცი, ჩემკენ უნდა წამოსულიყო, არ ვიცი, გასვლას აპირებდა, მაგრამ გულის ძგერას ველარ გავუძელი და სწრაფად წამოვჯექი.

— არ გძინავს, გურულო? — ჩურჩულით შემეკითხა და გამიღიმა.

— რა დამაძინებს, იოსებ ბესარიონოვიჩ, — იქ ყოფნისას სახელითა და მამის სახელით პირველად მივმართე, სხვაგვარად, ვერცა ვთქვი იმ სიტუაციაში, — გათენდა უკვე და, თან, თქვენზე ვფიქრობ.

— ფიქრობ და იფიქრე, — ჩაიღიმა, — მეც ბევრს ვფიქრობ თქვენზე. ცოტა თქვენც იფიქრეთ. მაგრამ, აბა, ახლა დაიძინე,— ბავშვივით დამტუქსა, — ხვალ მთელი დღე მოშლილი იქნები, თუ ცოტა მაინც არ დაიძინე, — თქვა და სწრაფად გავიდა.

თბილისში, ჩემო კარგო, შეიძლება, ისე ულვინოდ აგირიონ გზა-კვალი, ისე უმიზნოდ გაგრიყონ და მოგიცილონ თავიდან მათ, ვისთვისაც იღვწი, წვალობ და იბრძვი, რომ უნებურად სადღაც გადაკარგულში ამოჰყოფ თავს დაშეიძლება, სამუდამოდ გადაგკარგონ...

— აი, მე გიამბობთ ერთ ამბავს. მეც მქონდა ბედნიერება, თბილისში მემუშავა. გაცხარებულ დისკუსიაში მენშევიკების უნიათობა რამდენჯერ გამოვააშკარავე, რამდენჯერ მიწაზე ორთავ ბეჭით დავაკარი ცნობილი ორატორები, მაგრამ... წარმოიდგინე, რომ მუშებმა არ მისმინეს და... ბაქოში გადამისროლეს ზოგიერთმა რევოლუციონერმა მოღვაწეებმა. ჰმ, რა მინდოდა მე ბაქოში?!

— თქვენ გაგაგდეს? — ისევ გულუბრყვილოდ შევეკითხე.

— დიახ, დიახ! მე მხოლოდ მენშევიკებს კი არ ვუტევდი, მუშებს შორის წვრილბურჟუაზიული თვისებების მამხილებელიც ვიყავი, თვითონ თბილისის მუშათა კლასის წარმომადგენლებსაც ვამხელდი არარევოლუციონერულ გადახრებში და მაინცდამაინც არ მოვეწონე.

— რაღაც გაუგებრობა მოხდა, ალბათ...

— გაუგებრობა კი არა... აგერ, მისმინე: თბილისის მუშების საკმაოდ დიდ ნაწილს თბილისის გარეუბანში პატარა მიწის ნაკვეთები ჰქონდა. იქ დადიოდნენ, მოჰყავდათ ბოსტნეული, ხილიც ჰქონდათ იმდენი, რომ ყველაფერი ეს ბაზარში გაეტანათ და გაეყიდათ. ეს ნაწილი მუშებისა არხეინად გრძნობდა თავს და უკვე მათზე აღარ შეტკიოდა გული, ვისაც ის მცირე შესაძლებლობები არ ჰქონდათ. ისინი იმდენად რევოლუციონერობდნენ, რამდენადაც მათ უბადრუკ კეთილდღეობას რაღაც შემთხვევის გამო მთავრობისგან საფრთხე დაემუქრებოდა, რამდენადაც ვაჭრებსა და გამყიდველ-შემსყიდველების მიერ გაბმულ ხლართებში გაებმებოდნენ მოტყუებულები... გაფიცვებშიც წესიერად არ მონაწილეობდნენ, კრებებზეც ორჭოფულად მსჯელობდნენ, თუკი მოვიდოდნენ, საერთოდ. უმიწაწყლო მუშები, მათ „მებოსტნეებს“ უწოდებდნენ. „მებოსტნეები“ კი იმათ — „გლახაკებს“. ეს იმიტომ, რომ მაძღარს მშიერისა და მშიერს მაძღრისა არასდროს ესმის. მოკლედ, მუშური ერთსულოვნება არ იყო მყარი თბილისში. აი, ერთსულოვნებისკენ, თანაბარი აქტიურობისკენ, ერთმანეთის გაზიარებისკენ და იდეის მსახურებისკენ რომ მოვუწოდებდი, იმიტომაც არ მოვეწონე ბევრს და ბაქოში მომიწია გადასვლა. აქ მეტი ერთსულოვნება, მეტი თანასწორობა და თავდადება იყო მუშათა კლასში... ინტელიგენციაც თბილისში კიდევ უარესად ჭრელი იყო; თითოეული ინტელიგენტი თავისკენ ექაჩებოდა საქმეს, თავის ინტერესებს უმორჩილებდა ზოგად იდეას... ხოდა, ძნელი წარმოსაგენია, თბილისი თბილისი აღარ იყოს და ათი-ოცი წლის განმავლობაში თავისი უარყოფითი თვისებები ამ ქალაქის მცხოვრებლებს სრულიად მოეშორებინათ.

**(დასასრული იქნება)**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენში არჩევნები სულ სხვაფრივ იმართება. აქ საზოგადოება კი არ ეძებს თავისი საერთო საქმეების პატრონს, მომვლელს და მოთავეს, – ვიგინდარები თვითონ გამოდიან საზოგადოების წინ და თხოულობენ, თუ ყიდულობენ, არჩევნის კენჭებს“.

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «არჩევნებით მთელს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და ყველა ჩვენს საზოგადო საქმეებს მიმართულება მიეცემა... ბედისკენ თუ უბედობისკენ, კარგისკენ თუ ავისკენ»

## არ მივეყიდოთ ვაიპოლიტიკოსებს და არ მივცეთ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შანსი

**„რაც კი რამ უმთავრესია ჩვენის ქვეყნის ცხოვრებაში, რასაც კი ნამდვილი გავლენა აქვს ჩვენის ერის ბედზე და მომავალზე, იმას ვერ სწვდება ჩვენში ამორჩეული პირების ასპარეზი“ — ეს საუკუნისწინანდელი გულისტკივილია ერის სასიქადულო შვილის, რომელმაც თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით დაამტკიცა მშობელი ქვეყნისა და ხალხის სიყვარული. ამ სიტყვების ავტორი ნიკო ნიკოლაძეა.**

როგორც ადრე არაერთხელ გვითქვამს, ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთია იმ ქართველ მოღვაწეთაგან, რომლის სახელიც უკვდავების ღირსია. რადგან ის იყო თავისი დროის მოწინავე აზროვნების ადამიანი, რომელმაც მიღებული განათლების, ნიჭისა და გამჭრიახობის წყალობით, ევროპული ცხოვრების ბევრი საუკეთესო მაგალითი შეისწავლა და ცდილობდა, შესაძლებლობების ფარგლებში, საქართველოში დაემკვიდრებინა. მან ევროპული ცხოვრების წესი თუ ტექნიკის მიღწევა გადმოიტანა თავის ქვეყანაში, ოღონდ მხოლოდ ის, რომელიც პროგრესული იყო და იცოდა, საქართველოს სასიკეთოდ წაადგებოდა. XIX საუკუნის უკვე 70-იან წლებში ნიკო ნიკოლაძე ძირითადად საქართველოში იმყოფებოდა და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მან წამოაყენა რამდენიმე იდეა და განახორციელა არაერთი ისეთი პროექტი, რომლებიც გარდამტეხი გახდა საქართველოს განვითარებისთვის.

ავიღოთ თუნდაც თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შექმნა, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე აქტიურად უჭერდა მხარს.

მეორე — ვაჭრობის განვითარება. ეს საკითხი, ნიკოლაძის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ის ქართველ ახალგაზრდებს მოუწოდებდა, ევაჭრათ, ოღონდ კეთილსინდისიერად. გლეხებს კი სთხოვდა, ქალაქში ჩამოეტანათ პროდუქტი და, თუ ღვინო ღირდა 1 კაპიკი, 10 კაპიკად მიეყიდათ ადგილობრივებისთვის და არა 1 მანეთად, როგორც ამას სირაჯები აკეთებდნენ. მაგრამ მაშინ ქართველების უმეტესობას ვაჭრობა ეთაკილებოდა. ნიკო ნიკოლაძეს კი სამარცხვინოდ ვაჭრობის მტაცებლური მეთოდები მიაჩნდა. ფიქრობდა, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებით შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალიზმის დანერგვა. ევროპაში ცხოვრებისას მან კარგად დაინახა, თუ რა როლს ასრულებდა ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში საბანკო საქმე და ვაჭრობა. სწორედ ამიტომ სურდა, საქართველოც იმავე გზით განვითარებულიყო.

მას ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდა უნივერსიტეტის გახსნა, თანაც ტექნიკური უნივერსიტეტის, რადგან თვლიდა, რომ ხალხს წინსვლისთვის, კლასიკური განათლება კი არა, ტექნიკური განათლება და შესაბამისი სკოლები სჭირდებოდა. თუმცა, როდესაც გადაწყდა, ჰუმანიტარული უნივერსიტეტის გახსნა, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხელი არ შეუშლია ამ იდეისთვის.

ნიკო ნიკოლაძე თვლიდა, რომ პრესას შეეძლო დიდი გარდატეხა შეეტანა საზოგადოების განათლებასა და განვითარებაში. ამიტომ XIX საუკუნის 70-იან წლებში ის თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასთან“, 1871 წელს კი დააარსა ჟურნალი „კრებული“, რომლის ფაქტობრივი რედაქტორი თავად იყო, ხოლო ოფიციალური რედაქტორი — გიორგი წერეთელი.

ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი, ვინც ერობის, ანუ თვითმმართველობის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობდა. მას მიაჩნდა, რომ თემს უნდა აერჩია განათლებული, ხელმძღვანელი წევრები, რომლებსაც გადაუხდიდა ხელფასს და დააკისრებდა ხალხის სამსახურს, მაგრამ ამ მოვალეობას ვინც ვერ შეასრულებდა, გადააყენებდნენ და მის ნაცვლად სხვას აირჩევდნენ.

ამგვარად ამ საკითხს ვერც ნიკო ნიკოლაძის დროს წყვეტდნენ და ვერც დღეს, რადგან ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რიგითი მოქალაქე პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესრულებას — პატივი სცეს და ანგარიში გაუწიოს სხვების ინტერესებს, სიფრთხილით მოეპყრას საზოგადოებრივ სიკეთეებსა და ქონებას, იზრუნოს მათ გაუმჯობესებაზე. ეს როლი, ბუნებრივია, ნებაყოფლობითია, მაგრამ იმ საზოგადოებაში, რომლის მოქალაქეები პირადი პასუხისმგებლობით არიან განმსჭვალულნი, ცხოვრება გაცილებით სასიამოვნოა. გამოდის, ჩვენ გვაკლია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რადგან ჩვენ მიერ არაერთხელ არჩეულმა



ხელისუფლებებმა უძლურებაც და სისუსტეც ბევრჯერ გვაჩვენეს, ლაქიობის საოცარი ნიჭი და უნარიც გამოამჟღავნეს, მაგრამ ვერა და ვერ მოვიშორეთ თავიდან, თუმცა მივხვდით, რომ ამგვარად პატივისცემასა და დაფასებას ვერ ვეღირსებით უცხოთა თვალში, არავინ არასოდეს შემოგვხედავს, როგორც თანასწორს. სწორედ ამაზე წუხს ნიკო ნიკოლაძე, როცა წერს, რომ „უცხოეთისა და უცხოელების თვალში ჩვენი წარმომადგენელი მარტო იმით კი არ უნდა ჩანდეს, რომ ჩვენი წარმომადგენელია, თავის თავითაც ცოტათი მაინც ცნობილი უნდა იყოს რითამე, რომ ყველას ესმოდეს: ქართველები ღირსეულ კაცებს ირჩევენ თავიანთი საქმის მოთავედო, გონიერება დევს მათი არჩევნების საძირკვლად, და არა თვალთმაქცობა ან ცრუ-მორწმუნეობაო. ასე თუ არ იქნა, და ვიგინდარები ვირჩიეთ, მათი უძლურება და სისუსტე მალე დაუმტკიცებს მთელ ქვეყანას, რომ ქართველები თავის წარმომადგენლებზე ბევრად უფრო სუსტი და უძლური ყოფილანო...“

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება უკვე დაიწყო. ყველა პოლიტიკური პარტია თუ გაერთიანება კვლავ შეეცდება იმ გზებისა და საშუალებების ძიებას, რომლითაც შეძლებენ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოკალათებას და პირად კეთილდღეობაზე ზრუნვას, თუ ამის საშუალებას თავიანთი გულგრილობითა და პასიურობით ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები კვლავ მისცემენ — ან საერთოდ არ მივლენ არჩევნებზე, ან „ფოჩიანი კანფეტებით“ ისევ მოიტყუებენ თავს. ამაზე მეტყველებს ის სტატისტიკა, რომელსაც ყოველი არჩევნების შემდეგ გვაცნობებს ხოლმე საარჩევნო კომისია, როცა არჩევნებში მოსახლეობის მონაწილეობის დაბალ პროცენტებს აქვეყნებს.

ასეთ შემთხვევაში „როგორ უნდა მოიქცეს მამულის ერთგული შვილი, ან რა საქციელს უნდა სთვლიდეს ქვეყნისთვის სასიკეთოდ და რას – სავნებლად და სამარცხვინოდ?“

**გვმართებს დაფიქრება — როგორ მოვიქცეთ, რა რჩევა წაგვადგება სწორი არჩევანის გასაკეთებლად. ამ თემაზე მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს ნიკო ნიკოლაძის სტატიიდან „შინაური მიმოხილვა“, რომელიც *1894 წელს (№5) დაიბეჭდა „მოამბეში“.***

**ჰოდა, რაკი „ვიგინდარები თვითონ გამოდიან საზოგადოების წინ და თხოულობენ, თუ ყიდულობენ, არჩევნის კენჭებს“, „როგორ უნდა მოიქცეს მამულის ერთგული შვილი, ან რა საქციელს უნდა სთვლიდეს ქვეყნისთვის სასიკეთოდ და რას – სავნებლად და სამარცხვინოდ“?**

**საკითხავი აი ეს არის.**

* * *

„ქართველობას ამ თვეში სხვა რა შინაური საქმეები ექნება, ან რა სხვა შინაური მიმოხილვისათვის ეცლება, არჩევნების გარდა? არც აქვს, და არც უნდა ჰქონდეს ამაზე უფრო საყურადღებო საგანი თუ საქმე. მართლაც, ამ გაზაფხულზე როგორც ტფილისს, ისე ქუთაისსაც თითქმის ერთ და იმავე დროს ამოსარჩევი გვყავან ყველა ჩვენი საზოგადო საქმეების და დაწესებულებების მეთაურები: მარშლები, საადგილ-მამულო ბანკის მმართველები და ზედამხედველები, სააზნაურო სკოლების განმგებლები და სხვ. ამასთანავე ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში და ახალციხეში ქალაქის ხმოსნებიც და მოურავებიც ამოსარჩევნი არიან. ამ გაზაფხულზე ამ **არჩევნებით მთელს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და ყველა ჩვენს საზოგადო საქმეებს მიმართულება მიეცემა, სამი ან ოთხი წლის ვადით, ბედისკენ თუ უბედობისკენ, კარგისკენ თუ ავისკენ. ამ მდგომარეობაში დიალაც საფიქრებელი და საზრუნველიც არის – თუ როგორ უნდა მოიქცეს მამულის ერთგული შვილი, ან რა საქციელს უნდა სთვლიდეს ქვეყნისთვის სასიკეთოდ და რას — სავნებლად და სამარცხვინოდ.**

ჩვენს დროში, მთელი კაცობრიობის აზრით, არჩევანი ერის წყობილების და ბედის საძირკველია. **ყოველი განათლებული ხალხი უმთავრეს თავის ყურადღებას იმას აქცევს, რომ პატიოსანი და გონიერი კანონები შეადგინოს არჩევნების შესახებ და ყველა თავის არჩევნები წესიერად, გულ-წრფელად და სვინდისიანად მოახდინოს, ამ კანონების გადუხვეველად და გადუხდომელად. სადაც ეს მტკიცედ არაა დაცული, იქ არეულობის, მატყუვრობის და ძალადობის მეტი არაფერი მეფობს საზოგადო და საქვეყნო ცხოვრებაში.** მცირედი უკანონობა ან გარყვნილობა არჩევნებში სწორედ იმნაირადვე რევს და შლის ერის საქმეებს და წყობილებას, როგორც საძირკველის გამოთხრა სახლს აზიანებს და კიდეც აქცევს ხოლმე. ამ მიზეზით განათლებულ ქვეყნებში ერთი ნამცეცი მოქრთამვა, ძალადობა ან უკანონობა რომ შეამჩნიონ კენჭის-ყრას, მაშინვე დაარღვევენ არჩევანს და ხელმეორედ ახალს ნიშვნენ. თვითონ საზოგადოების თვალშიაც მიუტევებელ ბიწიერებად, თითქმის მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება რიგიანობის მცირეოდნად შელახვა არჩევნის დროს. რასაკვირველია, ყოველი პატიოსანი კაცი განსაკუთრებით იმას ნატრობს, ცდილობს და ეძებს, რომ ხალხის საკუთარი და თავისუფალი სურვილით იქნეს ამორჩეული, ერის ნების ნამდვილი წარმომადგენელი გაბ- ▶






# „როგორიც მეთაური გვეყოლება არჩეული, ისეთიც მსვლელობა ექნება ჩვენს საერო საქმეს, და ისეთივე პატივი გვეღირსება მეზობლებისა და უცხოელებისგან...“

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀დეს, და არა მატყუვრობით ირქმევდეს ამ სახარბიელო სახელს.

საცა არჩევანს ასე რიგიანად აფასებენ და უფრთხილდებიან, იქ კენჭის-ყრა ან მისგან გამოწვეული პარტიების ბრძოლა საუკეთესო სკოლაა ქვეყნის წარმატებისათვის. იქ ამ ბრძოლის წყალობით თანდათან უმჯობესდება ქვეყნის ზნეობა, და მთელი ხალხი ნელ-ნელა დიდძალ მეცნიერებას თუ გამოცდილებას იძენს საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ საქმეებში. ამასთანავე ერი ცნობილობს თავის მოწინავე პირებს, მეთაურებს, და, რამდენიმე აუცილებელ შეცდომებს შემდეგ, მართლა ხეირიანების ამორჩევას ეჩვევა. იგებს, ვინ სად ან რაში არგებს და გამოადგება. მაშინ მისი საზოგადო საქმეებიც წესიერ გზაზე დგება, ღირსეულ კაცებს ჰბარდება. მარტო ამ გზით ხერხდება ამ საქმეების წარმატება და ხალხის კეთილ დღეობის დამყარება.

ჩვენშიაც რომ ამნაირად უყურებდეს ხალხი არჩევნების საქმეს, ბევრად უფრო კარგ მდგომარეობაში ვიქნებოდით დღეს, ვინემ ეხლა ვართ. მართალია, ჯერ-ჯერობით დიდი-რამ არაფერი აქვთ გადასაწყვეტი ან გასარიგებელი ჩვენმიერ ამორჩეულ პირებს. რაც კი რამ უმთავრესია ჩვენის ქვეყნის ცხოვრებაში, რასაც კი ნამდვილი გავლენა აქვს ჩვენის ერის ბედზე და მომავალზე, იმას ვერ სწვდება ჩვენში ამორჩეული პირების ასპარეზი. მაგრამ ყოველთვის ხომ ასე არ იქნება, და ყოველგან ხომ სწორედ ასე იყო, რომ ამორჩეულების ასპარეზი თანდათან ფართოვდებოდა, მარტო დაკავებული ასპარეზის გონიერად ხმარებით, გამოყენებით. დიდი-რამ არაფერი გვაქვს ჯერ, მართალია, მაგრამ არც სულ დასაწუნი და შეუმჩნეველია ის, რაცა გვაქვს. უფრო ყურ-საგდები აქ ის არის, რომ ჯერ, რაცა გვაქვს, იმითაც ვერ გვისარგებლნია, და ის ასპარეზიც არ დაგვიმუშავებია, რომელზედაც თავისუფლად ტრიალის ნება და შეძლება გვაქვს. მცირედი ვერ მოვიხმარეთ, დიდს რას მოვუხერხებთ?

...ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს საზოგადო საქმეებს „პატრონები“ რომ ჰყავდეთ, ამისთანა მარცხი როდი დაემართებოდათ. რიგიანი პატრონი, ხომ, თავის საქმეს ისე უვლის, ყოველთვის, რომ არც დროს ჰკარგავს, არც შემთხვევას, და რაც უფრო ხეირიანად ხმარობს ამ დროს, ან რაც უფრო სრულად სარგებლობს შემთხვევით, მით უმჯობესად მიდის მისი საქმე. **განათლებულ ქვეყნებში, საცა საზოგადოება თუ ერი თავისი საქმეების მმართველებს თვითონ ირჩევს, ყველას ესმის, რომ პატრონი უნდა უპოვონ და აურჩიონ ამ საქმეებს, ისეთი რიგიანი პატრონი, რომელიც საერო საქმეს სწორედ ისე მოუვლის, თითქო მისი საკუთარი იყოს**: დროს დაუკარგველად, შემთხვევის გაუშვებლად. ამისთვისაც იქ, არჩევანი რომ დადგება, საზოგადოება თვითონ ეძებს, თვითონ ჰფიქრობს: ნეტა ამ ალაგზე ვინ იქნება უმჯობესი, უგონიერესი, უპატიოსნესი პატრონი ჩვენი საზოგადო საქმისაო. ეძებს, და არჩევს უმჯობესს. ამიტომაც მიხედეთ, აბა, მის საქმეებს: საცა გინდათ და არ

**«საცა არჩევანს ასე რიგიანად აფასებენ და უფრთხილდებიან, იქ კენჭის-ყრა ან მისგან გამოწვეული პარტიების ბრძოლა საუკეთესო სკოლაა ქვეყნის წარმატებისათვის. იქ ამ ბრძოლის წყალობით თანდათან უმჯობესდება ქვეყნის ზნეობა, და მთელი ხალხი ნელ-ნელა დიდძალ მეცნიერებას თუ გამოცდილებას იძენს საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ საქმეებში. ამასთანავე ერი ცნობილობს თავის მოწინავე პირებს, მეთაურებს, და, რამდენიმე აუცილებელ შეცდომებს შემდეგ, მართლა ხეირიანების ამორჩევას ეჩვევა. იგებს, ვინ სად ან რაში არგებს და გამოადგება. მაშინ მისი საზოგადო საქმეებიც წესიერ გზაზე დგება, ღირსეულ კაცებს ჰბარდება. მარტო ამ გზით ხერხდება ამ საქმეების წარმატება და ხალხის კეთილ დღეობის დამყარება»**

გინდათ, ყველგან რიგიანი კი არა, უწარჩინებულესი მოთავეები უყენიათ, საქმის მცოდნენი, საქმეზე ერთგულნი, მუყაითნი. რაღა გასაკვირველია, რომ იქ საზოგადო თუ საერო საქმე კარგად და ღირესულად მიდიოდეს? უკეთესებს, უმჯობესებს ირჩევენ ყოველთვის საქმის მოთავედ...

ადვილიც არის იქ, კერძო მოკენჭესთვის, მიგნება, თუ ვინ ემჯობინება ამა და ამ ადგილზე. კენჭის-ყრის რამდენიმე კვირის წინათ თვითეული სოფელი თუ უბანი თითო სანდო კაცს გზავნის საერო კრებაზე: ერთად ვარჩიოთ, ვის უყაროთ კენჭიო, ვინ გამოვიყენოთ კანდიდატადო. თვითეული პარტია თავ-თავის კრებას ჰმართავს. კრება მოიწვევს იმ პირებს, ვისაც არჩევის ღირსად სთვლის და მათ შეხედულობას, მათ აზრს, სურვილს თუ განზრახვას ცნობილობს და ადარებს. მაშინ მის წინ შესანიშნავი და ამაღლებული შეტაკება ხდება ხოლმე სხვა-და-სხვა აზრებისა და მიმართულებისა, ის შეტაკება, რომელიც, ფრანგული ანდაზით, ჭეშმარიტებას ჰბადავს. თვითეული მაძიებელი არჩევნისა გამოდის და კრებას თავის შეხედულებას, რწმუნებას, განზრახვას, პროგრამას უხსნის. მთელი მისი წარსული, მაშინ, ამ კრებას წინ ირჩევა და ისინჯება. მერე, როცა ყველასი წარსული საქციელი და მომავალი პროგრამა მკვიდრად გადითვალიერება, კრება სწყვეტს: ერს კანდიდატად ეს პირი წარვუდგინოთო. ამ სახით, კენჭის ყრის დღეს ხალხს წარდგენილი ჰყავს სხვა-და-სხვა მიმართულების კანდიდატები: მოწინავე პარტიის კრება მას თავის კანდიდატს ურდგენს, კონსერვატორების კრება — თავისას, და სხვ. ყველასი ღირსება, წარსული, მიმართულება მტკიცედაა აწონილი და გამოკვლეული. ამ „უმჯობესებიდან“ ხალხი, კენჭის-ყრის დღეს იმას ირჩევს, ვისი აზრი და რწმუნებაც უფრო შეეფერება მეკენჭეების უმრავლესობას. მაგრამ, ვინც უნდა შეიქნეს ამორჩეული, მარცხენა მხრის კანდიდატი, თუ მარჯვენისა, უეჭვო კია, რომ ყოველ შემთხვევაში ღირსეული კაცი იქნება არჩეული, რადგანაც არცერთი პარტია ხალხს ისეთს კანდიდატს არ წარუდგენს, რომელსაც მისი შერცხვენა და სახელის გატეხა შეეძლოს...

**ჩვენში არჩევნები სულ სხვაფრივ იმართება. აქ საზოგადოება კი არ ეძებს თავისი საერთო საქმეების პატრონს, მომვლელს და მოთავეს, – ვიგინდარები თვითონ გამოდიან საზოგადოების წინ და თხოულობენ, თუ ყიდულობენ, არჩევნის კენჭებს. აქ პარტიებიც გვყავს, უეჭველია, მაგრამ სულ სხვანაირი, ჩვენებური. აქ საქვეყნოდ, აშკარად, როდი ვინ არდგენს კრებას, არცარავინ „უმჯობესს ეძებს“. აქ გამოხტება, ვინც 346 თავზე ხელ-აღებულია და აღარაფრის მორიდება არა აქვს, და პარტიას „ირდგენს“,** სწორედ ისე, ძველს დროში „საშოვნელად“ წამყოლია ამხანაგობის გამოწვევა რომ იცოდნენ. „საშოვარი“ ადგილი ყოფილაო, საზოგადო სამსახურისა, ჩინებული ჯამაგირით, პატივიც დიდი აქვს, თურმე, სახელიც და გავლენაცაო. არიქა, ვიშოვნოთ; მარჯვე ბიჭი ვინცა ხართ, ეხლა გამოჩნდებაო! შეიყრის ასე თავს რამდენიმე ამხანაგი ან მეზობელი, და პლანს დააწყობს: ჩუმად, მალულად, ისე, რომ ვერავინ გაიგოს, მიეპარონ საერო კრებას, კენჭის ყრას, და უცბად შევარდენსავით ფრთა ჰკრან და ბრჭყალი სტაცონ „საშოვარ ადგილს“. კანდიდატს არც წარსული აქვს თვალ-საჩენი, არც არაფერი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების წინაშე. მისი სახელი, ამ საზოგადოების უმრავლესი ნაწილისთვის, და მთელი მხარისთვის, სრულიად უცნობია. საზოგადოებას და ქვეყანას გაგებაც არა აქვს, თუ რა რწმუნებისა, რა მიმართულებისა, რა პროგრამისაა ეს კანდიდატი. რა მოუქმედნია, რას იზამს, ვინ იცის! განათლებულ ქვეყნებში კანდიდატს საზოგადოების წინ რომ ყოველთვის თავდებები ჰყავს, მისი გამოყვანილი, მისი განზრახვის მცოდნენი. აქ, ჩვენში, ახალ გამოხტომილ კანდიდატებს თავის ნათესაობის მეტი თანამოაზრე და თავდები არავინა ჰყავს. რისი თავდებობა, სადაური პროგრამაო. ისმის ყოველგან ჩვენში; ან წარსული რად უნდა კაცს, ან ღვაწლი, ან გავლენა: მთელი საქმე კენჭში ყოფილაო. კენჭი იშოვნე ბლომად, მეტს ნურას ეძებ, მეტი არაფერი ყოფილა თურმე საჭიროო. კენჭი, კენჭი, მარტო კენჭი. თუ თავის ნებით არ მოვიდეს მეკენჭე, მოიყვანე, მოიქრთამე: თვლაში ყველა ერთნაირად გამოდგება, დიდი და პატარა, გულრწფელი და ნაქირავები, კარგი და ავი...

სამწუხარო აქ მარტო ის როდია, რომ ჩვენი საზოგადო საქმეები ოხრად, უპატრონოდ, გვირჩება, უმთავრესი თვისება ჩვენი არჩევნებისა ის არის, რომ მარტო თანამდებობის პირებს კი არ ვირჩევთ. განათლებულ ქვეყნებში ბანკის მმართველი, მაგალითად, მარტო ბანკის მმართველია, მეტი არაფერი, ამიტომ რომ იქ საზოგადოებას, ერს, ქვეყანას თავ-თავისი ინტერესების გამომთქმელად, დამცველად და მომვლელად ბევრი სხვა დაწესებულება აქვს და წარმომადგენელი ჰყავს. ჩვენში, კი ბანკის მეტი რომ არა გვაბადიარა, ბანკის მმართველს ათასნაირი ტვირთი ჰმართებს საზოგადოების და ერის წინაშე. განათლებულ ქვეყნებში ბანკის მმართველის არჩევა დიაღაც ადვილი საქმეა: ოღონდ კი ქურდი ან გაიძვერა არ იყოს, და ბანკის ანგარიშები ესმოდეს, — მეტს მისგან არავინ არაფერს თხოულობს. ჩვენში კი ბანკის მმართველი ბანკსაც გონიერად უნდა უვლიდეს, და თან თითქმის ყველა ჩვენი საზოგადო საქმეების მეთაურად ვარგოდეს. ქალაქის თავიც ამგვარ მდგომარეობაშია, მარშალიც. ერთი სიტყვით, ყველა ჩვენს არჩევნებს ბევრად უფრო რთული და მძიმე როლი აქვთ, ვინემ ამნაირივე თანამდებობის პირებს უცხოეთში ან რუსეთში. მარტო ჩვენ თვითონ კი არ ვუცქერით იმათ ამისთანა თვალით, მარტო ქართველობა კი არ შეჰჩერებია იმათ გაზვიადებული იმედით, რუსობაც ასე უყურებს, და თვით მთავრობაც ასე ეპყრობა... იმ მიზეზით, რომ ჩვენს საერო საქმეებს ჯერ საკუთარი წყობა და მართვა არ მიჰნიჭებია, ჩვენი საერო ინტერესების ტვირთი ამ ჟამად ჩვენგან ამორჩეულ პირებს აწევს ზურგზე. მათ ხელშია — ან მათ ხელში უნდა იყოს — ჩვენი წარსულის განძის დაცვა, ჩვენი ეხლანდელი შრომის წინამძღოვრობა, ჩვენს მომავალ ბედზე მზრუნველობა. ამ მძიმე ტვირთს და პასუხისგებას კაი მაგარი ბეჭი სჭირია. **როგორიც მეთაური გვეყოლება არჩეული, ისეთიც მსვლელობა ექნება ჩვენს საერო საქმეს, და ისეთივე პატივი გვეღირსება მეზობლებისა და უცხოელებისგან... უცხოეთის და უცხოელების თვალში ჩვენი წარმომადგენელი მარტო იმით კი არ უნდა ჩანდეს, რომ ჩვენი წარმომადგენელია, თავის თავითაც ცოტათი მაინც ცნობილი უნდა იყოს რითამე, რომ ყველას ესმოდეს: ქართველები ღირსეულ კაცებს ირჩევენ თავიანთი საქმის მოთავედო, გონიერება დევს მათი არჩევნების საძირკვლად, და არა თვალთმაქცობა ან ცრუ-მორწმუნეობაო. ასე თუ არ იქნა, და ვიგინდარები ვირჩიეთ, მათი უძლურება და სისუსტე მალე დაუმტკიცებს მთელ ქვეყანას, რომ ქართველები თავის წარმომადგენლებზე ბევრად უფრო სუსტი და უძლური ყოფილანო...“**

**„მოამბე“,**
**1894 წელი, №5**



ნიკო ნიკოლაძე ფოთის ნავსადგურის მშენებლობაზე



ნიკო ნიკოლაძე ფოთის ნავსადგურში



ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხიდი და ტაძარი ფოთში

ჩაც დავიწყებით არ იბინდება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღემდე გამომყვა იმ შეხვედრის სითბო და ამაღლებული განწყობილება, რომელიც სიკეთით სავსე, ადამიანური და ძალიან კარგი იყო... იური გაგარინი ჩვენი ახალგაზრდობის გახსენებაა, იმ დროის, რომელიც თითქოს წავიდა, მაგრამ გული არ ეგუება, რომ ხანმა დაგვძლია.**

# უცებ გაფრინდა ჩვენი ახალგაზრდობა

**Как молоды мы были,**
**Как искренне любили...**

*Николай Добронравов*

**თითქოს გუშინ იყო: გულწრფელი ვიცოდით სიყვარული, მეგობრობა, საფიცარი გვქონდა სამშობლო, პატრიოტიზმის გვჯეროდა და ვიყავით ჭეშმარიტი პატრიოტები. ძნელად ვეჩვევით რეალობას, რომ ის „გუშინ“ გასული საუკუნე იყო, სხვა სახელმწიფოში ვცხოვრობდით და ახლო თუ შორეულ მეზობლებთან ერთად აღვნიშნავდით კალენდრის „წითელ თარიღებს“ — ზოგს სავალდებულოს, ზოგს სიხარულითა და სიამაყით. მათ შორის იყო კოსმონავტიკის დღე, რომელიც 1961 წლის 12 აპრილს იშვა. მოვლენა, რომელმაც შეძრა მსოფლიო: კაცობრიობის ისტორიაში პირველად უმძლავრესმა მატარებელმა რაკეტამ კოსმოსში გატყორცნა კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკი“ ადამიანთან ერთად. ეს ადამიანი იური გაგარინი იყო.**

**იური გაგარინი** იმ დღიდან და სამარადჟამოდ გმირობის, ვაჟკაცობის, რისკის გამართლების, მიუღწევლის მიღწევის სიმბოლოდ იქცა. თვით მოვლენა კი ადამიანის გონების ზეობის ნიშნად ჩაიწერა კაცობრიობის ისტორიაში, ყველასთვის — იდეოლოგიის, მრწამსის, პოლიტიკური თვალსაზრისისა და აკვიატებული აზრების მიუხედავად.

თავისი ისტორიული ფრენის შემდეგ რამდენიმე წელიწადში პირველი კოსმონავტი საწვრთნელი გაფრენისას დაიღუპა...

თავს ბედნიერად მივიჩნევ, რომ საშუალება მქონდა, მოსკოვში შევხვედროდი იური გაგარინს ქართველი ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად და ეს შეხვედრა ფირზე აღმებეჭდა.

ამ შეხვედრის შესახებ მოგითხრობთ მოკლედ.

**1962 წლის შემოდგომაზე მე, თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის (შემდეგში — სულხან-საბა ორბელიანის, ამჟამად ილიას სახელობის უნივერსიტეტის) სტუდენტი პროფკომში გამომიძახეს და მოულოდნელი შემოთავაზებით გამახარეს. მითხრეს, რომ გამამგზავრებდნენ მოსკოვში კინომოყვარულთა მეორე საკავშირო შეკრებაში მონაწილეობისთვის საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში.**

მთელ ჩვენს ინსტიტუტში მხოლოდ ჩემი მეგობარი **ბორია ბეგიაშვილი** და მე ვიყავით თავგადაკლული კინომოყვარულები. ვიღებდით მოკლე, სასაცილო სიუჟეტებს ძველისძველ, 1959 წელს გამოშვებულ 8-მილიმეტრიან კინოკამერა „კამაზე“.

ბორია ჩვენი პროფკომიტეტის წევრი იყო, ე.წ. კულტურული მიმართულების კურატორად იყო გამწესებული და, ბუნებრივია, რომ დელეგაციის შემადგენლობაში შესაყვანი კანდიდატურების შერჩევა მას დაავალეს.

ბორიამ არჩევანი ჩემზე შეაჩერა. მან იცოდა, რომ ის ზაფხული ყაზახეთის ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად შრომით სემესტრში ვმონაწილეობდი და თავდაუზოგავად ვმუშაობდი. კინომოყვარულთა შეკრებაზე ჩემი გამგზავრება კი ღირსეული ჯილდო იქნებოდა ჩემთვის.

მას მხარი დაუჭირეს.

მოსკოვში საქართველოს დელეგაცია სასტუმრო „იუნოსტში“ ცხოვრობდა. იქვე, საკონფერენციო დარბაზში მიმდინარეობდა მოყვარულთა ფილმების ჩვენება-განხილვა, მასტერკლასებს ცნობილი კინორეჟისორი **როშალი** გვიტარებდა.

საქართველოს დელეგაციაში ჩვენ გარდა იყვნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგე **არმაზ სანებლიძე** (ხელმძღვანელი), ცკ-ის ინსტრუქტორი **ალკაზარ კაკულია,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კინომოყვარულები.



(მარცხნიდან): არმაზ სანებლიძე, მერაბ თევზაძე (სპი), ალკაზარ კაკულია, სერმოლ მესი (თსუ), რამაზ სიხარულიძე (სპი), ცენტრში — დედამიწის პირველი კოსმონავტი იური გაგარინი

მოსკოვში ჩასვლის საღამოს ორგანიზატორებმა ალაფურშეტზე მიგვიწვიეს. ვსაუბრობდით ჩვენს მორიდებულ პირველ ნაბიჯებზე მოყვარულთა კინემატოგრაფიაში, ერთმანეთს ვუზიარებდით გამოცდილებას, ვკამათობდით.

ასეთ შემოქმედებით ატმოსფეროში ჩართული დარბაზი უცებ აჩოჩქოლდა, ახმაურდა, გაისმა აპლოდისმენტები და მოულოდნელად გამოჩნდა იური გაგარინი, რომელიც საკავშირო ცეკას სპეციალურად ჩვენთან შესახვედრად მოეწვია იმ საღამოს თანმხლებ პირებთან ერთად.

საქართველოს დელეგაცია ჩვენთვის დამახასიათებელი ლიდერობის თვისების წყალობით დაუყოვნებლივ ამოქმედდა და, სანამ გაგარინს მისთვის განკუთვნილ მაგიდასთან დასვამდნენ, გარს შემოერტყა სტუმარს და ფოტოსურათის გადაღების ნებართვა სთხოვა.

**იური, რა თქმა უნდა, დაგვთანხმდა, როცა შეიტყო, რომ საქართველოდან ვიყავით. ჩვენი ბიჭები ისე მოვაწყვე, რომ ცენტრში იური გაგარინი ყოფილიყო. სანამ მასპინძლები გაერკვეოდნენ, რა ხდებოდა, ერთი კადრის გადაღება მოვასწარი, რაც საკმარისი იყო ამ ისტორიული მომენტის დასაფიქსირებლად. შემდეგ ყველაფერი ორგანიზატორთა ჩანაფიქრის მიხედვით წარიმართა...**

55 წელიწადი გავიდა მას შემდეგ. ამ კადრში აღბეჭდილთა შორის ბევრს აღარ შევხვედრივარ. გამონაკლისი მხოლოდ არმაზ სანებლიძეა, რომელთანაც სასტუმროს ერთ ნომერში ვცხოვრობდი, მომდევნო წლებში კი ხშირად ვურთიერთობდით ჟურნალისტურ საქმეებთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, იური გაგარინთან საუბრის დეტალები აღარ მახსოვს (ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელია). სამაგიეროდ, დღემდე გამომყვა იმ შეხვედრის სითბო და ამაღლებული განწყობილება, რომელიც სიკეთით სავსე, ადამიანური და ძალიან კარგი იყო.

ამასობაში ერთმა ჩვენმა ბიჭმა ულალატო ფოტოკამერა „ზორკი“ ჩამომართვა და კიდევ ერთი კადრი გადაიღო, რომელზე მეც ვარ აღბეჭდილი.

იური გაგარინი ჩვენი ახალგაზრდობის გახსენებაა, იმ დროის, რომელიც თითქოს წავიდა, მაგრამ გული არ ეგუება, რომ ხანმა დაგვძლია.

**ვალერი პარტუგიმოვი,**
**„ვეჩერნი ტბილისის“ საკუთარი კორესპონდენტი, მოსკოვი**



ზედა რიგში მარცხნიდან მეორე ვალერი პარტუგიმოვი, იური გაგარინი — ზის

**იური, რა თქმა უნდა, დაგვთანხმდა, როცა შეიტყო, რომ საქართველოდან ვიყავით. ჩვენი ბიჭები ისე მოვაწყვე, რომ ცენტრში იური გაგარინი ყოფილიყო. სანამ მასპინძლები გაერკვეოდნენ, რა ხდებოდა, ერთი კადრის გადაღება მოვასწარი, რაც საკმარისი იყო ამ ისტორიული მომენტის დასაფიქსირებლად. შემდეგ ყველაფერი ორგანიზატორთა ჩანაფიქრის მიხედვით წარიმართა...**

„ოც წელიწადზე მეტ ხანს ვმუშაობდი ამ წიგნზე, აქ ახსნილი, განმარტებული და მაგალითებით ილუსტრირებულია 700-ზე მეტი ტერმინი. ძალიან მძიმე სამუშაო იყო, ამგვარი წიგნების გამოცემაზე მოსკოვში მუშაობს სამეცნიერო-კვლევითი კინო-ფოტო ინსტიტუტის სამოციდან ას კაცამდე მაღალკვალიფიციური თანამშრომელი. მე მარტო ვმუშაობდი და საქმის ბოლომდე მიყვანა ჩემი სტუდენტებისა და მეგობრების მხარში დგომით შევძელი“.

გამზადებულია გამოსაცემად
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ასეთი წიგნი საქართველოში ჯერ არ გამოცემულა. დღესაც სათუოა, მიუხედავად იმისა, რომ სასიგნალო ეგზემპლარი მზად არის. მრავალუცნობიან განტოლებასავითაა. განგიმარტავთ: ეს წიგნია „კინემატოგრაფიისა და ვიდეოხელოვნების ხუთენოვანი ენციკლოპედიური ლექსიკონი“. მისი ავტორია ქართული დოკუმენტური კინოს პატრიარქი, არაერთი წოდებით შემკული და პრემიების ლაურეატი, აღიარებული შემოქმედი და პედაგოგი გია ჭუბაბრია, რომელსაც მკითხველი არა მხოლოდ შესანიშნავი ფილმებით, არამედ „საქართველო და მსოფლიოს“ მიერ ჩამორთმეული ინტერვიუებითაც იცნობს.**

# შემეცნებითი მოგზაურობა კინო და ტელესამყაროში






**«ფილმის გადაღებასთან დაკავშირებული ადამიანები თეორიულადაც უნდა იყვნენ მომზადებულები, უნდა იცნობდნენ ამ დარგში გამოყენებულ დეტალებს, თუნდაც იმ მოცულობით, რომლებიც წიგნშია თავმოყრილი და რომლებიც საერთო რაოდენობის ერთი მეოთხედი ან ერთი მესამედი თუ იქნება; ტერმინებს კაჭკაჭივით კი არ იზეპირებდნენ, არამედ იცოდნენ, რას ნიშნავს თითოეული მათგანი. კინოგანათლებისთვის არის საჭირო ასეთი წიგნები საერთოდ, საერთო და სპეციალური განათლებისთვის»**

ტირაჟის დაბეჭდვას უსახსრობა აბრკოლებს. ვისაც, წესითა და რიგით, სპეციალური ლიტერატურის გამოცემა ევალება — ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ მხოლოდ ფილმებს ვაფინანსებთო; ვისაც არ ევალება, იმან — მეცენატობა არ მიტაცებსო.

დაველოდოთ, გამზადებულ პროდუქციას A წერტილიდან (სტამბიდან) B წერტილამდე (დახლამდე) გასავლელი გზის დასაძლევად რა დრო დასჭირდება ამჯერად, თორემ საერთოდ, საქართველოში სიყვარულსაც კი, ავქსენტი ცაგარელის არ იყოს, ფასი დაედო: „ლუბიტ ნადო კრასავიცა, ფული მოგცეს მეტი ვინცა“.

შესავლიდან ვიგებთ, რომ წიგნი ხანგრძლივი შრომის შედეგია, რომელშიც თავმოყრილია რამდენიმე ასეული ყველაზე საჭირო და ხშირად ხმარებული კინო და ვიდეოტერმინი, მეტ-ნაკლებად ვრცელი განმარტებით ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე მხოლოდ ტერმინებია წარმოდგენილი ამხსნელი ტექსტის გარეშე.

არსებითად პირველი ცდაა ქართული კინო და ვიდეოტერმინოლოგიის შექმნის. ამასთანავე, მისი ერთ-ერთი დანიშნულებაა მსოფლიო ასპარეზზე ქართული ანბანის გატანა. დანიშნულება, სურვილი და ჩანაფიქრია ასეთი.

ლექსიკონი მოწოდებულია, არა მხოლოდ დააკმაყოფილოს მეტ-ნაკლებად მომზადებული მკითხველის პროფესიული მოთხოვნები, არამედ გაუღვივოს, როგორც სტუდენტებს, ისე ფართო მკითხველს ინტერესი ხელოვნების ამ სფეროსადმი.

პირველივე ტერმინი ამის შესანიშნავი მაგალითია:

„აბსოლუტური ფილმი“.

ანტირეალისტური ხელოვნების სახეობა. ავტორები ეკრანზე სინამდვილეს უსაგნო კომპოზიციების სახით გამოხატავენ. ა.ფ.-ს არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და შეიქმნა აბსტრაქტული ფერწერის გავლენით.

პირველად ა.ფ. ეკრანზე გამოჩნდა გერმანიაში 1919 წელს. ვ. ეგელინგმა და გ. რიხტერმა სცადს, კინოკამერის საშუალებით ამოეძრავებინათ უსაგნო ფერწერული კომპოზიციები. ამ ცდას უწოდებენ აბსოლუტურს ან აბსტრაქტულს. მიუხედავად ანტირეალიზმისა, გერმანიაში იღებენ ა.ფ-ებს. ო. ფიშინგერმა გადაიღო „ბრამსის მეხუთე ცეკვა“, ცნობილმა ვ. რუტმანმა — „ოპუსები 1, 2, 3.“, საფრანგეთში ფ. ლეჟემ შექმნა ფილმი „მექანიკური როკვა“ (1924), აშშ-ში რეჟისორმა რ. სტაინერმა დადგა ა.ფ. „$H_2O$“. ეს იყო წყალზე ათინათების მონტაჟი, ანუ უფორმო კომპოზიციების მოძრაობა. ავტორები ახდენენ მოძრავი ხაზებისა და ფერადი ლაქების გადაადგილებას. კადრში მოძრაობენ აბსტრაქტული საგნები — ქინძისთავები, სპირალები, ღილები, ასანთები და ამ ქაოსში ჩანს მოძრავი საგნების ახლო ხედები. ავტორები შეგნებულად გაურბიან ეკრანზე რეალობის, ობიექტური სინამდვილის ჩვენებას, ე.ი. ისინი ცდილობენ, მაყურებელი მოარიდონ რეალურ პრობლემებს.

ამას მოსდევს იმავე შინაარსის რუსული ტექსტი.

ყველაფერი მარტივად, გასაგებად და საინტერესოდ არის გადმოცემული. ცნობისმოყვარე გაიგებს, მცოდნე დააზუსტებს.

**მოკლე და ლაპიდარულია, მაგრამ იქ, სადაც საჭიროა, „გრძელ სიტყვასაც“ არ ერიდება ბატონი გია. მაგალითად დავასახელებ სტერეოსკოპიულ კინოს, 3D ფილმს, რომლის ახსნა-განმარტება (ქართული და რუსული) 357-ე გვერდიდან 367 გვერდამდე გრძელდება. ტემპო-რიტმის ასეთი მონაცვლეობას წიგნში 474 გვერდი ეთმობა. ახლა კი — სახელდახელო საუბარი ავტორთან, ბატონ გია ჭუბაბრიასთან.**

— ეს არის პირველი წიგნი, რომელიც ასეთი სახით საქართველოში არ გამოცემულა. ეს ჩემი დამსახურება კი არ არის, არამედ მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის, რომელმაც ხელოვნების ამ დარგის პროფესიონალად ჩამომაყალიბა. ამ ლექსიკონში ხელოვნებისა და ტექნიკის პროცესები და ტერმინებია განმარტებული: სარეჟისორო სცენარები, საოპერატორო დანადგარები და ა.შ. ქართულ, რუსულ ენებზე წარმოდგენილია ენციკლოპედიური განსაზღვრა ამა თუ იმ ტერმინის და შემდეგ — მათი სინონიმები ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

ვეცადე, პოპულარულად გადმომეცა, პროფესიონალისთვის და ამ დარგის მოყვარულისთვის ერთნაირად გასაგები და საინტერესო რომ ყოფილიყო.

**— და მოსაწყენიც რომ არ ყოფილიყო მკითხველისთვის.**

— ესეც არის. ოც წელიწადზე მეტ ხანს ვმუშაობდი ამ წიგნზე, აქ ახსნილი, განმარტებული და მაგალითებით ილუსტრირებულია 700-ზე მეტი ტერმინი. ძალიან მძიმე სამუშაო იყო, ამგვარი წიგნების გამოცემაზე მოსკოვში მუშაობს სამეცნიერო-კვლევითი კინოფოტო ინსტიტუტის სამოციდან ას კაცამდე მაღალკვალიფიციური თანამშრომელი. მე მარტო ვმუშაობდი და საქმის ბოლომდე მიყვანა ჩემი სტუდენტებისა და მეგობრების მხარში დგომით შევძელი.

შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის პირველი ნაბიჯი. სხვამ უკეთესით გააგრძელოს.

აქვე გეტყვით, რომ წიგნი გაკეთებულია იმ ეტაპზე, როცა ფილმებს ვიღებთ კინოფირსა და ვიდეოფირზე. ახლა ციფრული ტექნიკა დამკვიდრდა და იმედი მაქვს, რომ ახალი ეტაპის, ახალი ტექნოლოგიის შესახებ ამ საქმეში ჩემზე უფრო ჩახედული ავტორები დაწერენ.

წიგნი კინოცენტრში მივიტანე, ახალგაზრდა ბიჭმა წაიკითხა — **მაღალაშვილმა**, მითხრა, საოცარი წიგნიაო, მაგრამ მე თანამდებობას ვტოვებ (დირექტორი იყო) და, როგორც კი მოვა ახალი ხელმძღვანელი, ის ამ პრობლემას უეჭველად გადაგიწყვეტთო. დამაიმედა. იქვე, კინოცენტრში გამოვიკითხე, ვინ მოდიოდა დირექტორად. ერთმა თანამშრომელმა მიპასუხა: ვისაც პატრონი ჰყავსო. ეტყობა, მართლაც პატრონიანი მოვიდა, რადგან მას არ ვიცნობდი, ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენი დარგის გამორჩეულ მოღვაწეს. ეს იყო ერთი თვის წინათ. ახლახან მივიღე პასუხი, რომ მიმდინარე წელს ფული მხოლოდ ფილმებისთვის გვაქვს და სხვა სახსარი არ გაგვაჩნიაო.

ახალ ხელმძღვანელთან, რა თქმა უნდა, არ მისულვარ.

**— მაშასადამე, ტირაჟის დაბეჭდვის იმედი გადაიწურა?**

— არა მგონია. ვაპირებ გამომცემლობა „ნეკერის“ პატრონთან, ახლობელ ადამიანთან — **გიორგი ბაგრატიონთან** მისვლას და ჩემი დანაზოგი ფულით მიზერული ტირაჟის დაბეჭდვას, ასე 50-100 ეგზემპლიარის. მეტს ვერ გავწვდები. მაგრამ პრობლემად წიგნის გაყიდვა მიდგას, სიმბოლურად მაინც რომ გავისტუმრო ჩემი კონსულტანტები და დამხმარენი. დღემდე სასტამბო ხარჯები, მცირე ჰონორარები და სხვა „წვრილმანი“ საქმე 5000 ლარი დამიჯდა.

**— ბატონო გია, ერთი უხერხული შეკითხვა: რამ განაპირობა ამ წიგნის გამოცემით თქვენი დაინტერესება? ფილმებს უამისოდაც ხომ ვიღებდით?**

— ვიღებდით. საქმე ის არის, რომ ფილმის გადაღებასთან დაკავშირებული ადამიანები თეორიულადაც უნდა იყვნენ მომზადებულები, უნდა იცნობდნენ ამ დარგში გამოყენებულ დეტალებს, თუნდაც იმ მოცულობით, რომლებიც წიგნშია თავმოყრილი და რომლებიც საერთო რაოდენობის ერთი მეოთხედი ან ერთი მესამედი თუ იქნება; ტერმინებს კაჭკაჭივით კი არ უნდა იზეპირებდნენ, არამედ იცოდნენ, რას ნიშნავს თითოეული მათგანი.

კინოგანათლებისთვის არის საჭირო ასეთი წიგნები, საერთო და სპეციალური განათლებისთვის.

როგორც ვთქვი, ჩემი წიგნი მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ასეთი ხასიათის კიდევ რამდენიმე ტომის გამოცემა თუ ამოწურავს არსებულ ათასობით ტერმინს.

— **ე.ი. ეს წიგნი დაიწერა მათთვის, ვინც კინოხელოვნების დარგში არის დასაქმებული.**

— და იმათთვის, ვინც აპირებს შესვლას. აქ სხვათა შორის ტელევიზიის გავლენაზეც არის ლაპარაკი.

საქართველოში მუშაობდა ბრწყინვალე კინოოპერატორი ლევან პაატაშვილი, რომელიც თბილისიდან წავიდა და საკავშირო მასშტაბით აღიარებული ოპერატორი გახდა. გამომიგზავნა მისი წიგნი ბრწყინვალე წარწერით და მთხოვა, გადამეთარგმნა. ვერ შევასრულე მისი თხოვნა, რადგან ამასაც ფული სჭირდებოდა. ჩემს წიგნს გადავყევი და ამის იქითაც ვერ წავედი, მაგრამ ერთი სული მაქვს, მივუბრუნდე ბატონ ლევანის წიგნის გადათარგმნას, რომელიც დიდად წაადგება ჩვენს კინოოპერატორებს.

— **კიდევ ერთი შეკითხვა: სწორად გავიგე თუ არა, რომ ამ წიგნის ერთ-ერთი დანიშნულებაა ისიც, რომ ტექნიკის შესაძლებლობანი გამოიყენონ მხატვრული ნაწარმოების ეფექტის გასაძლიერებლად?**

— დიახ, ასეა. მაგალითად, ფარაჯანოვმა დიდი ნაბიჯი გადადგა სოლარიზაციის საშუალებით. ფილმის გადაღებისას მახასიათებელი მრუდის იმ ნაწილს იყენებენ, რომელზეც გამოსახულება უფრო მკაფიოა. ამ მრუდის ზედა ნაწილი ზედმეტი სინათლის გამო არ ჩანს, მაგრამ, თუ ზედმეტად გაამჟღავნებდნენ, საოცარი რამ ხდება — გამოდის პოზიტიური გამოსახულება, რომელიც სხვა გარემოს ქმნის. ამ თავისებურების გამოყენება ფარაჯანოვს ოპერატორმა მატვიენკომ შესთავაზა და ფარაჯანოვმაც გადაიღო სასწაული კადრები თავისი ფილმის „დავიწყებული წინაპრების აჩრდილები“. ამ გამოსახულებამ რაღაც განსხვავებული გარემოს ეფექტი შექმნა. ამით გაითქვა სახელი ამ ფილმმა და, რა თქმა უნდა, ქართველი მსახიობების — სოფიკო ჭიაურელისა და სპარტაკ ბაღაშვილის შესანიშნავმა თამაშით. მე ვიტყოდი, რომ სოლარიზაციის გამოყენებაში მატვიენკოს დამსახურება უპირატესია.

იგივე შეიძლება ითქვას ინფრაფირის გამოყენებაზე, რომელიც პრაქტიკაში პირველად მექსიკაში დანერგეს ოპერატორმა გაბრიელ ფიგეროამ და რეჟისორმა ემილიო ფერნანდესმა ფილმებში „მექსიკელი ქალიშვილი“, „რიო ესკანდიდო“ და „მარია კანდელარიაში“. ინფრასხივებს, მოგეხსენებათ, ადამიანის თვალი ვერ ხედავს, მაგრამ მათი გამოყენება იძლევა მაღალმხატვრულ გამოსახულებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოპერატორულ ხელოვნებაში. მეც გადამიღია ინფრაფირზე „თეთრი თორღვაი“ და სხვა ფილმები. ეფექტი მართლაც საოცარია.

წიგნში შეტანილია ისეთი ტერმინების განმარტებაც, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია — კინოდრამატურგია, კინოგაქირავება, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლი.

წარმოდგენილია რუსეთისა და სხვა ქვეყნების კინოს დიდოსტატების შეფასებები, რომლებიც წიგნს დამატებით ღირებულებას სძენს.

დაბოლოს, ვიტყვი — **ჩვენ ბედნიერი ვიქნებით, თუ საქართველოშიც ჩამოყალიბდება ისეთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, როგორიც, წლებია, რუსეთში არსებობს — სამეცნიერო-კვლევითი კინო-ფოტო ინსტიტუტი.**

ესაუბრა

**არმაზ სანებლიძე**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წიგნის ბეჭდვის მექანიზებული ტექნოლოგია ჩინეთში 1088 წელს შეიმუშავეს. გამოჩენილმა ჩინელმა მეცნიერმა შენ კომ ეს პროცესი თავის ნაშრომში აღწერა. კო სამანქანო ბეჭდვის გამოგონებას მიაწერდა ნაკლებად ცნობილ ხელოსან ბი შენს. მხოლოდ 4 საუკუნის გასვლის შემდეგ შეძლო იოჰანეს გუტენბერგმა პირველი წიგნის დაბეჭდვა ევროპაში.**



# 6 გამოგონება, რომელთა გარეშეც თანამედროვე მსოფლიოს წარმოდგენა შეუძლებელია

ჩინეთი მდიდარი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა, ამას გარდა, არის კაცობრიობისთვის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გამოგონების სამშობლო. რთული წარმოსადგენია თანამედროვე ადამიანის ცხოვრება ქაღალდის, დენთის ან კომპასის გარეშე. ეს თითქოს ჩვეულებრივი საგნები ჩინელებმა მრავალი საუკუნის წინათ გამოიგონეს.



## 1. ქაღალდი



ქაღალდი, ალბათ, ყველა დროის ყველაზე საჭირო გამოგონებაა. ძველი წერილობითი წყაროების მიხედვით, ჩინეთში ქაღალდი არსებობდა ჯერ კიდევ 105 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მიუხედავად ამისა, ფართოდ არ იყო გავრცელებული, სანამ საჭურისმა **ცაი ლუნმა** მნიშვნელოვნად არ გააუმჯობესა ქაღალდის წარმოების ტექნოლოგია. ამასთანავე, ლუნმა ხელი შეუწყო ქაღალდის ფართოდ გავრცელებას ჯერ ჩინეთში, შემდეგ — სრულიად მსოფლიოში. მოგვიანებით ქაღალდის დამზადების ტექნოლოგიამ ევროპამდეც მიაღწია ცნობილი აბრეშუმის გზით. ალბათ, ლაპარაკიც არ არის საჭირო, რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ქაღალდს კაცობრიობის ისტორიაში.



## 2. დენთი

ჩინელების კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი გამოგონება არის დენთი, რომელიც სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს ჩვ. წ. აღ-ით 1000 წელს. ჩინელი ალქიმიკოსები ცდილობდნენ, შეექმნათ უკვდავების ელექსირი, მაგრამ მიიღეს ნივთიერება, რომელმაც მომავალში მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დენთი, ისევე როგორც სხვა ჩინური გამოგონებები, ევროპაშიც შეიტანეს და ფართოდ გავრცელდა მონღოლების შემოსევის პერიოდში (1236-1242 წწ.).





## 3. მეაბრეშუმეობა



აბრეშუმის წარმოება ადამიანის ერთ-ერთ ძველ ხელობად ითვლება. კონფუციანელთა ცნობების მიხედვით, ჩინელებმა მეაბრეშუმეობა 6000 წლის წინათ აითვისეს. ჩინელები აბრეშუმის დაზადების ოსტატობას სრულყოფილად ფლობდნენ და მას საიდუმლოდ ინახავდნენ მრავალი საუკუნის განმავლობაში. ევროპელი ვაჭრებისთვის აბრეშუმი მეორე ოქროდ იქცა და ისინი მზად იყვნენ, დიდძალი ფული გადაეხადათ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჩინურ საექსპორტო საქონელში. აბრეშუმი ჩინეთის უმნიშვნელოვანეს საექსპორტო საქონლად იქცა, შედეგად კი ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნეში შეიქმნა ცნობილი დიდი აბრეშუმის გზა.



## 4. სათვლელი

მიუხედავად იმისა, რომ არაბები და ბერძნები ითვლებიან შესანიშნავ მათემატიკოსებად, ძველ ჩინეთში გამოიგონეს პირველი სათვლელ-საანგარიშო. აბაკუსი — ასე ერქვა უძველეს საანგარიშო დაფას არითმეტიკული გამოთვლებისთვის. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ჩინელებმა აბაკუსი შექმნეს ჩვ. წ. აღ-მდე 500 წელს, სხვების აზრით კი, საანგარიშოს პირველი პროტოტიპი გაცილებით ადრე შექმნეს შუმერებმა — ჩვ. წ. აღ-მდე 2700 წელს, მაგრამ მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ამ ინფორმაციას, ჯერჯერობით არ არსებობს.



## 5. მაგნიტური კომპასი



დღეს ოკეანეში ადგილმდებარეობის განსაზღვრა CPS-ით არის შესაძლებელი, ადრე კი საზღვაო ხომალდებისთვის (არამხოლოდ მათთვის) შეუცვლელი ინსტრუმენტი იყო კომპასი. უძველესი კომპასი, რომელიც ნაპოვნია არქეოლოგების მიერ, დამზადებული იყო ჩინეთში ხანის დინასტიის პერიოდში ჩვ. წ. აღ-მდე 200 წელს. როგორც სხვა აღმოჩენებს, ჩინელი ზღვაოსნები მაგნიტური კომპასის ტექნოლოგიასაც დიდი ხნის განმავლობაში ინახავდნენ საიდუმლოდ. ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში პირველი კომპასები მხოლოდ XIV საუკუნეში გამოჩნდა.



## 6. წიგნის ბეჭდვა



ყველა დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოგონებაა წიგნის ბეჭდვა. „ნაბეჭდი“ წიგნის ყველაზე ადრეულ ნიმუშად ითვლება ხელნაწერი, რომელიც ჩინეთში **ტანის** სამარხში იპოვეს. კანაბისისგან დამზადებულ ქაღალდის ნაგლეჯზე, რომელიც ჩვ. წ. აღ-ით 650-670 წლებით არის დათარიღებული, დატანილი იყო ძველჩინური იეროგლიფები. წიგნის ბეჭდვის მექანიზებული ტექნოლოგია ჩინეთში 1088 წელს შეიმუშავეს. გამოჩენილმა ჩინელმა მეცნიერმა **შენ კომ** ეს პროცესი თავის ნაშრომში აღწერა. კო სამანქანო ბეჭდვის გამოგონებას მიაწერდა ნაკლებად ცნობილ ხელოსან **ბი შენს.** მხოლოდ 4 საუკუნის გასვლის შემდეგ შეძლო **იოჰანეს გუტენბერგმა** პირველი წიგნის დაბეჭდვა ევროპაში.

**უძველესი კომპასი, რომელიც არქეოლოგებმა იპოვეს, დამზადებული იყო ჩინეთში ხანის დინასტიის პერიოდში ჩვ. წ. აღ-მდე 200 წელს. როგორც სხვა აღმოჩენებს, ჩინელი ზღვაოსნები მაგნიტური კომპასის ტექნოლოგიასაც დიდი ხნის განმავლობაში ინახავდნენ საიდუმლოდ. ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში პირველი კომპასები მხოლოდ XIV საუკუნეში გამოჩნდა**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

„ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა მწარე გამოცდილება რომში და ვერც კი წარმოგვედგინა, რომ დავუშვებდით ასეთი რამის განმეორებას. ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა. პირველი შეხვედრა შედეგის მიხედვით არ იყო მთლად ობიექტური. თანაბარი თამაში იყო. ისინი ძალიან კარგად იყვნენ მომზადებული ფიზიკურად. და ეს კვლავ ვიგრძენით მეორე შეხვედრაში. მათ ფიზიკურად დაგვჯაბნეს“.

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მესის ეშინია კარიერის დასრულების და ამბობს, რომ რონალდუ ძალიან დააკლდა

**ლიონელ მესი, მიუხედავად იმისა, რომ, უკვე 16 წელიწადია, მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრშია, ძალიან იშვიათად იძლევა ინტერვიუს, ამიტომ მისი დიალოგი ჟურნალისტთან მოვლენაა. 2019 წლის ამერიკის თასის წინ, რომელიც ბრაზილიაში გაიმართება 14 ივნისი — 7 ივლისის პერიოდში, მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთ ბრწყინვალე ფეხბურთელს ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა ტელეარხ Fox Sport Argentina-ს ჟურნალისტმა. ლიონელ მესი დიდხანს პასუხობდა ჟურნალისტის კითხვებზე. გთავაზობთ არგენტინელი ვარსკვლავის პასუხებს ძირითად კითხვებზე.**

### საყვარელი მწვრთნელი

* ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ის პერიოდი, როდესაც არგენტინის ნაკრებს წვრთნიდა **ალეხანდრო საბელია.** ეს იყო 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი. დიახ, ჩვენ ცუდად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ შთამბეჭდავი გამარჯვებები მოვიპოვეთ. როდესაც იმარჯვებ, ცხოვრება იოლია. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალამდე მივაღწიეთ. ალეხანდრო საბელია სრულყოფილი მწვრთნელი და გულითადი ადამიანია.

### ნაკრებში მარადონასთან ერთად გამოსვლაზე

* იმ პერიოდში მატჩებში მონაწილეობით ისეთ სიამოვნებას ვერ ვიღებდი, როგორც საბელიას მწვრთნელობისას. როცა ნაკრებს დიეგო ხელმძღვანელობდა, ჩვენ ემოციურები და გამბედავები ვიყავით, მაგრამ დავმარცხდით. მას ჰქონდა უზარმაზარი სურვილი, ენთუზიაზმი, მაგრამ ეს ხშირად არ იყო საკმარისი გასამარჯვებლად.

### 2014 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალი

* ჩვენ იღბალმა ზურგი გვაქცია. იმ ფინალს გერმანიის წინააღმდეგ შეეძლო, ყველაფერი შეეცვალა.

### 2018 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი

* ყველაფერი, რაც ჩვენს თავს ხდებოდა რუსეთში, დაუჯერებლად რთული იყო — ყოველი წვრილმანი მზადების პროცესში და მატჩების მიმდინარეობისას. გამარჯვებით რომ დაგვეწყო, ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა. ისლანდიის კარში პენალტი ვერ გავიტანე. გამარჯვება რომ მოგვეპოვებინა, მეორე თამაშს სხვაგვარად ჩავატარებდით. ხორვატიასთან მატჩში თავდაპირველად სახიფათო არაფერი ხდებოდა, მაგრამ შემდეგ დავუშვით შეცდომა, რომელმაც ყველაფერი შეცვალა.

* ნიგერიასთან მატჩის მიმდინარეობისას, ჩვენ ვაცნობიერებდით, რომ თამაშს ფრედ ვერ დავასრულებდით. გვესმოდა, რომ ასეთი შედეგის შემთხვევაში არგენტინაში ჩასვლის შემდეგ სიცოცხლეს გამოგვასალმებდნენ.

* არ მიყვარს ლაპარაკი იმაზე, რა ხდება გასახდელში: მე მასწავლიდნენ, რომ ყველაფერი, რაც გუნდს ეხება, გარეთ არ უნდა გავიდეს, გუნდში უნდა დარჩეს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ რუსეთში მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას ჩემთვის ბევრი რამ უჩვეულო იყო.

* 2018 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ძალიან მძიმედ გავიარეთ, ამიტომ საფინალო ეტაპზე ჩემპიონების პრეტენდენტთა შორის არ ვყოფილვართ. ახლაც კი ვითარება სხვანაირია: ახალი გუნდი, უამრავი ახალგაზრდა ფეხბურთელი. ეს, ფაქტობრივად, ახალბედების ნაკრებია. მათ არ აქვთ ეროვნულ ნაკრებში თამაშის გამოცდილება.

### ნაკრებში კარიერის შესახებ

* მსურს, ეროვნულ ნაკრებში კარიერა მაშინ დავასრულო, როცა მასთან ერთად რაღაცას მოვიგებ ან, როდესაც მივხვდები, რომ ამოვწურე მცდელობები, რომლებიც კარიერის განმავლობაში მომეცა.

დიახ, არიან ადამიანები, რომლებსაც ეს არ ახარებთ. მათ არ სურთ ეს და ყოველთვის მაკრიტიკებენ, მაგრამ მინდა, რომ კიდევ და კიდევ ვცადო. წაბორძიკებისა და დაცემის შემდეგ კვლავ ფეხზე უნდა დადგე. ეს ცხოვრებაა, საბოლოო ჯამში მხოლოდ უფალმა იცის, დავიმსახურებთ თუ არა რამეს. ბოლო სიტყვა ყოველთვის მას ეკუთვნის.

### დამარცხებების შესახებ

* დამარცხების შემდეგ ყოველთვის განვიცდი ტკივილს, მაგრამ ჩემი პირველი ვაჟის დაბადების შემდეგ დამარცხების მიმართ დამოკიდებულება შევცვალე. მივხვდი, რომ დროა, შევცვალო პრიორიტეტები და მატჩის შედეგი სულაც არ არის მთავარი ჩემს ცხოვრებაში. წაგება მტკივნეულია, მაგრამ, როდესაც შინ მივდივარ და ვხედავ ჩემს ვაჟებსა და ცოლს, ტკივილი ქრება. ადრე ოთახში ვიკეტებოდი, არც ტელევიზორს ვუყურებდი და არც ვჭამდი. ახლა კი ვალდებული ვარ, მაგიდას მივუჯდე ოჯახთან ერთად. მე ახლაც ძალიან განვიცდი დამარცხებას, მაგრამ სხვაგვარად აღვიქვამ.



ლიონელ მესი მეუღლე ანტონელასა და შვილებთან ერთად




### ვაჟები

* **ტიაგო** გიჟურად არის გატაცებული ფეხბურთით. ის ფეხბურთით ცხოვრობს. ძალიან განიცადა „ბარსელონას“ მარცხი „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში, „ვალენსიასთან“ — სამეფო თასზე. **მატეო** უმცროსია და მარცხსა და გამარჯვებას სერიოზულად ვერ აღიქვამს. მეტიც — მას მოსწონს, როცა უფროს ძმას აბრაზებს. მაგალითად, როცა ვუყურებთ „რეალის“ მატჩს, მატეოს უხარია მათი გოლები. ის „რეალს“ გულშემატკივრობს.

ცოტა ხნის წინათ კი მატეომ მითხრა, რომ გულშემატკივრობს „ლივერპულს“, რომელმაც დამამარცხა. ანალოგიურად მოიქცა, როცა „ვალერსიამ“ მოგვიგო.

### უფეხბურთოდ ცხოვრებაზე

* ჩვენ შეგვიძლია ნორმალური ადამიანებივით ვიცხოვროთ. ცოლთან ერთად ბავშვები სკოლაში დაგვყავს, სადაც მათ უამრავი მეგობარი ჰყავთ. კარგი ურთიერთობა გვაქვს ჩვენი შვილების კლასელების მშობლებთან. ჩემი ცოლი მათთან გაერთიანებულია WhatsApp-ის ჯგუფში. ამასთანავე, ჩემი შვილები მეცადინეობენ კლუბის აკადემიაში, არის ცალკე კატეგორია ფეხბურთელთა შვილებისთვის, ტიაგო, უკვე ორი წელიწადია, იქ არის, მატეო — პირველი წელი.

ჩვენ დავდივართ მათი ვარჯიშების საყურებლად, ხშირად ჩვენთან ერთად მოდის **ლუის სუარესი,** რომლის ვაჟიც ტიაგოს თანატოლია. ლუისთან ერთად ხშირად ვაწყობთ საღამოებს მატეთი (მატე — არგენტინული, საერთოდ, სამხრეთ ამერიკელი მატონიზებელი სასმელი — ნ.კ.). მოწყენილობის ჟამს კი შევდივარ ინტერნეტში და რაღაცებს ვყიდულობ.




მარადონა და მესი

### 2022 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობაზე

* ვიმედოვნებ, რომ თავიდან ავიცილებ სერიოზულ ტრავმებს და შევძლებ თამაშს იმ პერიოდში. ჩემპიონატი შორს არის, ამიტომ ჯერ არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა იქ. მსურს, განვაგრძო კარიერა, რაც შეიძლება, ხანგრძლივი დროით. ცოტა მეშინია იმაზე ფიქრის, რა იქნება ფეხბურთის შემდეგ. არა, განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ბავშვივით მიყვარს ფეხბურთი, ყოველთვის ვოცნებობდი მასზე, მთელი ცხოვრება ფეხბურთს დავუკავშირე... იჯდე შინ და არ იცოდე, რით დაკავდე, ძნელია.

### მწვრთნელობის შესახებ

* ვფიქრობ, ასე არ მოხდება. თავს ვერ ვხედავ მწვრთნელის როლში.

### არგენტინაში დაბრუნებაზე

* ბავშვობაში „ნიუელს ოლდ ბოისში“ თამაშზე ვოცნებობდი. ამ გუნდს აქამდე ვგულშემატკივრობ. დაბრუნების სურვილი მაქვს, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდება, იმდენი რამ არის ჩემ გარშემო. მყავს ოჯახი, შვილები — ტიაგო ბევრ კლასელთან მეგობრობს და არ მინდა, მათ დავაშორო. ისინი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ.

### ნეიმარსა და ლუის სუარესთან მეგობრობაზე

* ნეიმარი ფენომენია. ჩვენ ახლაც გვაქვს ურთიერთობა. შექმნილი გვაქვს ჩათი სამისთვის, რომელშიც ვართ ნეიმარი, ლუის სუარესი და მე. ამ ჩათის სახელწოდებაა Tres Sudacas-ი.

### კრიშტიანუ რონალდუზე

* რა თქმა უნდა, ძალიან მაკლია! მასთან ერთად მადრიდის „რეალი“ გაცილებით ძლიერი იყო, ვამბობდი, რომ ისინი იგრძნობენ მის არყოფნას-მეთქი. არ არსებობს გუნდი, რომელიც მის არყოფნას ვერ იგრძნობდა. ვიღაც შეიძლება გაბრაზდეს ამ სიტყვების გამო, მაგრამ ეს სიმართლეა. მას სეზონში 50 ბურთი გააქვს და ეს საკვანძო მომენტია. რონალდუ სრულიად ლიგას დააკლდა. მაღალი დონის მოთამაშეებთან კონკურენცია საინტერესოა.

### ლივერპულში დამარცხებაზე

* ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა მწარე გამოცდილება რომში და ვერც კი წარმოგვედგინა, რომ დავუშვებდით ასეთი რამის განმეორებას. ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა. პირველი შეხვედრა შედეგის მიხედვით არ იყო მთლად ობიექტური. თანაბარი თამაში იყო. ისინი ძალიან კარგად იყვნენ მომზადებული ფიზიკურად. და ეს კვლავ ვიგრძენით მეორე შეხვედრაში. მათ ფიზიკურად დაგვჯაბნეს.

* ჩვენ ვერ შევძელით სწრაფი ბურთის გატანა, შემდეგ კი გავუშვით და იმწამს თავში გამიელვა იმან, რაც რომში მოხდა. ჩვენ ეს არ უნდა დაგვეშვა. ჩვენ დავთმეთ ინიციატივა. ისინი უკეთესი იყვნენ ინიციატივითა და ენთუზიაზმით, ჩვენ კი უხეში შეცდომები დავუშვით. ეს ჩვენი სამარცხვინო თამაში იყო.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**

**ნიკა კორინთელმა**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

# ნეოლიბერალური ზნეობა



## ბეისბოლის ვარსკვლავი პედოფილიაში ამხილეს

**ტეხასის შტატის ნაფიც მსაჯულთა კომისიამ ცნობილი ამერიკელი სპორტსმენი, ექსბეისბოლისტი ჯონ ვეტელენდი პედოფილიაში ამხილა, — იუწყება SportsIllustrated.**

ამერიკელს წაუყენეს ბრალდება სექსუალური ძალადობის სამი შემთხვევის გამო, რომლებიც მან 2004-დან 2006 წლამდე ჩაიდინა. ბავშვი მაშინ 4 თუ 6 წლისა იყო.

ვეტელენდი დააპატიმრეს წლეულს — იანვარში, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს 25 ათასი აშშ-ის დოლარის გირაოთი.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე პედოფილიაში დაადანაშაულეს მსახიობი **ქაილა მასი**, რომელმაც სახელი გაითქვა სერიალ „ასეთ რეივენში“ მონაწილეობით.



## უკვე აქამდეც დაეცნენ

### აშშ-ში მიიღეს კანონპროექტი გარდაცვლილი ადამიანების კომპოსტად, კომბინირებულ სასუქ მასად, გადამუშავების შესახებ

ვაშინგტონის შტატის ხელისუფლებმა აშშ-ში პირველებმა მიიღეს კანონპროექტი, რომელიც ლეგალურს გახდის ადამიანის დამარხვის პროცედურას მისი ცხედრის კომპოსტად გადამუშავების გზით. შტატის გუბერნატორზე ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ იგი უეჭველად მოაწერს ხელს ამ დოკუმენტს, რის შემდეგაც იგი კანონის ძალას მიიღებს.

კომპანია „რეკომპოსტმა“ უკვე შეიმუშავა ტექნოლოგია და მოამზადა შესაბამისი კომერციული მომსახურება. ახალი მეთოდის მომხრენი ასეთ არგუმენტებს იშველიებენ: რა არის ტრადიციული საფლავი? ეს არის ნაკვეთი ძვირფასი მიწის, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ექსპლუატაციის მიღმა არის დატოვებული და იმ მიწაში განისვენებს ქიმიკატებით გატენილი გვამი ძვირად ღირებული ხისგან დამზადებულ მდიდრულ ყუთში. ეს არის ნულოვანი სარგებლიანობა, დაკრძალვის უდიდესი ხარჯები და გარემოს დაბინძურების კერა.

კრემაციის დროს, რომელიც აშშ-ში დამარხვის ტრადიციულ წესზე იაფი როდი ღირს, მართალია, მიწა არ ცდება, სამაგიეროდ ატმოსფერო ბინძურდება.

სხეულის კომპოსტად გადამუშავება კი მომგებიანია და დამატებით დაავადებათა გავრცელების პრობლემის უებარი საშუალებაცაა. როცა ქალბატონმა **ლინ კარპენტერ-ბოქსმა,** „რეკომპოსის“ მეცნიერმა-კონსულტანტმა, დააპროექტა ადამიანებისთვის განკუთვნილი კომპოსტის მოსამზადებელი კამერა, იგი დაეყრდნო საქონლის გვამების უტილიზაციის ტექნოლოგიას. თავის დროზე ეს ტექნოლოგია დაეხმარა შტატის ფერმერებს ფრინველის გრიპის გავრცელების აღკვეთაში.

მომსახურების ღირებულება 5,5 ათასი დოლარია, კრემაციაზე ოდნავ ძვირია, სამაგიეროდ ტრადიციულ დაკრძალვაზე ბევრად იაფი.

მოსწონთ? დაწვან ან ხელოვნურ სასუქად აქციონ. ყველამ თავის მკვდარი იტიროს!

## ამერიკელმა თავისი ქალიშვილი შეირთო

**2018 წლის შემოდგომაზე ნებრასკას შტატის პოლიციას შეატყობინეს, რომ 40 წლის თრევის ფილდგროუვსა და მის ქალიშვილს — სამანტა ქერშნერს ერთმანეთში დამყარებული აქვთ სექსუალური ურთიერთობა. ორივემ დაადასტურა, რომ მართლაც ასეა. 1 ოქტომბერს მათ ოფიციალურად გააფორმეს ქორწინება. ამის თაობაზე წერს გამოცემა Omaha World-Herald.**



დედამ ქერშნერს ბიოლოგიური მამა სამი წლის წინათ გააცნო. მანამდე ერთმანეთი არსად ენახათ. ფილდგროუვის თქმით, მას სამანტა თავის შვილად არ მიაჩნდა, რადგან ქალიშვილის დაბადების მოწმობაში მისი (ფილდგროუვის) გვარი არ ეწერა.

ქერშნერის განცხადებით, ინცესტის მიზეზი იყო კამათი დასთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ პირველი შეაცდენდა ფილდგროუვს, სამანტა შეეცადა, დაესწრო დისთვის. შეძლო!

პოლიციის მიერ ჩატარებული ტესტით დამტკიცდა, რომ ფილდგროუვი ქერშნერის მამა იყო. ისინი დააპატიმრეს და ინცესტის ბრალდება წაუყენეს. პატიმრებს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, მაგრამ სასამართლო გარიგების შედეგად სასჯელი შეუმცირდათ.

ფილდგროუვს მიუსაჯეს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. მას 144 დღის შემდეგ გაათავისუფლებენ. მომდევნო 12 თვის განმავლობაში იცხოვრებს პოლიციის მეთვალყურეობით. ამ დროის განმავლობაში მას აეკრძალება ქერშნერთან შეხვედრა.

2018 წელს იუწყებოდნენ, რომ აშშ-ის მოქალაქე ქალი ორი წლით ჩასვეს ციხეში თავის ქალიშვილთან დაქორწინების ბრალდებით. გამოძიებით დადგინდა, რომ ეს ქალი 2010 წელს ცოლად გაჰყვა თავის ვაჟს, მაგრამ შემდეგ გაეყარა.

## ვარსკვლავმა ელენ პეიჯმა თავის შიშველ «ცოლთან» «კოცნაობის» ფოტო გამოაქვეყნა



**32 წლის კანადელი მსახიობის — ელენ პეიჯის „ცოლი“ 24 წლის მოცეკვავე ემა პორტნერია. შავ-თეთრ ფოტოზე აღბეჭდილია ორი შიშველი, ამძუვნებული დედაკაცი. ფოტოსურათის მინაწერში მსახიობი ულოცავს ინტერნეტმომხმარებლებს გეიაღლუმის გამართვას: „ბედნიერ აღლუმს გისურვებთ! გიგზავნით სიყვარულს!“**

სექსუალურმა ფოტომ აღაფრთოვანა მისი თაყვანისმცემლები. ერთ დღე-ღამეში ფოტომ 400 ათასზე მეტი „ლაიქი“ აკრიბა.

შეგახსენებთ, რომ ელენ პეიჯმა თავისი ლესბოსელობა გაამჟღავნა 2014 წლის თებერვალში, 2018 წელს კი დაქორწინდა ემა პორტნერზე. ეს წყვილი აქტიურად უჭერს მხარს ლგბტ-მოძრაობას.

პეიჯმა სახელი გაითქვა კინოფილმ „ჯუნოში“ მთავარი როლის შესრულებით. იგი მონაწილეობდა ფილმებში: „დასაწყისი“, „იქს ადამიანები“, „ამერიკული დანაშაული“, აგრეთვე, პოპულარულ სერიალებში.

## მანიაკმა გაუპატიურების შემდეგ 74 წლის პენსიონერი ქალი პიტბულს დასაგლეჯად მიუგდო



**ეს საზიზღარი ფაქტი, Pixabay.com-ის ცნობით, სანფრანცისკოში მოხდა. ადგილობრივი მედია იუწყება, რომ აღნიშნულ დანაშაულს ადგილი ჰქონდა 10 მაისს. ამ დღეს ხანდაზმული ქალი პრაგსტრიტზე, მაკლარენის პარკის მახლობლად სეირნობდა, როცა მას თავს დაესხა მანიაკი. მოგვიანებით დადგინდა, რომ ის იყო 47 წლის მანუელ ჟესუს ამადორი. მან თავში ჩაარტყა მოხუც ქალს, გონება დააკარგვინა, შეათრია ერთ-ერთ ახლომდებარე სახლში და აღისრულა ველური ჟინი, — იუწყება ტელეარხი ABC.**

მოძალადე 5 საათის განმავლობაში აუპატიურებდა მსხვერპლს. შესვენების დროს უმოწყალოდ სცემდა და თავის ძაღლს უქსევდა. პიტბულმა საშინლად დაკბინა უმწეო ქალი, რომელიც მოძალადეს დანდობას ამაოდ ევედრებოდა.

ვნება რომ დაიოკა, მანიაკმა ქალი კვლავ ქუჩაში გამოათრია და დააგდო. სანახევროდ გონდაკარგული, დასისხლიანებული მოხუცი გამვლელებმა იპოვეს, გამოიძახეს პოლიცია და სასწრაფო დახმარება.

**მანუელ ამადორი** ცხელ კვალზე დააკავეს. ამჟამად დაპატიმრებულია. მედიის მონაცემებით, ეს არაკაცი ადრე მსგავს ქმედებაში არ ყოფილა შემჩნეული. მას დიდი ხნით მოუწევს ციხეში ყოფნა.

**პროგრესული კაპიტალიზმი — ეს არ არის ოქსიუმორონი (გონებამახვილური სისულელე, პარადოქსი), ეს არის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და ნათელი იდეოლოგია, რომელმაც მარცხი განიცადა. ეს არის ეკონომიკური და პოლიტიკური კრახის თავიდან აცილების შანსი.**

ლიბერალიზმის კრახი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნობელის პრემიის ლაურეატი: დადგა დრო, გამოვაცხადოთ ნეოლიბერალიზმის გარდაცვალების შესახებ

**აშშ და სხვა ქვეყნები ათწლეულების განმავლობაში ემხრობოდნენ თავისუფალი ბაზრის პროგრამას, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ვერ გაამართლა, — ამბობს ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი. ვებგვერდ Project Syndicate-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში სტიგლიცი წერს, რომ 40-წლიანი მოქმედების შემდეგ ნეოლიბერალიზმი აშშ-სა და სხვა ქვეყნებში აღარ მუშაობს.**

დღეს განმსაზღვრელად ითვლება საკითხი იმის შესახებ, ეკონომიკური სისტემის რომელი სახეობაა უკეთესი ადამიანის კეთილდღეობისთვის. **ნეოლიბერალური ექსპერიმენტი — მდიდრებისთვის გადასახადების შემცირება, შრომისა და საქონლის ბაზრების დერეგულაცია, გლობალიზაცია — ჩაფლავდა. ეკონომიკის ზრდის ტემპი ამჟამად იმაზე ნაკლებია, ვიდრე იყო მეორე მსოფლიო ომიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ. შემოსავლების ათწლიანი უძრაობის თუ დაცემის შემდეგ ნეოლიბერალიზმი მკვდრად უნდა გამოვაცხადოთ.** წარმატების მისაღწევად, სულ ცოტა, სამი პოლიტიკური ალტერნატივაა: უკიდურესად მემარჯვენე ნაციონალიზმი, მემარცხენე-ცენტრისტული რეფორმიზმი და პროგრესული მემარცხენე-ცენტრიზმი.

მაგალითად, **მემარცხენე-ცენტრიზმი** წარმოადგენს ნეოლიბერალიზმს ადამიანური სახით. მისი მიზანია, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის — **ბილ კლინტონისა** და დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრის — **ტონი ბლერის** პოლიტიკის რეალიზაცია XXI საუკუნეში, მცირე ცვლილებებით დაფინანსებასა და გლობალიზაციაში. **მემარჯვენე ნაციონალიზმი** ამჟამად შექმნილ ყველა პრობლემაში მიგრანტებსა და უცხოელებს ადანაშაულებს და უარყოფს გლობალიზაციას.

მიუხედავად ამისა, როგორც დაადასტურა **დონალდ ტრამპის** პრეზიდენტობამ, ის ემხრობა მდიდრებისთვის გადასახადების შემცირებას, სოციალური პროგრამების დერეგულირებასა და შემცირებას ან ლიკვიდაციას.

მესამე ბანაკი იცავს პროგრესულ კაპიტალიზმს, რომელიც ვარაუდობს რადიკალურად განსხვავებულ ეკონომიკურ დღის წესრიგს, დაფუძნებულს 4 პრიორიტეტზე. **პირველი:** აღდგეს ბალანსი ბაზარს, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის; ნელი ეკონომიკური ზრდა, მზარდი უთანაბრობა, ფინანსური არასტაბილურობა და გარემოს მდგომარეობის გაუარესება — ეს არის პრობლემები, რომლებსაც წარმოშობს ბაზარი. თვით ბაზარი მათ ვერ მოაგვარებს. მთავრობები ვალდებულნი იქნებიან, შეზღუდონ და ჩამოაყალიბონ ბაზარი ბუნების დაცვის, ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და რეგულირების სხვა სახეობების მოთხოვნების გათვალისწინებით. მთავრობის ამოცანაა, გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც ბაზარს არ შეუძლია: აქტიურად დააფინანსოს ფუნდამენტური გამოკვლევები, ტექნოლოგიები, განათლება და ჯანდაცვა.

**მეორე პრიორიტეტი:** აღიარება იმისა, რომ „ერის სიმდიდრე“ — ეს არის სამეცნიერო კვლევებისა და სოციალური ორგანიზაციის შედეგი, რომელიც ადამიანების დიდ ჯგუფს საშუალებას აძლევს, იმუშაოს საერთო კეთილდღეობისთვის. სოციალური თანამშრომლობის განვითარებაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ ბაზრებმა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მათი რეგულირება ხდება კანონის უზენაესობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანები შეიძლება გამდიდრდნენ სხვების ექსპლუატაციით და არა თავიანთი მოხერხებულობით. დღევანდელი მდიდრებიდან ბევრმა გაიარა ექსპლუატაციის გზა. მათი ქმედებები გამყარებული იყო ტრამპის რენტოორიენტირებული (ინდივიდუმების, ორგანიზაციისა და ფირმების მოღვაწეობა საკანონმდებლო ან ეკონომიკური პირობების მანიპულაციით, რომელიც მიმართულია სარგებლის მისაღებად) პოლიტიკით, რომელიც ანადგურებს სიმდიდრის შექმნის ძირითად წყაროებს. პროგრესული კაპიტალიზმი საწინააღმდეგოსკენ მიილტვის.

**მესამე პრიორიტეტი:** საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის მზარდი პრობლემის მოგვარება საინფორმაციო უპირატესობის გამოყენებით, პოტენციური კონკურენტების მოსყიდვითა და ბარიერების შექმნით, დომინირებულმა კომპანიებმა შეიძლება გამოიყენონ რენტოორიენტირებული ქცევები სხვების დასაზარალებლად. კორპორაციული ბაზრის გავლენის ზრდა და მშრომელთა ძალაუფლების შემცირება ხსნის უთანასწორობის ზრდას. **თუ მთავრობა არ ითამაშებს იმაზე უფრო აქტიურ როლს, როგორსაც ითვალისწინებს ნეოლიბერალიზმი, ეს პრობლემები გაღრმავდება რობოტიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის სფეროებში მიღწევების გამო.**

**მეოთხე:** განწყვიტოს კავშირი ეკონომიკურ ძალაუფლებასა და პოლიტიკურ გავლენას შორის. ისინი ერთმანეთს აძლიერებენ, განსაკუთრებით იქ, სადაც, როგორც აშშ-ში, შეძლებულ ადამიანებსა და კოპორაციებს შეუძლიათ შეუზღუდავად ჩაატარონ არჩევნები. და, სანამ აშშ უახლოვდება აბსოლუტურად არადემოკრატიულ სისტემას „ერთი დოლარი — ერთი ხმა“, დემოკრატიისთვის აუცილებელ შეკავებისა და საპირწონეების სისტემას ცოტა შანსი აქვს, რომ გადარჩეს: ვერაფერი შეზღუდავს მდიდართა ძალაუფლებას. ეს არის არა მხოლოდ პოლიტიკური და მორალური პრობლემა: **ეკონომიკები უთანაბრობის ნაკლები დონით უფრო ეფექტიანად მუშაობენ. პროგრესული კაპიტალისტური რეფორმები საჭიროა დაიწყოს პოლიტიკაში ფულის გავლენისა და სიმდიდრეში უთანაბრობის შემცირებით.**



ჯოზეფ სტიგლიცი

**«ნეოლიბერალური ექსპერიმენტი — მდიდრებისთვის გადასახადების შემცირება, შრომისა და საქონლის ბაზრების დერეგულაცია, გლობალიზაცია — ჩაფლავდა. ეკონომიკის ზრდის ტემპი ამჟამად იმაზე ნაკლებია, ვიდრე იყო მეორე მსოფლიო ომიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ. შემოსავლების ათწლიანი უძრაობის თუ დაცემის შემდეგ ნეოლიბერალიზმი მკვდრად უნდა გამოვაცხადოთ»**




არ არსებობს ჯადოსნური ხერხი, რომელიც აღადგენს ათეული წლების განმავლობაში ლიბერალიზმის მოქმედებით გამოწვეულ ზარალს, მაგრამ ზემოაღწერილის ჩარჩოებში ყველაფრისმომცველი გეგმის შემუშავებას შეუძლია ამის გაკეთება. ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორი გაბედულებით იქნებიან განწყობილი რეფორმატორები ისეთი პრობლემების წინააღმდეგ, როგორიც არის საბაზრო ძალაუფლება და უთანასწორობა.

ყურადღება უნდა გამახვილდეს განათლებაზე, კვლევებსა და სიმდიდრის შესაქმნელად მიმართულ სხვა ჭეშმარიტ წყაროებზე. აუცილებელია გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც გარანტიას იძლევა, რომ ყველა მოქალაქეს ექნება ღირსეული პირობები ცხოვრებისთვის. იქნება ეს ეკონომიკური უსაფრთხოება, სამუშაოს ხელმისაწვდომობა, საარსებო მინიმუმი, სამედიცინო მომსახურება, ღირსეული საცხოვრისი, პენსიაზე გასვლა თუ შვილებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა.

ეს ყველაფერი შესაძლებელია. **ნაციონალისტებისა და ნეოლიბერალების ალტერნატიული ვარიანტები უფრო მეტი სტაგნაციის, უთანასწორობის, გარემოს პირობების გაუარესებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გარანტიას იძლევა. ეს კი უკიდურესად ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს.**

პროგრესული კაპიტალიზმი — ეს არ არის ოქსიუმორონი (გონებამახვილური სისულელე, პარადოქსი), ეს არის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და ნათელი იდეოლოგია, რომელმაც მარცხი განიცადა. ეს არის ეკონომიკური და პოლიტიკური კრახის თავიდან აცილების შანსი.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**«ყურადღება უნდა გამახვილდეს განათლებაზე, კვლევებსა და სიმდიდრის შესაქმნელად მიმართულ სხვა ჭეშმარიტ წყაროებზე. აუცილებელია გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც გარანტიას იძლევა, რომ ყველა მოქალაქეს ექნება ღირსეული პირობები ცხოვრებისთვის. იქნება ეს ეკონომიკური უსაფრთხოება, სამუშაოს ხელმისაწვდომობა, საარსებო მინიმუმი, სამედიცინო მომსახურება, ღირსეული საცხოვრისი, პენსიაზე გასვლა თუ შვილებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა»**

პოსტსაბჭოთა სივრცე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროკავშირი მზად არის კანონიერ დემოკრატიულ მთავრობასთან სათანამშრომლოდ ასოცირების შეთანხმების (მოლდოვასა და ევროკავშირს შორის) საფუძველზე“, — ნათქვამია ფედერიკა მოგერინისა და იოჰანეს ჰანის ერთობლივ განცხადებაში. „ეს არის ის, რასაც ელოდება და იმსახურებს მოლდოვის რესპუბლიკის მოქალაქეების უმრავლესობა“, — აღნიშნავენ ევროკავშირის მაღალჩინოსნები.**

# პლახოტნიუკის საქმე ცუდად არის

## ოლიგარქი შეეცადა, უსისხლო სახელმწიფო გადატრიალება მოეწყო, მაგრამ დამარცხდა

### რუსეთმა და ევროკავშირმა არჩეულ ხელისუფლებას დაუჭირეს მხარი

**ყველაფერი ასე დაიწყო: თებერვლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას მოლდოვის ვერც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ მოიპოვა უმრავლესობა, მაგრამ 8 ივნისს სოციალისტების პარტიამ, რომელსაც მხარს უჭერს პრეზიდენტი იგორ დოდონი, და პროევროპულმა ბლოკმა ACUM-მა (შექმნილია მემარჯვენე პარტია „პლატფორმის“, „ღირსება და სამართლისა“ და „მოქმედება და სოლიდარობის“ მიერ) შექმნეს მმართველი საპარლამენტო კოალიცია.**

მათ პარლამენტში 61 ხმით (სულ პარლამენტში 101 დეპუტატია) ჩამოაყალიბეს უმრავლესობა, ერთი დღის განმავლობაში დაამტკიცეს ქვეყნის ახალი მთავრობა „მოქმედება და სოლიდარობის“ ლიდერ **მაია სანდუს** ხელმძღვანელობით, პარლამენტის სპიკერად აირჩიეს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე **ზინაიდა გრეჩანი** და მიიღეს დეკლარაცია, რომ მოლდოვა არის დაპყრობილი სახელმწიფო და ის დაიპყრო **პლახოტნიუკმა.**

**ვლადიმერ პლახოტნიუკმა — ოლიგარქმა, რომელზეც რუს სამართალდამცველებს გამოცხადებული აქვთ ძებნა შეკვეთილი მკვლელობის მცდელობის საქმეზე, აგრეთვე, არის ბრალდებული 37 მლრდ რუბლის მითვისებაში და მოლდოვის პარლამენტში აკონტროლებს 40 მანდატს, ხელთ არსებული ყველა იარაღიდან საპასუხო ცეცხლი გაუხსნა მოწინააღმდეგეებს.**

8 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელიც ოლიგარქთან დაახლოებული ადამიანებისგან შედგება, კოალიცია და მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურად მიიჩნია. მეორე დღეს კი საკონსტიტუციო სასამართლომ, თავისი გადაწყვეტილებით, პრეზიდენტი დოდონი სახელმწიფოს მეთაურის პოსტს ჩამოაცილა და მის ადგილას დანიშნა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე **პაველ ფილიპი,** რომელიც 2016-დან 2019 წლამდე ქვეყნის პრემიერმინისტრად მუშაობდა. მან, თავის მხრივ, დაითხოვა პარლამენტი და დანიშნა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ასე დამყარდა მოლდოვაში ორხელისუფლებიანობა.

**„კონსტიტუციის მიხედვით, მართლები ჩვენ ვართ, — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრად და ვიცეპრემიერად დანიშნულმა ანდრია ნესტასემ,** — საკონსტიტუციო სასამართლომ არაკანონიერი გადაწყვეტილება მიიღო. ამ ჯიბის სასამართლომ კი არ უნდა განსაჯოს, ვინ არის მტყუანი და ვინ — მართალი, არამედ კონსტიტუციამ. ამ ქვეყანაში ვერავინ დადგება კონსტიტუციაზე მაღლა, თვით პარლამენტიც კი, ამიტომ პარლამენტმა გადაწყვიტა, დაემორჩილოს ხალხის ნებას, კონსტიტუციასა და უფლის ნებას“.

ნესტასეს თანამებრძოლი, პარლამენტის ვიცესპიკერი **ალექსანდრე სლუსარი** დარწმუნებულია, რომ ოპოზიციამ გამარჯვებას თითქმის მიაღწია. **„ჩვენ ახლოს ვართ გამარჯვებასთან. მათ (პლახოტნიუკსა და კომპანიას) სხვა გეგმები ჰქონდათ, მაგრამ ჩაეფუშათ, როდესაც დავნიშნეთ მთავრობა. ამ პირობებში ვერ შეძლეს მასობრივი მიტინგის მოწყობა, — თქვა სლუსარმა, — როგორც კი ახალ მთავრობასა და პარლამენტს აღიარებენ საერთაშორისო პარტნიორები, პლახოტნიუკის თამაში დასრულდება“.**


ვლადიმერ პლახოტნიუკი


პრეზიდენტი იგორ დოდონი

სლუსარის ნათქვამი რამდენიმე საათში ახდა. ევროკავშირის წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში — **ფედერიკა მოგერინიმ** და ევროკომისარმა გაფართოებისა და კეთილმეზობლური პოლიტიკის საკითხებში — **იოჰანეს ჰანმა** ერთობლივი განცხადება გააკეთეს:

**„ევროკავშირი მზად არის ასოცირების შეთანხმების (მოლდოვასა და ევროკავშირს შორის) საფუძველზე კანონიერ დემოკრატიულ მთავრობასთან სათანამშრომლოდ“,** — ნათქვამია ფედერიკა მოგერინისა და იოჰანეს ჰანის ერთობლივ განცხადებაში. **„ეს არის ის, რასაც ელოდება და იმსახურებს მოლდოვის რესპუბლიკის მოქალაქეების უმრავლესობა“,** — აღნიშნავენ ევროკავშირის მაღალჩინოსნები.

უფრო ადრე მოლდოვის პარლამენტში შექმნილ ანტიოლიგარქულ კოალიციას საჯაროდ დაუჭირა მხარი რუსეთმა. ამ ქვეყნის სპეციალურმა წარმომადგენელმა მოლდოვასთან სავაჭრო-ეკონომიკური ერთიერთობის განვითარების საკითხებში, ვიცეპრემიერმა **დიმიტრი კოზაკმა** ჯერ კიდევ 3 ივნისს განაცხადა, რომ მოსკოვი სოციალისტებისა და ACUM-ის ალიანსს კრიზისის დაძლევის ოპტიმალურ გამოსავლად მიიჩნევს. 4 ივნისს კი მკაცრად შეაფასა მოლდოვაში შექმნილი ვითარება და ქვეყანაში მოქმედ რეჟიმს (რომელმაც 8 ივნისამდე გაძლო) კრიმინალური უწოდა.

**„ხელისუფლებაში მყოფი ძალის აშკარა კრიმინალური ქმედებები კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ ადრე გაცხადებულ პოზიციას რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების რადიკალურად გაჯანსაღების შესახებ. კიდევ უფრო გასაგებია მოთხოვნები ადამიანებისა, რომლებიც მოითხოვენ მოლდოვის დეოკუპაციას კრიმინალური რეჟიმისგან. ჩვენ კვლავ ვადასტურებთ, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ საშინაო პოლიტიკური პროცესი, თუმცა რუსეთისთვის საგანგებოდ მნიშვნელოვანია, რომ ძალები, რომლებიც განსაზღვრავენ მოლდოვის განვითარების საგარეო პოლიტიკურ ვექტორს, გამოხატავდნენ მოქალაქეების ნებას“,** — განაცხადა კოზაკმა.

მოლდოვის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ისტორიის დოქტორი **მარკ ტკაჩუკი** მიიჩნევს, რომ დიმიტრი კოზაკის, ფედერიკა მოგერინისა და იოჰანეს ჰანის განცხადებები „სრულად გამჭირვალეა“. მოლდოვაში არის ახალი ხელისუფლება, ის წარმოადგენს საპარლამენტო უმრავლესობასა და კანონიერად არჩეულ მთავრობას. სახელდობრ, ამ ხელისუფლებასთან აპირებენ თანამშრომლობას რუსეთი და ევროკავშირი“, — განაცხადა ტკაჩუკმა.




# ბრიტანეთის პრემიერობის ოთხმა კანდიდატმა აღიარა, რომ ნარკოტიკებს მოიხმარდნენ



**დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის პოსტისა და კონსერვატიული პარტიის ლიდერობისთვის ბრძოლამ რაღაც უცნაური ხასიათი შეიძინა.** 8 ივნისს Dayli Mail-ისთვის მიცემულ ინტერვიუში **მაიკლ გოუვმა** აღიარა, რომ რამდენჯერმე მოიხმარა კოკაინი. მისი თქმით, ეს მოხდა ერთ-ერთ ღონისძიებაზე 20 წლის წინათ. ამჟამად, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პრემიერობის კანდიდატთა შორის გოუვი მეორეა **ბორის ჯონსონის** შემდეგ, რომელმაც, თავის მხრივ, 2008 წელს აღიარა, რომ ოქსფორდში სწავლისას კოკაინს ყნოსავდა.

პრემიერმინისტრობის სხვა კანდიდატებიც გამოტყდნენ, რომ ნარკოტიკს მოიხმარდნენ. ესენია: **რორი სტიუარტი** და **ჯერემი ჰანტი.** ბრიტანელები ხუმრობენ, რომ სია იმ კანდიდატებისა, რომლებსაც ნარკოტიკი არ გაუსინჯავთ, სწრაფად მცირდება, სხვა პრეტენდენტებს კი აქვთ დრო და შესაძლებლობა, საზოგადოებას მოუყვნენ თავიანთ დამოკიდებულებაზე ნარკოტიკების მიმართ.

**რედაქციისგან:** პოლიტიკოსთა ასეთი „გულახდილობა“ შემთხვევითი არ არის. მათი საქციელი ნარკოტიკების შეფარული პროპაგანდაა და ახალგაზრდების გადაგვარების გზაზე დაყენების ფარული მცდელობა. ყველა მათგანი ახალგაზრდობაში ჩადენილ „შეცდომაზე“ ყვება და მათი შემყურე უმწიფარი ახალგაზრდაც მიმბაძველობის მსხვერპლი ხდება — ხედავ, ამ ხალხისთვის ახალგაზრდობაში ნარკოტიკებით გატაცებას ხელი არ შეუშლია, ცხოვრებაში წინ წასულიყო, მოდი, მეც გავსინჯავ, მათთვის თუ შეიძლებოდა, ვინც დღეს ჩვენს ცხოვრებას წარმართავს, ჩემთვის რატომ არ შეიძლება? — აი, დაახლოებით ასეთ ფიქრებს აღძრავს ახალგაზრდებში ეს ვითომ უწყინარი „მონანიება“.

გვერდი მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

დოკუმენტში მითითებულია, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევების გამო მხარეებს განზრახული აქვთ, გააღრმავონ ურთიერთნდობა და განამტკიცონ ურთიერთქმედება სტრატეგიულ სფეროში, დაიცვან რეგიონული და გლობალური სტაბილურობა. მხარეები გამოხატავენ შეშფოთებას ზოგიერთი ქვეყნის მხრიდან ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე საერთაშორისო რეჟიმის დარღვევის გამო და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანას მოუწოდებენ, წინ აღუდგნენ ამ დარღვევებს.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვლადიმერ პუტინმა და სი ძინპინმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას გლობალური სტრატეგიული სტაბილურობის შესახებ

## განცხადებაში წარმოჩნდა მხარეების პოზიციების თანხვედრა ბევრ საერთაშორისო საკითხზე

**მოსკოვში ვიზიტით მყოფმა ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარე სი ძინპინმა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას თანამედროვე ეპოქაში გლობალური სტრატეგიული უსაფრთხოების განმტკიცების შესახებ. განცხადების ტექსტი განთავსებულია რფ-ის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე.**

დოკუმენტში მითითებულია, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევების გამო მხარეებს განზრახული აქვთ, გააღრმავონ ურთიერთნდობა და განამტკიცონ ურთიერთქმედება სტრატეგიულ სფეროში, დაიცვან რეგიონული და გლობალური სტაბილურობა. მხარეები გამოხატავენ შეშფოთებას ზოგიერთი ქვეყნის მხრიდან ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე საერთაშორისო რეჟიმის დარღვევის გამო და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანას მოუწოდებენ, წინ აღუდგნენ ამ დარღვევებს.

რუსეთმა და ჩინეთმა დაადასტურეს თავიანთი მხარდაჭერა მოქმედებების ერთობლივი ყოვლისმომცველი გეგმის მიმართ ირანის ბირთვულ პროგრამაზე და განაცხადეს ირანის მიმართ აშშ-ის ცალმხრივი მოქმედებების მიუღებლობის შესახებ. მხარეებმა გამოთქვეს მხარდაჭერა დიდი ძალისხმევის შედეგად ჩამოყალიბებული ბირთვული იარაღის კონტროლის სისტემის შენარჩუნებისადმი მრავალმხრივი მიდგომის შესახებ.

მხარეებმა აგრეთვე წარმოაჩინეს პოზიციების თანხვედრა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხებში, საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმებისა და კოსმოსურ სივრცეში შეიარაღების განლაგების მიმართ. გაცხადებული იყო კონტროლის უფრო ეფექტიანი მექანიზმის აუცილებლად შექმნის შესახებ ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვის თაობაზე.



**მხარეებმა, აგრეთვე, წარმოაჩინეს პოზიციების თანხვედრა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხებში, საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმებისა და კოსმოსურ სივრცეში შეიარაღების განლაგების მიმართ. გაცხადებული იყო კონტროლის უფრო ეფექტიანი მექანიზმის აუცილებლად შექმნის შესახებ ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვის თაობაზე**



# რუსეთი და ბელარუსი ერთობლივ ვალუტაზე გადადიან



**„ერთობლივი ვალუტა — დიახ, ეს პუნქტი ჩაწერილია სამოკავშირეო ხელშეკრულებაში, ამიტომ განიხილება ეს საკითხი. ხვდებიან ცენტრალური ბანკები; მსჯელობენ, ღირს თუ არა ამის გაკეთება, როდის, რა ვადებში გაკეთდეს“,** — განაცხადა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა მაქსიმ ორეშკინმა.

15 ივნისს გაიმართება შეხვედრა ბელარუსისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს შორის, განხილული იქნება ინტეგრაციის გაღრმავების საკითხები. რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განიხილება ერთობლივი ვალუტის შექმნის საკითხიც, რომელიც საბოლოოდ პრეზიდენტების დონეზე გადაწყდება.

# რუსეთმა და ჩინეთმა აშშ-ს მოუწოდეს, უკან დააბრუნოს საზღვრებს გარეთ გატანილი ბირთვული იარაღი

**რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე სი ძინპინს შორის 5 ივნისს კრემლში გამართულ შეხვედრაზე განხილული იყო რუსეთ-ჩინეთის ყოვლისმომცველი პარტნიორობისა და სტრატეგიული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების გზები, დიდი ეკონომიკური და ჰუმანიტარული პროექტების რეალიზაცია, აგრეთვე, გაიცვალა თვალსაზრისი აქტუალურ საერთაშორისო და რეგიონულ პრობლემებზე.**

როგორც კრემლის პრესსამსახური იუწყება, მოლაპარაკებების შედეგების მიხედვით გაიმართა სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტების გაცვლის ცერემონია. კერძოდ, **სახელმწიფოს მეთაურებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას ყოვლისმომცველი პარტნიორობისა და სტრატეგიული ურთიერთქმედებების განვითარების შესახებ, აგრეთვე, ერთობლივ განცხადებას თანამედროვე ეპოქაში გლობალური სტრატეგიული სტაბილურობის განმტკიცების თაობაზე.**



# მოსკოვმა და პეკინმა დაგმეს ვაშინგტონის ჰეგემონისტური განზრახვები

„მხარეები მიუღებლად მიიჩნევენ ზოგიერთი სახელმწიფოს უპასუხისმგებლო მიდგომას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმების ვალდებულებების შესრულების მიმართ. ასეთმა სახელმწიფოებმა უარი უნდა თქვან „ერთობლივი ბირთვული მისიების“ პრაქტიკაზე და ბირთვული სახელმწიფოების საზღვრების გარეთ განლაგებული ყველა ბირთვული იარაღი დააბრუნონ ნაციონალურ ტერიტორიებზე“, — ნათქვამია ვლადიმერ პუტინისა და სი ძინპინის ერთობლივ განცხადებაში.

გვერდი მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# აშშ ადამიანის უფლებების ახალ კონცეფციას ქმნის

## ლიბერალი უფლებადამცველები უკვე აჩოჩქოლდნენ

**აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს განცხადების თანახმად, სახელმწიფო დეპარტამენტში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც შეცვლის ადამიანის უფლებების ფორმულირებას „ბუნებრივი კანონისა და ბუნებრივი უფლებების“ საფუძველზე, — იუწყება ტელეკომპანია ABC News-ი.**

სახელმწიფო მდივანმა განმარტა, რომ მსოფლიოში ადამიანის უფლებების უფრო ეფექტიანად დასაცავად ამერიკელ დიპლომატებს უნდა ჰქონდეთ ამ ცნების ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება.

**„მნიშვნელოვანია, როგორ გვესმის ადამიანის უფლებები ჩვენი დიპლომატიური მუშაობის ჩარჩოებში“,** — განაცხადა მან.

პომპეოს განცხადებამ იმ ლიბერალურად განწყობილი უფლებადამცველების, სერიოზული შეშფოთება გამოიწვია, რომლებიც ქალების, სექსუალური და სხვა უმცირესობების უფლებების დაცვით არიან დაკავებულნი. ისინი შიშობენ, რომ სიტყვები „ბუნებრივი უფლება“ შეიძლება აღმოჩნდეს სინონიმები სიტყვებისა „ღვთის ნება“, როგორც ეს ხშირად ხდება კონსერვატიულად მოაზროვნეთა ნაშრომებში.



კერძოდ, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი **რობერტ ჯორჯი** თავის წიგნში „ბუნებრივი უფლებების დასაცავად“ მოუწოდებს, რელიგიური ფასეულობების შესაბამისად შეიზღუდოს გეების უფლებები და აბორტის უფლება.

როგორც უფლებადამცველებმა შეიტყვეს, პროფესორი ჯორჯი იმ კომისიის სავარაუდო წევრთა შორის არის, რომლის შემადგენლობაც მაიკ პომპეომ უნდა დაამტკიცოს.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# გამოცხადებული რევოლუციის ქრონიკა

**7-8 ივნისს გამართულ სანქტ-პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე ვლადიმერ პუტინმა ფრიად საგულისხმო განცხადება გააკეთა: ბრეტონ-ვუდსის და მისი შემცვლელი იამაიკის სავალუტო სისტემის შექმნის შემდეგ მსოფლიოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: გაჩნდა ახალი ეკონომიკური ცენტრები, გაიზარდა რეგიონული ვალუტების როლი.**





ერთ დროს მსოფლიო სარეზერვო ვალუტიდან აშშ-ს დოლარი დღეს ემიტენტი ქვეყნის მსოფლიოზე ზეწოლის იარაღად იქცა. ეს აშშ-ს ფინანსური ხელმძღვანელების დიდი შეცდომაა, მათ თვითონვე გამოუთხარეს ძირი იმ უპირატესობას, რასაც დოლარი იძლეოდა. დოლარის მიმართ ნდობა აღარ არსებობს, ეს ვითარება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ცვლილებებს მოითხოვს, უნდა გადაიხედოს აშშ-ს დოლარის როლი, — თქვა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ეს განაცხადა ჩინეთის მეთაურის **სი ძინპინის** თანდასწრებით რამდენიმე დღის შემდეგ, რაც მიულერის კომისია ლაფში ჩაჯდა, თვითონ მიულერი კი გადადგა, ხოლო ტრამპმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამერიკისთვის რუსეთთან მეგობრობა სასურველია და დაიწყო მზადება ორი პრეზიდენტის შესახვედრად G-20-ის სამიტზე იაპონიაში.

მრავალი დამკვირვებლის თვალსაზრისით, ეს ყველაფერი მოასწავებს იმას, რომ მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და სულ მალე საერთაშორისო ვაჭრობა აშშ-ის დოლარიდან რეგიონულ ვალუტებზე გადავა.

საქართველოსთვის საჭირბოროტო თემა აქ არის ის, რომ როცა ეს მოხდება, მთელი სიმწვავით დაგვიდგება საკითხი: საიდან უნდა მოვიტანოთ, მაგალითად, ჩინური იუანი ან რუსული რუბლი, რომ საიმპორტო საქონელი შევიძინოთ? მთავრობამ ამაზე ახლავე უნდა დაიწყოს ფიქრი.

# დასტაქარი, რომელმაც მის მიერ გადარჩენილი სიცოცხლეებით დაიმკვიდრა უკვდავება

**ლეგენდარული მეან-გინეკოლოგის — ლადო ანდრონიკაშვილის გარდაცვალებიდან 20 წელი შესრულდა, მაგრამ მის მიმართ სიყვარული, მადლიერება და აღფრთოვანება მისი, როგორც პროფესიონალი, სასწაულმოქმედი გინეკოლოგის ღვაწლით მის სამემკვიდრეო წრეებში არ განელებულა.**



ამქვეყნად სიცოცხლის მოსავლენად იყო დაბადებული და თავისი სასწაულებრივად გამჭრიახი გონებით, მღელვარე გულით ყველაზე რთული სიტუაციებიდან გამოჰყავდა პაციენტები. გარდა იმისა, რომ თანამედროვეების მადლიერება და თაყვანისცემა მიილო ჯილდოდ, რომ ლექსებს უძღვნიდნენ მადლიერების ნიშნად, ბატონმა ლადომ თავის ქვეყანას ორი უმშვენიერესი ქალიშვილი დაუტოვა, რომლებმაც, თავის მხრივ, ნიჭიერი და საამაყო ვაჟკაცები შესძინეს ქვეყანას. მედიცინის დარგში უფროსი შვილიშვილი, გიორგი დუღაშვილი, საუკეთესო ექიმთა სიაშია, როგორც სამშობლოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

მეფის კარზე გაზრდილი, ნაფერები ანდრონიკაშვილების, იმპერატორ ანდრონიკე კომნენოსის შთამომავლების, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ლამაზი საგვარეულოს წარმომადგენელი რომაა ლადო ანდრონიკაშვილი, მისი პიროვნული ღირსებებითაც ჩანს; ჩანს, ვისი გორისანი არიან მისი შვილები და შვილიშვილები. ამ დიდი ოჯახის დედა, ქალბატონი ლამარა ხაბეიშვილი-ანდრონიკაშვილი კი ცოცხალი მატიანეა ბატონი ლადოს ღვაწლისა, უერთგულესი დარაჯია, ბაირახტარი მისი ხსოვნის უკვდავებისა. რა ბედნიერია კაცი, რომელსაც ასეთი მეგობარი და ცხოვრების თანამგზავრი, თანამებრძოლი, ხიფათებითა და პასუხისმგებლობით აღსავსე პროფესიული ჯვრის თანამზიდავი ჰყავს.

**დენიზა სუმბაძე,**
**ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**



# ყაზახეთის საპრეზიდენტო არჩევნებში კასიმ-ჟომარტ ტოკაევმა გაიმარჯვა

**ყაზახეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა სახელმწიფოს მოქმედმა მეთაურმა კასიმ-ჟომარტ ტოკაევმა, რომელმაც, ცენტრალური საპრეზიდენტო კომისიის მონაცემების თანახმად, ხმების 70,96% მოაგროვა.**

ტოკაევი წარმოადგენს ყაზახეთის მმართველ პარტია Nur Otan-ს („მამულის შუქი“), სულ კი პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას აცხადებდა 7 კანდიდატი. მათგან 4 წარმოადგენდა პარტიებს, 3 — საზოგადოებრივ გაერთიანებებს.

ტოკაევის მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა საზოგადო მოღვაწემ და ჟურნალისტმა **ამირჟან კოსანოვმა** — 16,23%. არჩევნებში სულ მონაწილეობდა ამომრჩეველთა 77,4%.

ყაზახეთის პოსტსაბჭოთა ისტორიაში არჩევნებში პირველად არ მონაწილეობდა **ნურსულთან ნაზარბაევი,** რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე პოსტიდან გადადგა. ნაზარბაევის გადადგომის შემდეგ პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს ასრულებდა **კასიმ-ჟომარტ ტოკაევი.** მისი ინაუგურაცია 12 ივნისს გაიმართება.

სიახლე!
ტიბეტური მედიცინით მკურნალობა



ლიცენზია N 035121

● პროსტატიტი, პოტენციის დაქვეითება, გაძნელებული შარდვა;
● ფიბრომა, მასტოპათია, მენსტრუალური ციკლის მოშლა, გართულებული კლიმაქსი, უშვილობა;
● თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, ინსულტი, მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დეპრესია;
● თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, სახსრებისა და ძვლების ტკივილი, ართროზი, ოსტეოპოროზი, სკოლიოზი.

მკურნალობა მაღალეფექტური, ორგანიზმისთვის უვნებელი მეთოდებით. ქიმიური წამლებისა და ჰორმონალური პრეპარატების გარეშე.

☎ 599-54-18-30, 247-57-18

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894